

პროგრესი - ეკონომიკური თავისუფლება

100 კითხვა - 100 პასუხი

- თავისუფლება
- დამოუკიდებლობა
- პერძო საკუთრება
- ეკონომიკური მიზეზი
- ეკონომიკური თავისუფლება
- საბაზრო თუ გეგმიური ეკონომიკა?
- პიროვნული თავისუფლებიდან ქვეყნის თავისუფლებამდე
- რატომ ვერ ვითარდება სოფლის მეურნეობა
- რა გვადარიბებს და რა გავამდიდრებს
- ხვალინდელი დღისთვის
- ვის შვილებს ვუნახავთ ტყეს?
- #გაბდი მესაკუთრე

*კერძო საკუთრება და ეკონომიკური
თავისუფლება*

100 კითხვა - 100 პასუხი

ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა

თბილისი 2020

ავტორები

ივანე ჩხაიძე

ეკონომიკის დოქტორი

რამაზ გერლიანი

ეკონომიკის დოქტორი

მათე გარდავა

ეკონომისტი, ანალიტიკოსი

ირაკლი მაკალათია

ეკონომიკის დოქტორი

ოთარ ფანცულაია

ეკონომისტი, გეოპოლიტოლოგი

ნოდარ სირბილაძე

ეკონომისტი, ანალიტიკოსი

რედაქტორები: რამაზ გერლიანი
ირაკლი მაკალათია



**FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION** For Freedom.
South Caucasus

ეკონომიკური ტრანსფორმაციის
ცენტრი



Economic Transformation Center



გახდი მესაკუთრე

წინასიტყვაობა


პუბლიკაციაში მოყვანილია საქართველოს რეალობის უმთავრესი საკვანძო ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკური თემის ირგვლივ დასმული 100 კითხვა და პასუხი, რომლებიც დასმულია და პასუხგაცემულია თავიანთი ხედვით, ცოდნითა და გამოცდილებით განსხვავებული ადამიანების მხრიდან.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოხდეს მათში შეძლებისდაგვარად მეტად ჩაღრმავება, რათა საზოგადოება რაც შეიძლება სრულად გაერკვეს თავის ხედვებში და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს არსებულ მიზეზებზე, შედეგებზე და შესაძლო გამოსავლის ოპტიმალურ გზებზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რატომ უნდა გახდე მესაკუთრე ?	5
თავისუფლება	7
უფასო პრივატიზაცია - როგორ გადაიქცეს სახელმწიფო საკუთრება კერძო საკუთრებად	20
ინვესტიდან ინვესტიციებამდე	38
სასოფლო მიწების უფასო განკერძოება	51
როგორ გავხადოთ სასარგებლო წიაღისეული ადამიანებისთვის სასარგებლო	80
ტყის ფონდი - ვის შვილებს „გუნახავთ“ ტყეს?	94
სახელმწიფო კომპანიები	102
სახელმწიფო შენობა-ნაგებობები	107
სტრატეგიული ობიექტები - მითი თუ რეალობა	112
ვის ეკუთვნის საზღვრისპირა ტერიტორიები	117
როგორ იზრდება ეკონომიკა	122
გამოხმაურება თემაზე	132

რატომ უნდა გახდეს მესაკუთრე ?



მდიდარი ქვეყანა, სადაც
ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს

საქართველოში არსებული ეკონომიკური აქტივების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია. ესენია:

- სასოფლო-სამეურნეო მიწების 60%-ზე მეტი;
- ტყის, სასარგებლო წიაღისეულისა და წყლის რესურსების 100%;
- ასობით შენობა-ნაგებობა და სახელმწიფო საწარმოები;

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს ხელში არსებული აქტივების დიდი ნაწილი გამოუყენებელია, მისი კაპიტალიზაცია, ანუ ღირებულება, ფაქტობრივად განულებულია. ეს რესურსები დღემდე არის უბრალოდ “საბჭოურ რეჟიმში” დაკონსერვებული და მათი ეკონომიკური ეფექტი დაკარგულია. არადა არის რეალური შესაძლებლობა, რომ მოცემულმა რესურსებმა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა და მოსახლეობის კეთილდღეობა თავისი სიდიდის შესაბამისად მკვეთრად გაზარდოს, თუმცა ეს შესაძლებლობა საკმარისი სერიოზულობით არ განიხილება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ადეკვატური ზრდისათვის აუცილებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

ქონება ფორმირდეს კერძო საკუთრებად. დღემდე მოცდენილი ამ რესურსის ჯამური საბაზრო ფასი, მისი კერძო საკუთრებაში წარმოჩენის შემდეგ რამდენიმე ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწევს. ამისათვის საკმარისია ეს ქონება ეფექტიანად და სამართლიანობის დაცვით, უსასყიდლოდ გადაეცეს მათ უპირველეს, ნამდვილ მესაკუთრეს, საქართველოს მოქალაქეებს.

უფასო პრივატიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალური საპრივატიზაციო ნიშნის „ინვესტის“ მეშვეობით. „ინვესტის“ მყიდველობითი უნარი, კორუფციული რისკებისაგან დაცვა და საიმედოობა უზრუნველყოფილი იქნება ინვესტებზე გასანაწილებელი უზარმაზარი ქონებით

უფასო პრივატიზების მთელ პროცესში ის პერიოდულად დაურიგდება საქართველოს მოქალაქეებს. „ინვესტი“ შეასრულებს ერთგვარი გორგოლაჭის ფუნქციას სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადმოსატანად.

ხშირია გარკვეული კითხვები მოცემულ მიდგომასთან (ხედვასთან) დაკავშირებით. იმისათვის, რათა დასმული კითხვები არ დარჩეს პასუხგაუცემელი, გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ პასუხები ხშირად დასმულ 100 კითხვაზე. შემდეგი გამოცემისთვის კითხვები შეირჩევა მკითხველთა აქტიური ჩართულობით.

1. რა არის თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება ?

თავისუფლება არის ადამიანთა გონებრივი და ფიზიკური შემოქმედების ნაყოფიერების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი, ეკონომიკური საქმიანობა კი ამ ფაქტორის უმთავრესი და განუყოფელი ნაწილია. კაცობრიობის განვითარება თავისუფლებას და შესაბამისად ეკონომიკურ თავისუფლებას უკავშირდება. თავისუფლება იყო მთავარი მოტივი და პირობა, რის გამოც ადამიანთა საზოგადოება ველური ცხოვრებიდან ისტორიული განვითარების სტადიების გავლით დღემდე, ცივილურ სამყარომდე მოვიდა და მისი უდიდესი ნაწილი ჩამოყალიბდა კიდევ თავისუფალ საზოგადოებად; ეკონომიკური თავისუფლებაც მუდმივი და განუწყრელი თანმხლები მოთხოვნა იყო თავისუფლების მაძიებელი საზოგადოებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს მამოძრავებელი ძალა არის თავისუფალ ადამიანთა საზოგადოება, სახელმწიფო პოლიტიკა კი - მის დასაცავად და განსამტკიცებლად ან დასათრგუნად არსებულ ქმედებათა ერთობლიობა. სხვა საკითხია, თუ რამდენად ეფექტიანად ახერხებს ამას ესა თუ ის სახელმწიფო.

მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებების ცვლილებებისა, რომლის მუდმივი თანმდევი პროცესია თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება, მათდამი მოთხოვნა არ შემცირებულა. პირიქით, თავისუფლება იკავებს ცენტრალურ ადგილს ცივილურ სამყაროში - პიროვნული თავისუფლებიდან სახელმწიფოებრივ თავისუფლებამდე, მათთან ერთად ეკონომიკური თავისუფლება ცენტრალური ფასეულობაა თანამედროვე საზოგადოებისთვის.

ცნობილია, რომ ეკონომიკური თავისუფლება თანამედროვე გაგებით გულისხმობს ხელშეუხებელ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების, ვაჭრობის, დაგროვების, ინვესტირების, გამომუშავების და შექმნილი დოვლათის გამოყენების თავისუფლებას.

2. რას ნიშნავს კერძო საკუთრება? რატომ კერძო საკუთრება?

კერძო საკუთრება ნიშნავს დროის ნებისმიერ მომენტში საკუთრების თავისუფალ ფლობა-განკარგვას. საკუთრებაზე თავისუფალი ქმედების უფლებას, რაც ნიშნავს შემდეგს, რომ ადამიანს უფლება აქვს საკუთარი ქონება მისი საჭიროებისა და შეხედულებისამებრ თავისუფლად გამოიყენოს-განკარგოს. მას შეუძლია საკუთრება თავისუფლად გაყიდოს-გაასხვისოს სრულად ან ნაწილობრივ.

კერძო საკუთრება ეკონომიკურ კეთილდღეობასთან პირდაპირ კავშირშია. ადამიანს, რომელსაც აქვს კერძო საკუთრება, რომელიც დაცულია და მის ხელყოფას ვერავინ მოახერხებს, აქვს მოტივაცია, რომ საკუთრების პირობებში ეკონომიკური საქმიანობა დაიწყოს.

კერძო საკუთრების პირობებში, კერძო მესაკუთრეს ყველაზე მეტად აქვს მოტივაცია მოუფრთხილდეს და დაიცვას მისი საკუთრება, გამოიყენოს ეფექტიანად და მიიღოს საკუთრებიდან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი, ვიდრე ამას გააკეთებს საზოგადო საკუთრების პირობებში.

მხოლოდ კერძო საკუთრებას შეუძლია ჰქონდეს საერთა-შორისო საბაზრო ფასი და შესაბამისი საინვესტიციო მიმზიდველობა, რაც მის მესაკუთრეს ყველაზე ეფექტიანად უქმნის შესაძლებლობას, რომ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მოიზიდოს ოპტიმალური ფინანსური რესურსები, რითაც უზრუნველყოფს სამეწარმეო ინიციატივას ინდივიდუალურად თუ სხვებთან კოოპერაციაში.

მაგალითად, მიწა იქნება თუ ნაგებობა, ნებისმიერი აქტივი, წარმატებული ეკონომიკური ინიციატივის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროებს ფინანსებს, რათა საკმარისად, მეტი სისრულითა და კონკურენტუნარიანად, უკეთ უზრუნველყოს მესაკუთრის ინიციატივა მასალა-ნედლეულით, ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, მაღალკვალიფიციური კადრებით, დაცულობით, რეკლამით და სხვა დანარჩენით.

ყველაზე მარტივად გასაგები მაგალითით, თუ 1 მლნ ჰა. კარგი სასოფლო მიწები იქნება კერძო, მდგრადი მინიმალური საბაზრო ფასით თუნდაც 2 აშშ დოლარი - 1კვ.მ., მაშინ მისი მესაკუთრეები თავისუფლად მოიზიდავენ იაფ საკრედიტო რესურსს 1 კვ.მ.-ზე 1 აშშ დოლარს ანუ სოფელი, მხოლოდ თავისი 1 მილიონი ჰა. მიწის ქვეშ, სახელმწიფოსგან სუბსიდიებისა თუ სხვა დახმარებების გარეშე, თითოეული თავისივე პასუხისმგებლობის ქვეშ ყოველწლიურად მოიზიდავს საერთო ჯამში მინიმუმ 10 მილიარდ აშშ დოლარს, ნაცვლად იმ მწირი დაფინანსებისა, რასაც საუკეთესო შემთხვევაში როდისმე გამოყოფს ჩვენი უსუსური ბიუჯეტი მთელი დანარჩენი ეკონომიკის გამოწურვის და ნგრევის ხარჯზე.

ეკონომიკური წარმატებისათვის აუცილებელი სხვა უფრო ძლიერი ფინანსური რესურსი, ვიდრე არის არსებული აქტივების კაპიტალიზაციის გაცოცხლება, ეკონომიკას არ გააჩნია.

კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა-განკარგვის გარეშე გვაქვს ვითარება, სადაც იზღუდება თავისუფალი არჩევანი და თავისუფალი ბაზარი, ხოლო მათ გარეშე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დაბალია. ამრიგად, კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება მჭიდრო ურთიერთ-კავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძე-

ნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.”

3. რა კავშირშია კერძო საკუთრება თავისუფლებასთან?

ნებისმიერ ადამიანს აქვს სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების უფლება. იმისათვის, რომ ადამიანმა თავისუფლად იცხოვროს, საჭიროა, მას გააჩნდეს საკუთრება, რომელსაც ის საკუთარი არჩევანითა და შეხედულებისამებრ გამოიყენებს. ადამიანის პირადი საკუთრების უფლების შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოდის მის ფუნდამენტურ უფლებასთან - სიცოცხლის უფლებასთან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება განპირობებულია კერძო საკუთრების არსებობით, რაც არჩევანის თავისუფლებას ზრდის, ხელს უწყობს თავისუფალ კონკურენციასა და თავისუფალ გაცვლას ბაზარზე.

იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე ვისაუბროთ, უნდა გვქონდეს დომინირებადი კერძო საკუთრება, რადგან საბაზრო ეკონომიკა კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზეა აგებული.

ყველას გვემის, რომ უქონელი ადამიანის მართვა მარტივია. ის მუდმივად დამოკიდებულია და შეზღუდულია ძირითად უფლებებში (მაგ; - ვერ მკურნალობს უსახსრობის გამო, ვერ ყიდულობს მისთვის სასიცოც-

ხლოდ მნიშვნელოვან ნივთს, ხდება სხვადასხვა უსამართლობის მსხვერპლი და ა.შ.).

მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: დაუშვათ არის ორი მოქალაქე “A” და “B”, რომლებიც ასწავლიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (საბავშვო ბაღი) ერთიდაიგივე დატვირთით და სამსახურეობრივი ვალდებულებებით. ორივეს აქვს თანაბარი ხელფასი 700 ლარის ოდენობით. “A” მოქალაქეს დამატებით აქვს კერძო საკუთრება უძრავი ქონების სახით და ის საკუთრების გაქირავებიდან იღებს ყოველთვიურად 500 ლარს, ხოლო “B” მოქალაქეს კერძო საკუთრება არ გააჩნია. ამ მოცემულობით წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა ამ მოქალაქეების მიმართ ზეწოლა-დისკრიმინაცია გარკვეული ნიშნით (ეთნიკურობა, მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულები, თვალის ფერი თუ სიმაღლე და ა.შ.). რომელი უფრო უკეთ შეძლებს დაიცვას თავისი პიროვნული უფლებები და თავისუფლება? ასეთ ვითარებაში ვფიქრობთ თავის პიროვნულ უფლებებსა და თავისუფლებას უფრო უკეთ დაიცავდა საკუთრების მქონე “A” მოქალაქე, რადგან მისი თავისუფლების დაცვას შეიძლება შეეწიროს შემოსავლის წყარო მისი ანაზღაურების სახით (700 ლარი), მაგრამ ის უფრო მდგრადი და დამოუკიდებელია შემოსავლების დამატებითი წყაროს მეშვეობით. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ პიროვნებაზეა დამოკიდებული ვინ როგორი მენტალობისაა, თუმცა ჩვენ ვმსჯელობთ ზოგად სურათზე და არა ერთეულ პირებზე. “B” მოქალაქე დიდი ალბათობით ზეწოლის მსხვერპლი გახდება და მას მოუწევს მეტწილად თავისი უფლებების და თავისუფლების დათ-

მოზა. ასევე ამ მოცემულობით ზეწოლის განმახორციელებელმა “X” სუბიექტმა (მენეჯერი, დირექტორი, გამგე ა.შ.), კარგად იცის, რომ “A” მოქალაქესთან ნაკლებად გაუვა არასამართლიანი ქმედება და როგორც წესი ის არ ახდენს ზეწოლას კერძო საკუთრების მქონე “A” მოქალაქეზე, არამედ ზეწოლის მსხვერპლად ირჩევს “B” მოქალაქეს, რომლის ერთადერთი შემოსავლის წყარო 700 ლარიანი ანაზღაურებაა და რასაკვირველია “B” მოქალაქე სათანადოდ ვერ დაიცავს თავის თავისუფლებას.

ასევე ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე სავარაუდოა რომ “A” მოქალაქე თავისუფლების მოყვარე ადამიანისთვის დამახასიათებელ ქმედებას ჩაიდენს და დაიცავს ძალადობის მსხვერპლ კოლეგას. სწორედ ასე შეიძლება “A” მოქალაქე აღმოჩნდეს თავისუფლების დამცველი ჯარისკაცი.

სწორედ ასე, ბუნებრივად აღმოჩნდებიან **მესაკუთრე მოქალაქეები** თავისუფლების და საზოგადოებრივი თავისუფლების სადარაჯოზე და აი ასე ხდება **კერძო საკუთრება თავისუფლების გარანტი**.

შესაბამისად მოქალაქეთა კეთილდღეობას ხელს უწყობს კერძო საკუთრება, ხოლო გარდამავალ ქვეყნებში მისი დროულად ფორმირება, ზრდის თითოეული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მთლიანობაში ამაღლებს თავისუფლებასა და ეკონომიკურ თავისუფლებას.

მამასადამე, თავისუფლების ყველაზე მყარი და ბუნებრივი ეკონომიკური საფუძველი არის კერძო საკუთრება.

4. რა არის საბაზრო ეკონომიკა ?

თავისუფალი ბაზარი არის ბაზრის მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფო არ შედის კონკურენციაში კერძო სექტორთან. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებასთან ერთად იზრდება კერძო სუბიექტების თავისუფლების ხარისხი და პატიოსანი კონკურენცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური აქტივები არის კერძო სექტორში, შესაბამისად გვაქვს მცირე მთავრობა, როგორც ადმინისტრაციული მართვით, ისე ეკონომიკაში მისი ჩართულობით.

ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით შევადაროთ სახელმწიფო და კერძო სექტორი. რატომ უნდა იყოს ეკონომიკური აქტივები სრულად კერძო საკუთრებაში და არა სახელმწიფოს მართვაში? წარმოების ეფექტიანობა იზრდება კონკურენციის პირობებში, კონკურენცია ქმნის მაღალ ხარისხს და/ან დაბალ ფასს, რითაც მომხმარებლები რჩებიან მოგებულები, ამავე დროს კონკურენცია აიძულებს კომპანიებს გაიღონ მეტი რესურსი განვითარებისათვის, რაც ქმნის მიმზიდველ ეკონომიკურ გარემოსა და მოწესრიგებულ შრომის ბაზარს. მაშინ როცა ერთი სუბიექტი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორი არის მონოპოლისტი, შესაბამისად ის ვერ იქნება ეფექტიანი, იქნება

მუდამ მონოპოლიურ რეჟიმში, ხოლო მონოპოლიის უარყოფითი შედეგები ყველასთვის გასაგებია.

კერძო სექტორში სახელმწიფო აქტივების გადასვლა გააჩენს ბევრ ეკონომიკურ სუბიექტს, რომლებიც ერთმანეთთან იქნებიან კონკურენტულ პირობებში, კონკურენცია აიძულებს მათ განვითარდნენ, აწარმოონ მომხმარებლებისთვის მისაღები პროდუქტი და მომსახურება, შრომის ბაზარზე კონკურენცია იქნება დამსაქმებლებს შორისაც რაც გააჩენს მეტ დასაქმების ადგილსა და მისაღებ შრომის პირობებს. ის კომპანია რომელსაც არასწორი მენეჯმენტი ექნება, ვერ აყვება ბაზარს, გაკოტრდება და გამოეთიშება, სახელმწიფო კომპანიების პირობებში კი ეს პირიქით არის, მუდმივად სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მიბმული სუბიექტები არც კი ცდილობენ განვითარებას და სახელმწიფო ფინანსებზე მიბმული ყოველთვის ჩნდება კორუფციისა და რისკის ქვეშ.

ამგვარად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური პროცესები ექვემდებარებიან ბუნებრივი მოთხოვნა-მიწოდების კანონს, როცა ეკონომიკა თავისუფალია სახელმწიფოს მონოპოლიისა და ჩარევისგან, შედეგად ვიღებთ თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს, რაც არის საბაზრო ეკონომიკა.

5. საბაზრო ეკონომიკისთვის რამდენად აუცილებელი პირობაა კერძო საკუთრება?

ნებისმიერი ტიპის საბაზრო ეკონომიკის სისტემის ფუნდამენტს წარმოადგენს კერძო საკუთრება და კერძო

საკუთრების წილის დომინირება სახელმწიფოს საკუთრებასთან მიმართებით. ეს არის საფუძველთა საფუძველი, რის გარეშეც სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ტიპეზება გათვლილი, მიზანს სცდება, რადგან სამოქმედო ობიექტი თვისობრივად სხვაა.

სახელმწიფოს მხრიდან შიდა ეკონომიკური ურთიერთობების მართვა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, მაგრამ თუ სად და რა ფორმით გამოიყენებს მართვის ბერკეტებს, ამას განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ვექტორი.

თუკი არჩევანს შევაჩერებთ საბაზრო სისტემაზე, რომელიც მკვეთრად რეგულირებადი სისტემებიდან განსხვავებით გაცილებით ეფექტიანია და სამართლიანიც, მაშინ საჭიროა კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და მისი უზენაესობის აღიარება.

საკუთრება ხელს უწყობს თავისუფალი კონკურენტული გარემოს ფორმირებას, წახალისებს კონკრეტული მოქალაქის ინდივიდუალური ნიჭისა და უნარების განვითარებას, წარმოქმნის სივრცეს ახალი და სიცოცხლისუნარიანი იდეებისთვის, აგრეთვე წარმოადგენს მეტი კეთილდღეობის და მეტი თავისუფლების საფუძველს.

რაც უფრო მეტად ახდენს სახელმწიფო კერძო სექტორში ინტერვენციას და აწესებს რეგულაციებს, მით უფრო ფერხდება ეკონომიკური პროცესები, მით უფრო მოუქნელი და ბიუროკრატიული ხდება ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო ადამიანები მით უფრო მეტად

ხდებიან დამოკიდებულნი სახელმწიფოზე, ანუ ბიუროკრატიული იერარქიის მაღალ საფეხურებზე მყოფთა კეთილგანწყობაზე. სახელმწიფოს დომინირების პირობებში მკვეთრად მცირდება შესაძლებლობები ინდივიდუალური თვისებების წარმოსაჩენად, მკვიდრდება კოლექტივიზმი და ინდივიდის თანხმობის გარეშე დადგენილი დოგმებისადმი მორჩილების აუცილებლობა. ეს ყოველივე ხელს უწყობს ძალაუფლებისა და უფლებების კონცენტრირებას სოციალური იერარქიის ელიტის ხელში.

- საქართველო პოსკომუნისტური ქვეყანაა, სადაც სრულიად შენარჩუნებულია სოციალისტური მემკვიდრეობა, მათ შორის სახელმწიფოსა და რესურსების მართვის, ასევე სისტემური, კონცეპტუალური და მენტალური ასპექტებით. თუკი ვაკეთებთ არჩევანს სოციალიზმის შენარჩუნებაზე, მაშინ კერძო საკუთრება საჭირო აღარ არის, ვეგუებით მწირი რესურსებით ეკონომიკის დაბალი ტემპით განვითარებას, ველოდებით ჩინოსანთა მიერ პოლიტიკური მოთხოვნილების მიხედვით მოწოდებულ ახალ სოციალურ პაკეტებს და მშვიდად ვაგრძელებთ ცხოვრებას ღარიბ ქვეყანაში, სადაც მდიდრებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ხელი მიუწვდება უზარმაზარი მოცულობის აუთვისებელი სახელმწიფო რესურსების განკარგვაზე. სხვა შემთხვევაში კერძო საკუთრება გარდაუვალი აუცილებლობაა.

თუ მოცემული პასუხები ვერ გვარწმუნებს კერძო საკუთრების დამკვიდრების აუცილებლობაში, მაშინ უნდა დაისვას მთავარი კითხვა - სხვაგვარად ვის მიერ

ან ვის ხარჯზე, ვისი ფინანსებით (ან ფინანსების გარეშე), ან როგორ ვაპირებთ ქვეყნის აშენებას ?

6. რითი სჯობს საბაზრო ეკონომიკა საბჭოთა კავშირის დროს არსებულ გეგმიურ ეკონომიკას?

საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა მდგომარეობს დაფინანსების მეტ შესაძლებლობასა და მასშტაბებში, კერძო პასუხისმგებლობითა და მოტივაციით, ყოველგვარი სახელმწიფოს და სხვა დონორების ძეგნა-დახმარების გარეშე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუნებრივად მეტია მოტივაცია და მოქნილობა - ეკონომიკური შედეგი (მოგება) არის სრულად კერძო მესაკუთრის, ხოლო საბჭოთა სისტემით ეკონომიკური შედეგი საერთოა, ხოლო დოვლათის გადანაწილება მუდმივი ეჭვის და ცდუნების წყაროა, რაც კლავს პირად მოტივაციას.

გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელია დროის დაზოგვა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკურ პროცესებს გეგმავს და წარმართავს ცენტრი, ყველა ქმედებას, დაწყებული პროდუქციის ასორტიმენტის, მოცულობის, ფასისა და მიწოდების მოცულობით, განსაზღვრავს ცენტრი, ყველა რგოლი, რომელიც ჩართულია პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაში, ანგარიშვალდებულია ცენტრთან, რაც დამატებით ბიუროკრატიულ წინაღობებს ქმნის და ანელებს პროცესს. განსხვავებით კერძო მესაკუთრისგან, რომელსაც როცა

საჭიროება გამოუჩნდება, ოპერატიულად გადაჭრის მას და არ დაელოდება მაგალითად სახელმწიფოსგან ტენდერის გამოცხადებას ან შესაბამისი სერვისების მიღებას, რაც დროისა და ფინანსური რესურსების უფრო სწორად და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

პირობითად ერთი ტრილიონი დოლარის ღირებულების აქტივების განკერძოება მყისიერად გამოიწვევს ეკონომიკურ აღმავლობას, საკუთარი სახსრებითა და პასუხისმგებლობით ათასობით წარმატებული სამეწარმეო ინიციატივის გაჩენას, ეკონომიკაში ახალი მიმართულებებისა და ახალი პრიორიტეტების წარმოშობა-განვითარებას.

პოტენციურად საქართველოს ყოველი მეათე მოქალაქე გახდება ოფიციალური მილიონერი, ხოლო ყოველი მეორე შეუერთდება საკმაოდ ძლიერ სამუშაო კლასს. ყოველივე ეს გამოიწვევს დიდი რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. ჩვენი ვარაუდით გაჩნდება იმაზე მეტი სამუშაო ადგილი, ვიდრე საქართველოში მუშა-ხელის რაოდენობაა. ეს გარემოება თავისთავად მოიტანს ტექნოლოგიების განვითარებასაც. გაიზრდება მოთხოვნილება პროფესიული უნარჩვევების მქონე პერსონალებზე და გაიზრდება სახელფასო განაკვეთები. ყოველივე ამას დაემატება ახალი მუშა-ხელის მოზიდვის საჭიროება. პერსპექტივაში ამ გზით შესაძლებელია დასრულდეს მოსახლეობის ქვეყნიდან გადინების ტენდენცია და მივიღოთ საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წასული ადამიანების უკან დაბრუნების ტენდენცია.

უფასო პრივატიზაცია - როგორ გადაიქცეს სახელმწიფო საკუთრება კერძო საკუთრებად

7. როგორ შეაფასებთ პრივატიზების პროცესს საქართველოში ? მიზეზები, რის გამოც საქართველოში ქონების ფულზე პრივატიზაცია დროში გაწელილია

საქართველო, როგორც ყოფილი კომუნისტური ქვეყანა, სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის ბალანსით ძალიან განსხვავდება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისგან. თუკი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთელი სიმდიდრის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს ფლობს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენი არის კერძო საკუთრებაში, საქართველოში გვაქვს საპირისპირო სურათი - მთელი ქონების დაახლოებით 70%-ის მესაკუთრედ კვლავ რჩება სახელმწიფო.

მოცემული ქონების ფულზე პრივატიზაცია აუცილებლად ნიშნავს ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან „ჭარბი მიწოდების შექმნას“, კერძო საკუთრებაში არსებული სხვა მსგავსი აქტივების გაუფასურებას და იაფად გაყიდვის შემთხვევაშიც კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკერძოების დროში უსასრულოდ გაწელვას.


კონკრეტული მაგალითისათვის გამოგვადგება სასოფლო მიწების პრივატიზაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პროცესი იყო ხან წახალისებული, ხანაც შეჩერებული სხვადასხვა მთავრობის მიერ, დაახლოებით 30 წელიწადში ძლივს მოხერხდა ამ აქტივების დაახლოებით 30%-ის განკერძოება.

8. რატომ არის კარგი უფასო პრივატიზება? (რაში გამოიხატება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა და სამართლიანობა)

საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი მცირეა, მოსახლეობის მყიდველობითი უნარი კი დაბალი. მოქალაქეები გამოთიშულია სახელმწიფოს ქონების ფულზე გაყიდვის პროცესიდან (ფულზე პრივატიზაცია), შესაბამისად ვერ ახერხებენ საპრივატიზაციოდ გამოტანილი სახელმწიფო ქონების შეძენასა და დასაკუთრებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანას სჭირდება პრივატიზაციის ისეთი მოდელი, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობას უმოკლეს დროში მოუტანს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად პროცესის სტარტზე მისი უსახსრობისა, ასეთი მოდელი არის უფასო პრივატიზაცია.

რასაკვირველია, მსოფლიოში პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მათ შორისაა პრივატიზაცია ფულზე აუქციონების საშუალებით, გარდა ამისა არსებობს რესტიტუციის ფორმა, თუმცა ჩვენი რეალობიდან გამომდინარე ყველაზე სამართლიანი და ეფექტიანი არის უფასო პრივატიზება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესდღეობით საქართველოში განკერძოების პროცესი ფულით ხდება, რასაც სამწუხაროდ სწრაფი ეფექტი არ აქვს. საქართველოში სახელმწიფოს ბალანსზე არსებული აქტივების საწყისი ღირე-



ბუღება უხეში დათვლით რამდენიმე ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს.

ადვილი წარმოსადგენია თუ რაოდენ რთულია ამ მოცულობის აქტივების ფულზე პრივატიზაცია, როდესაც ყველა უმდიდრესი ქართველი ბიზნესმენის ჯამური ფინანსური შესაძლებლობა მთლიანი სახელმწიფო ქონების 1%-საც არ უდრის. რამდენადაც დაჩქარებულად არ უნდა ჩატარდეს ფულზე პრივატიზაციის პროცესი, ის მინიმუმ 150 წელიწადს გასტანს და მას სათანადო პოტენციური ეკონომიკური ეფექტი არ ექნება. ამასთან, ფულზე პრივატიზაციაში მონაწილეობაზე ბიზნესმენტა მხოლოდ ვიწრო წრეს მიუწვდება ხელი, რაც უსამართლობაა. შესაბამისად, ისინი კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბი ადამიანები კვლავ ღარიბებად რჩებიან.

უფასო პრივატიზაციის შემთხვევაში აუთვისებელი და გამოუყენებელი აქტივების საკუთრებაზე ხელი აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს მიუწვდება. თუკი პირველი ეტაპისთვის საპრივატიზაციო ნუსხაში შევიტანთ ერთი ტრილიონი აშშ დოლარის საწყისი ღირებულების მქონე აქტივებს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დაახლოებით 250 000 - 250 000 აშშ დოლარის ღირებულების აქტივები ერგება. ამ აქტივით მესაკუთრეს შეუძლია მოიზიდოს დამატებითი ფინანსები, დააინტერესოს ინვესტორი და მოიზიდოს დაფინანსება, იჯარით გასცეს და გააქირაოს საკუთრება და ა.შ., იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოქალაქეს არ აქვს ქონების მართვის უნარი, მას აქვს უფლება გაყიდოს საკუთარი ქონება, მიიღოს თავისი წილი ფულში და ამგვარად ისარ-

გებლოს. ის არაფერს აგებს. მოქალაქეთა ის კატეგორია, რომელიც სწრაფად აუღებს ალღოს ახალ ეკონომიკურ გარემოს, შეძლებს ათასობით და ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკაში უმოკლეს დროში გაცოცხლდება თუნდაც ერთი ტრილიონი დოლარის კაპიტალი, ამას მოჰყვება სწრაფი ეკონომიკური ეფექტი, რაც ქვეყნის ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს.

9. რატომ ფიქრობთ რომ უფასო პრივატიზაცია აუცილებელია საქართველოს ტიპის ქვეყანაში? / და არა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის?

საქართველო, როგორც პოსტ-კომუნისტური სახელმწიფო განსხვავდება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისგან იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკური აქტივების ზედმეტად დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, ხოლო სხვა განვითარებულ ქვეყნებში ეს აქტივები ძირითად წილად კერძო საკუთრებაშია, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ პროცესებში, ქმნის ეკონომიკურ დოვლათს. ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი ძირითადი წყაროა როგორც კერძო მესაკუთრეებისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის და შესაბამისად ყველა დასაქმებულთათვის. განვითარებულ ქვეყნებში ისეთი აქტივები, როგორიცაა მაგალითად სასოფლო-სამეურნეო მიწები, როგორც წესი, კერძოა, საქართველოში კი მისი ძირითადი მესაკუთრეც

და მიწის ბაზარზე მიმწოდებელიც სახელმწიფოა, რაც მთლიანად ანგრევს ბაზარს და თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს. ასეთ ვითარებაში კი საქართველოს სოფლის განვითარებაში ერთადერთი და უალტერნატივო პირველი ნაბიჯი მიწის უფასო განკერძოებაა.

- გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სახელმწიფო საკუთრების წილი ძალიან მაღალია და სახელმწიფო ფლობს უზარმაზარ ქონებას, მისი ფულზე გაყიდვით ტექნიკურად დროში უსასრულოდ არის გაწეილი. ფულზე გაყიდვით პრივატიზების დროს პროცესში ჩართულია სახელმწიფო ჩინოვნიკები, რომლებიც ინვესტორთან მოლაპარაკებებისას ხშირ შემთხვევებში თავიანთ ვიწრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესების გატარებას ცდილობენ და ამით აჩერებენ დიდ პროცესებს. უფასო პრივატიზება გარდა ეკონომიკური ეფექტიანობისა ასევე ნიშნავს სამართლიანობის აღდგენას, ის რაც საქართველოში მცხოვრები ადამიანების წინაპრებს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ კერძო საკუთრებაში, ბოლშევიკებმა სრულად ჩამოართვეს და სახელმწიფო საკუთრებად აქციეს.
- ასევე, უფასო პრივატიზაცია აუცილებელია იმის გამოც, რომ მოქალაქეების მყიდველობითი უნარი დაბალია, დარღვეულია თავისუფალი კონკურენციისთვის მთავარი მახასიათებელი - თანაბარი სასტარტო პირობები და ისინი უბრალოდ ვერ შეძლებენ ფულზე პრივატიზაციის პროცესში ჩართვას და სახელმწიფოს მიერ საპრივატიზაციოდ გამოტანილი ქონების ყიდვას.

10. უფასო პრივატიზების რომელი ქვეყნის მაგალითია ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი?

მოდით ისტორიას გადავხედოთ. დაახლოებით ასეთი შემთხვევის წინაშე აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატები 1889 წელს. ოკლაჰომაში, დაახლოებით 800 000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი არ იყო ავტორიზებული, ანუ არ იყო კერძო საკუთრებაში. როგორც ხედავთ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა საუბარი. თითქმის იგივე მოცულობის, რაც ჩვენი ქვეყნის სასოფლო მიწებია.

იმ დროინდელმა აშშ-ს 23-ე პრეზიდენტმა, ბენჟამინ ჰარისონმა (1833-1901) მისი პრეზიდენტობის პირველსავე წელს მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მიწები უფასოდ დაერიგებინა ამერიკის მოქალაქეებისთვის, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50 000-მა ადამიანმა.

ეს მოვლენა ისტორიაში ცნობილია „**The Oklahoma Land Rush**“ სახელწოდებით. 1889 წლის 22 აპრილს 50 000-მა ადამიანმა გაინაწილა ეს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც დაყოფილი იყო 20 ჰექტრიან ნაკვეთებად. ეს ერთი შეხედვით სახალისო პროცესი სერიოზულ ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა. შეჯიბრის პრინციპით ის, ვინც დანიშნულ წერტილამდე პირველი მიაღწერდა, მიწის ნაკვეთთან ჩაარქობდა მის კუთვნილ ალამს. ამგვარად ის მიწის მესაკუთრე ხდებოდა. *ამ გზით 800 000 ჰექტარი მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლას დასჭირდა სულ რაღაც ერთი დღე.*

რა ფარული ეკონომიკური შინაარსი შეიძლება დავინახოთ ამ ფაქტში? ვიგულისხმობ, რომ იმ დროს დანარჩენი მიწები უკვე იყო ხალხის საკუთრებაში და მათი ლიკვიდური საბაზრო ფასი წარმოვიდგინოთ, რომ იყო პირობითად 10 დოლარი. სახელმწიფოს ათასობით ნაკვეთის ფულზე გასხვისება (პრივატიზაცია) რომ დაეწყო, იმ მოსახლეობას, რომლებმაც დარიგების პროცესში მიიღეს მონაწილეობა, ბევრს ალბათ 10-10 ცენტის გადახდის უნარიც არ აღმოაჩნდებოდა, ხოლო აუქციონებზე ასეთი ჭარბი მიწოდებით 10 ცენტზე მაღლა კვ. მეტრის ფასი იშვიათად დაფიქსირდებოდა. ასეთი დაბალი ფასი კი მთელი ამერიკის მასშტაბით ავტომატურად გამოიწვევდა ადრინდელ 10 დოლარზე ნაკლებ ფასად მიწების სასწრაფოდ გაყიდვის სურვილს, რათა მიღებული ფულით მოსწრებულიყო ოკლაჰომაში ბევრად მეტი გაუფასურებული მიწების შე-

The Oklahoma City Land Run Monument



მენა. ანუ მიწის ფასი დაეცემოდა მთელ ქვეყანაში, ზუსტად ისე, როგორც დაეცა ჩვენთან და „უქონელი“ მიწის მყიდველიც აქ მოგვადგება უფრო მეტი მიწის იაფად საყიდლად.

ოკლაჰომაში მიწების განკერძოების შემდეგ, იმ 10 ცენტის არმქონე ღარიბისთვისაც და მდიდრისთვისაც, რომლებმაც ერთნაირად მიიღეს მონაწილეობა შეჯიბრში და უფასოდ დაისაკუთრეს მიწა, კვ.მ. მიწის ფასი 10 დოლარს არ ჩამოცდა, ფერმერულ მეურნეობის მოსაწყობად საკმარისი რაოდენობის იპოთეკური სესხის მოზიდვის შესაძლებლობა ყველას გაუჩნდა, ან დასაკუთრებული 20 ჰექტარიდან, შენარჩუნებული მაღალი ფასით, ღარიბი მიყიდდა მიწის 1 ჰა-ს გაფართოების მსურველ რომელიმე შეძლებულ მეზობელს და ამუშავებდა დანარჩენ ცხრამეტს.

საქართველოს დაახლოებით მსგავსი რამ სჭირდება, თუმცა ბუნებრივია, XXI საუკუნეში უფრო ცივილურად უნდა მოვიქცეთ, ვინაიდან ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობამ საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა, მათ შორის პრივატიზაციის საკითხში.

უფასო განკერძოების პროცესის პირველ ეტაპზე მოქალაქეებს დაურიგდებათ საპრივატიზაციო ნიშანი “ინვესტი”, რომლის გამოყენებაც მხოლოდ საპრივატიზაციო ქონების შესაძენად იქნება შესაძლებელი. ანუ ეს ნიშნავს ქონების უფასოდ გადაცემას (როგორც ამერიკის შეთხვევაში). შესაბამისად მოქალაქეები “ინვესტებით” იყიდიან მაგალითად საპრივატიზაციოდ გამოტანილ მიწის ნაკვეთებს, ანუ ფაქტობრივად მიიღებენ

მას უფასოდ და თან ისე, რომ მისი ფასი და საინვესტიციო მიმზიდველობა არ დაკნინდება.

11. შეგიძლიათ თუ არა მოიყვანოთ დიდი მასშტაბის უფასო პრივატიზაციის თანამედროვე მაგალითი?

მსოფლიოს ეკონომიკური პრაქტიკა იცნობს პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმებს. მათ შორის არის „ვაუჩერული პრივატიზაცია“, რომლის დროსაც საკუთრება გადანაწილდა პრაქტიკულად უფასოდ, ან სიმბოლურ ფასად.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სურდათ ეს თუ არა, მოსწონდათ თუ არა, იმ დროინდელი, უმაღლესი რანგის მეცნიერების რჩევით ყველგან განხორციელდა ვაუჩერიზაცია, მაგრამ ასეთი, არნახულად დიდი სიმდიდრის უფასოდ დარიგების პროცესში თავისთვის რაიმე უპირატესობის ჩამატების მაცდურ სურვილს ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ გაუძლო.

რეფორმებში მყოფი უმეტესი ქვეყნების ხელისუფალთა დაჟინებით და მათ მსგავსად ჩვენთანაც ვაუჩერიზაციის შედეგები ყველაზე მეტად ალბათ დაამახინჯა პრივატიზაციის პროცესში გადახდის საშუალებად ვაუჩერის ჩვეულებრივ ფულთან ერთად გამოყენებამ, რითაც მდიდარ ხალხს დიდი უპირატესობა შეუნარჩუნა ღარიბ ადამიანებთან შედარებით. ასევე ერთჯერადი ვაუჩერიზაცია აღმოჩნდა სერიოზული უარყოფითი ფაქ-

ტორი საფონდო ვაჭრობებში სრულიად გამოუცდელი მოქალაქეებისათვის.

არ იქნა გათვალისწინებული ყველა ის ნაკლოვანი მხარეები, რის გამოც ამ ქვეყნებში ვაუჭერიზაციამ არათუ არ გაამართლა, არამედ მოახდინა ამ პროცესის სრული დისკრედიტაცია, ტერმინი “პრივატიზაცია” ჩაანაცვლა აღქმამ “პრიხვატიზაცია” (რუსულიდან - უკანონოდ მისაკუთრება) და ამ მიზეზით დღემდე შეუძლებელი გახდა პრივატიზაციის პროცესისადმი ნდობის აღდგენა.

12. რა ფორმით უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების უფასო განკერძოება?

“გახდი მესაკუთრე”-ს მიერ ინიცირებული მექანიზმით სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების განკერძოება ხდება სპეციალური საპრივატიზაციო ნიშნის “ინვესტის” საშუალებით. ინვესტი მოქალაქეებს გადაეცემათ თანაბრად, რაც შესაძლებლობას შეუქმნის ყველა მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს პრივატიზების პროცესში. ინვესტი მოსახლეობას დაურიგდება ყოველთვიურად იქამდე, სანამ მთელი ქონება კერძო მესაკუთრეების ხელში არ გადავა. გარდა ამისა, შესაძლებელია ინვესტებით ვაჭრობა მოქალაქეებს შორის, კერძოდ, თუ ადამიანი განსაზღვრულ ეტაპზე დაინტერესებული არაა საკუთრების ქონით, მას შეუძლია სხვა მოქალაქეს მიყიდოს ეს ინვესტი საბაზრო ფასად, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების შედეგად მიიღება.

მართებულია, რომ სახელმწიფოს მიერ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნებისმიერი ქონება გაიყიდოს მხოლოდ ინვესტებზე, ღია, საჯარო, საყოველთაო ელექტრონულ აუქციონებზე ლოტების ან აქციების სახით.

ლოტების შემთხვევაში - მოქალაქეები ინვესტებით ყიდულობენ საპრივატიზაციოდ გამოტანილ სახელმწიფო ქონების ერთ ერთეულს. მაგალითად: მიწის ნაკვეთებს;

აქციების შემთხვევაში - მოქალაქეებს ინვესტები შეაქვთ მიმდინარე აუქციონზე გამოტანილი ნებისმიერი აქციათა პაკეტის შესაძენად. შეტანის ვადის დასრულების შემდეგ შეტანილი ინვესტები იყოფა სამიზნე აქციათა პაკეტში შემავალ აქციათა მთლიან რაოდენობაზე და დგინდება რამდენ ინვესტად გაიყიდა თითო აქცია. თითოეული მყიდველი კი საკუთრებაში შესაბამისად მიიღებს იმდენ აქციას, რამდენი აქციის ფასსაც დაფარავს მის მიერ გადახდილი ინვესტების რაოდენობა.

ამ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ნებისმიერი შესაძლებლობის და გავლენის მქონე პირი გარანტირებულად დაეპატრონოს საკონტროლო პაკეტს პირველსავე განთავსებაზე, გააჩენს მოთხოვნას საფონდო ბაზარზე და გააცოცხლებს საფონდო ბირჟას და მოახდენს მათ ინტეგრაციას შესაბამის საერთაშორისო ბირჟებზეც.

ღია აუქციონების გარდა, სადაც ინვესტებით ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება, გამოცხადდება დახურული აუქციონები სოფლების დონეზე. ანუ თავდაპირველად სოფელს და მის მაცხოვრებლებს მიეცემა სა-

შუალეზა უკონკურენტოდ, მინიმალურ ფასად, 1 ნაჩუქარ ინვესტადაც დაირეგისტრირონ ის მიწისა და ტყის ნაკვეთები, რომლებზეც მათ საკუთრებას სოფელში მოდავე არ ყავს. ამ ტიპის დახურულ აუქციონებში გარედან შემოსული პირი ვერ მიიღებს მონაწილეობას. ანუ პრობლემის გარეშე დაირეგისტრირებენ ტყის ნაკვეთებს, რომელსაც თაობებია ფლობენ, მაგრამ საკუთრებაში იქამდე გაფორმებული არ ჰქონდათ. კარგი იქნება, თუკი ეს პროცესი განხორციელდება სხვა აქტივების მასობრივ პრივატიზებასთან ერთად, რათა მასობრივი პროცესი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაქსიმალური ეფექტიანობით და უპრობლემოდ ჩატარდეს.

13. არ ფიქრობთ, რომ უფასო პრივატიზაციის შედეგად ღარიბი კიდევ უფრო გაღარიბდება, ხოლო მდიდარი უფრო მეტად გამდიდრდება?

ქონების უფასო განკერძოების პრობლემაში “ინვესტების” საშუალებით ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან თითოეულ მოქალაქეს საპრივატიზაციო ფული “ინვესტი” დაურიგდება თანაბრად. შესაბამისად, თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა აუქციონზე გამოსული აქტივის მესაკუთრე გახდეს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადამიანს არ სურს აქტივის დასაკუთრება, მას შეუძლია კუთვნილი “ინვესტი” გაყიდოს და ფულადი სარგებელი ნახოს. ანუ თუკი აქამდე მას არ ჰქონდა ფული, ინ-

ვესტის გაყიდვის შემდეგ მიიღებს გარკვეულ სარგებელს. ცხადია, ვინც უფრო მეტს მოინდომებს, მეტსაც მიაღწევს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროცესით ღარიბი კიდევ უფრო ვერ გაღარიბდება, პირიქით, ნებისმიერი სცენარით, ქვეყნის თითოეული მოქალაქე ღებულობს პირდაპირ სარგებელს, რომ არაფერი ვთქვათ დამატებით სარგებელსა და სიკეთეებზე.

უფასო განკერძოების შემდეგ, გაიზრდება ეკონომიკის მოცულობა, გაჩნდება მეტი ქონება, მეტი ბიზნესი და მეტი სამუშაო ადგილი. მარტივად, მეტი მდიდარი ადამიანი შეიძენს მეტ პროდუქტსა და მომსახურებას, რაც დამატებით მოთხოვნას გააჩენს წარმოებაზე და გაზრდის ბაზრის მასშტაბებს. თუნდაც, მდიდარმა ადამიანმა იზრუნოს მხოლოდ საკუთარი კომფორტის შექმნისთვის, ის დადებითად აისახება ეკონომიკურ გარემოზე, მაშასადამე სხვა ეკონომიკურ პროცესში მონაწილე მოქალაქეებზე. საკუთარ სახლთან მისასვლელი გზაც რომ მოაპირკეთოს, ესეც კი გახდება საზოგადოებრივი სარგებელი და სიკეთე.

14. მართებულია თუ არა სახელმწიფომ შეზღუდოს გარკვეული რეგულაციებით კერძო საკუთრების გასხვისების უფლება ?

- ეკონომიკის მთავარი გამოწვევა აქტივების ჩაკლული ლიკვიდურობის სრულფასოვანი აღდგენაა და ამ გზაზე ყველა ზედმეტი პირობა მ.შ. გასხვისების შეზღუდვა შემაფერხებელი და არამართებულია.

-ვალდებულებები ისედაც არსებობს, კერძო მესაკუთრე გადასახადს იხდის, არ აქვს მნიშვნელობა მიწას დაამუშავებს თუ არა, ქონებას გამოიყენებს თუ არა.

აქვე, რიტორიკული კითხვა - სახელმწიფო თუ იხდის თავის მთლიანი საკუთრებიდან გადასახადს? რა თქმა უნდა არ იხდის, რომ იხდიდეს, ეს დაემსგავსებოდა ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადატანას, რაც ნამდვილად სასაცილო სცენარს წარმოგვიდგენს. მაგრამ, მოდით წარმოვიდგინოთ რა შედეგს მივიღებდით დაახლოებით 2 ტრილიონი აშშ დოლარის ქონებაზე გადასახადი რომ მიეღო სახელმწიფო ხაზინას? რაც ყოველწლიურად ბიუჯეტისთვის ნამდვილად არ წარმოადგენს მცირე შენატანს, თუმცა ეს უკანასკნელი სრულფასოვნად მაშინაა შესაძლებელი, როცა სახელმწიფო ქონება კერძო საკუთრებად იქცევა.

უფრო ნათელი რომ იყოს: წარმოიდგინეთ, რომ გყავთ ბოლო მოდელის ავტომობილი, რომელიც ბაზარზე 100 000 აშშ დოლარი ღირს. არც ყიდვას პრობლემა ამ ფასში და არც გაყიდვა. უცებ, სპეციალურად თქვენი მარკის ავტომობილებისთვის სახელმწიფომ მიიღო შეზღუდვა და თქვენი ავტომობილით გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ 60 კმ/სთ სიჩქარით. რა მოუვა თქვენი ავტომობილის ფასს და ლიკვიდურობას? გაიზრდება თუ შემცირდება? ვფიქრობთ პასუხი მარტივია

15. უნდა იყოს თუ არა დაშვებული კერძო საკუთრების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა?

კერძო მესაკუთრეს არ უნდა აეკრძალოს მისი საკუთრების გაყიდვა, გაჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა. თავისუფალი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა გამოიყენოს კერძო საკუთრება მისი სურვილის მიხედვით. თუ ჩვენ შემოვიტანთ შეზღუდვებს და აკრძალავთ საკუთრების ყიდვა-გაყიდვას, ეს ნიშნავს კერძო საკუთრების ღირებულების განულებას, მესაკუთრე ვერ მოიზიდავს ფინანსებს წარმოების განვითარებისათვის, ვერ გამოიყენებს მას პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად (ოპერაციის დაფინანსებას თუ სხვა უმნიშვნელოვანეს საჭიროებას), თუ მესაკუთრე სხვა სფეროში ხედავს თავის თავს, უფლება არ ექნება გაყიდოს მისი საკუთრება და ამ ფულით წამოიწყოს სხვა ბიზნესი, რომელიც უფრო მეტ სარგებელს მისცემდა, ამავე დროს მეორე მხარეს დგას მყიდველი, რომლის ეკონომიკური ინტერესებიც ზარალდება.

16. რა ზიანს აყენებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვა ბაზარს და რითი განსხვავდება მაგალითად კერძო სუბიექტების მიერ წარმოებული პროდუქტის გაყიდვა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვისგან?

როდესაც კერძო სუბიექტები აწარმოებენ და ჰყიდიან საქონელს ერთმანეთში, ამით ბაზარზე არსებული ფულის ნაკადი მოძრაობს კერძო სუბიექტებს შორის.

ხოლო როდესაც სახელმწიფოს გამოაქვს საქონელი გასაყიდად, ამ შემთხვევაში მას ბაზრის კონკრეტული სეგმენტიდან ამოაქვს ფულის მასა, რაც აზარალებს ბაზრის მონაწილე კერძო სუბიექტებს.

პრობლემას წარმოადგენს საპრივატიზაციოდ გამოტანილი აქტივების ფასები, რომლებსაც სახელმწიფო ადგენს. მაგალითისთვის: ერთი კვადრატული საპრივატიზაციო მიწის ფასი შეადგენს 10-15 თეთრს და ეს იმ პირობებში, როდესაც ერთ კვადრატულ მეტრ მიწაზე მოყვანილი ნებისმიერი პროდუქციის ღირებულება 10-ჯერ და 100-ჯერ აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასს ერთ კვადრატულ მიწაზე. ფულზე პრივატიზაციის გზით ინტერვენცია ბაზარზე, პირდაპირ თუ ირიბად ხელს უშლის აქტივების ლიკვიდურობას და შესაბამისად ბაზრის განვითარებას, ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას და თავისუფალ საბაზრო გარემოს.

17. როგორ უკავშირდება ქონების ლიკვიდურობა, მისი ფასი და კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა?

საწყის მდგომარეობად უნდა ავიღოთ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული აქტივი. ამ პირობებში პოტენციურ ინვესტორს საქმიანი ურთიერთობის დაჭერა უწევს სახელმწიფოსთან, რომელსაც მუდმივად აქვს საკუთარი მოთხოვნები და ცვალებადი პოლიტიკური გარემო, ხოლო ამგვარ ურთიერთობაში სახელმწიფო იტოვებს


დომინირებად როლს. საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ვადიან იჯარაზე/ლიცენზიაზე. ამასთან, იჯარის ხელშეკრულების ამოწურვის შემდგომ, სახელმწიფოს უბრუნდება იჯარით გაცემული აქტივი, ხოლო ინვესტორი იძულებულია იზრუნოს ხელშეკრულების გაგრძელებაზე. ყოველივე აღნიშნული ნეგატიურად მოქმედებს მის კომერციულ მოტივაციაზე. აქტივის უნარჩუნდება დაბალი ლიკვიდურობა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ წარმოიშვება კერძო საკუთრება, ხოლო ბაზარზე საპრივატიზაციო აქტივის მიმწოდებელი ისევ სახელმწიფოა. განკერძოების შემთხვევაში მარტივდება ეკონომიკური პროცესიც. აქტივი გადადის კერძო საკუთრებაში, რაც თავის თავში გულისხმობს მუდმივი და შეუფერხებელი სარგებლობის, გაყიდვის, გაჩუქების, ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას. აქტივის ფასი უთანაბრდება საბაზრო ფასს, მისი გატანა უკვე შესაძლებელია საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე. ყოველივე ეს კი პოზიტიურად მოქმედებს მის ლიკვიდურობაზეც.

18. რატომ არ აქცევს სათანადო ყურადღებას თანამედროვე ეკონომიკური თეორია სახელმწიფო ქონების უფასო პრივატიზებას?

ის, რაც დღეს საქართველოსა და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხდება, არის უნიკალური, ისტორიული პრეცედენტის არმქონე პროცესი.

ყოფილი და არსით დღემდე სოციალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვაგან, სადაც კერძო საკუთრების ყოვლისმომცველი ნაციონალიზაცია (სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა) არ მომხდარა, დღის წესრიგში პრივატიზაციის თემა აქტუალური არ არის და შესაბამისად, დანარჩენ სამყაროში კერძო საკუთრება ბუნებრივად დომინირებს. მეტიც, ნორმალურ ქვეყნებში ძირითადი კაპიტალის საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა, ე.წ. საფონდო ინდექსების სიდიდე, ჩვენგან განსხვავებით, ეკონომიკური დღის წესრიგის და ყურადღების უმთავრესი საგანია.

როგორც წესი, საყოველთაოდ აღიარებული ეკონომიკური თეორიები, მათ შორის, ახალი თეორიები, ძირითადად იწერება მაღალ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მათსავე მაგალითზე და გამოცდილებაზე. აღნიშნული ეკონომიკური თეორიები მიმართულია ამ სივრცის თვალთახედვიდან დღის წესრიგში არსებული ამოცანების გადაჭრისკენ. ამიტომაც, პოსტსოციალისტურ სივრცეში ჯერ არ შექმნილა ეკონომიკური თეორია, რომელიც ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარ და ყველაზე ეფექტურ გამოწვევაზე, უფასო პრივატიზებაზე, იქნებოდა ორიენტირებული.



19. რა არის ინვესტი? რისთვის გჭირდება და რა ფუნქცია ენიჭება საპრივატიზაციო ნიშან ინვესტს?

ინვესტი არის საპრივატიზაციო ნიშანი, ელექტრონული ფორმით, რომელიც გამოიყენება მხოლოდ უფასო განკერძოების პროცესში, აუქციონებში სახელმწიფო ქონების შესაძენად (ჩვეულებრივი ფულის ნაცვლად).

“ინვესტი” მხოლოდ ორ მართვს ამოცანას ასრულებს:

1. მაქსიმალურად მიუკერძოებლად, ვინმეს ნების გარეშე ნაწილდება ხალხში და ქმნის უფასოდ გასანაწილებელი სახელმწიფო ქონების შესყიდვის თანაბარ შესაძლებლობებს; 2. ხელს უწყობს საჯარო აუქციონების მიუკერძოებლად გამართვას, სადაც ელექტრონულად გამჭვირვალე პროცესში არაჯანსაღი ჩარევა და კორუფციის რისკი ნულს უტოლდება.

ხატოვნად რომ შევადაროთ, ინვესტი ასრულებს ე.წ “გორგოლაქის” ფუნქციას, რომელმაც გაჩერებული სახელმწიფო (საკუთრება) ქონება ეფექტურად და სამარ-

თლიანად უნდა გადააგოროს კერძო საკუთრებისკენ - ანუ აქციოს ის კერძო საკუთრებად.

20. შესაძლებელი იქნება თუ არა „ინვესტის“ გამოყენება ისეთი ქონების განსაკერძოებლად, როგორიცაა სასოფლო მიწის ნაკვეთი? თუ კი, მაშინ როგორ?

სასოფლო მიწების განკერძოება მოხდება ღია აუქციონებზე ლოტებად „ინვესტების“ საშუალებით. ამ შემთხვევაში განკერძოების პროცედურები ანალოგიური სახისაა, რაც ხორციელდება ფულზე პრივატიზების შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ ფულის მაგივრად გამოიყენება მხოლოდ „ინვესტები“.

/მიწის პრივატიზების პროცესი დეტალურად იხ. კითხვები №36-54/

21. შესაძლებელი იქნება თუ არა „ინვესტის“ გამოყენება ისეთი ქონების განსაკერძოებლად როგორიცაა სასარგებლო წიაღისეული? თუ კი, მაშინ როგორ?

დიახ, „ინვესტის“ გამოყენება შესაძლებელი იქნება ნებისმიერი აქტივის, მათ შორის წიაღისეულის აქციების შესაძენად.

წიაღისეული აუქციონზე გამოვა აქციების სახით, რომელთა შემენაც მოხდება ინვესტების მეშვეობით. ერთ აუქციონში გამოტანილი აქციათა რაოდენობა გადანა-

წილდება თითოეულ მონაწილეზე შეტანილი ინვესტი-
ბის პროპორციულად.

*/წილის პრივატიზების პროცესი დეტალურად იხილეთ,
კითხვები №55-66/*

**22. არის თუ არა ინვესტი ისეთივე ვაუჩერი, როგორიც
იყო მაგალითად 90-იან წლებში? რა უპირატესობები
გააჩნია „ინვესტს“ ვაუჩერებთან შედარებით?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა
უნდა აღინიშნოს მთავარი გარემოება: 90-იან წლებში
სახელმწიფო აღმოჩნდა სერიოზული გამოწვევის წინა-
შე. მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, საქარ-
თველოში დარჩა სრულიად არაკონკურენტუნარიანი,
ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი საწარმოები, სადაც
მუშაობდა ათასობით ადამიანი.

ცხადი იყო, რომ ამ პირობებში დასაქმებულთა ხელ-
ფასების გადახდას სახელმწიფო ვერ შეძლებდა და ამი-
ტომაც მიმართა შემდეგ მზაკვრულ ხერხს - უმეტეს შე-
მთხვევაში მოახდინა ასეთი არამწარმოებლური საწარ-
მოების ვაუჩერებით პრივატიზება. დიახ ეს ის საწარ-
მოებია, რომლებიც უკვე ეკონომიკურად დისკრედი-
ტირებული და განადგურებული იყო. აქედან გამომ-
დინარე ამ საწარმოების ფუნქციონირება თავიდანვე
განწირული იყო. ხოლო მთავარი ქვეყნის სიმდიდრე
(ურბანული და სასოფლო მიწები; წიაღისეული; ტყე;

შენობა-ნაგებობები; საწარმოები) რასაც ფასი არ დაუკარგავს, დღესაც სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

- შესაბამისად, თუკი 90-იან წლებში ვაუჩერების უკან იდგა ეკონომიკურად უპერსპექტივო და რისკებით სავსე ქონება, დღეს „ინვესტების“ უკან დგას მნიშვნელოვანი და ღირებული ქონება.
- ვაუჩერებით პრივატიზებას ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი და საბაზრო აქტივობაში აბსოლუტურად გამოუცდელმა მოქალაქეებმა უმეტეს შემთხვევაში უყაირათოდ გამოიყენეს ან რამდენიმე ლარად გაყიდეს.
- უდიდესი შეცდომა იყო სახელმწიფოს მიერ ვაუჩერზე ფასის დაფიქსირება 30 აშშ დოლარის ოდენობით (ეს ვაუჩერის ბანკნოტზე ზედ არ ეწერა, მაგრამ შესაბამის საკანონმდებლო ნორმაში განისაზღვრა), რამაც განაპირობა ფინასურად გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობის ვაუჩერების მყისიერი გაყიდვის სურვილი, შედეგად ფასის კლების პანიკურმა შიშმა ბაზარზე გამოიწვია ვაუჩერების ჭარბი მიწოდება, რის გამოც სწრაფად დაეცა ვაუჩერების საბაზრო ფასი, რიგ შემთხვევებში 5 ლარამდეც კი.
- ასევე შეცდომა იყო, რომ საპრივატიზაციო ობიექტის შემენა შესაძლებელი იყო როგორც ვაუჩერთან ერთად ფულის დამატებით, ისე სხვა საპრივატიზაციო ობიექტების მხოლოდ ფულზე გაყიდვით, რამაც პრაქტიკულად ვაუჩერს გამოაცალა მთავარი საპრივატიზაციო ფუნქცია, შესაბამისად ამანაც ხელი შეუწყო ვაუჩერის გაუფასურება-დისკრედიტაციას.

ანუ ვაუჩერებით პრივატიზების პარალელურად გამო-
იყენებოდა ასევე ფულით პრივატიზების პროცესი.

- განსხვავებით ვაუჩერისგან „ინვესტების“ დარიგება იქ-
ნება ყოველთვიური, ანუ პერმანენტული, რაც ზემოთ
მოყვანილ შეცდომებს გამორიცხავს.
- საბოლოოდ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის 30
წლის განმავლობაში მოსახლეობაში მნიშვნელოვნად
გაიზარდა ქონების/აქტივების განკარგვა-გამოყენების
უნარები.

23. რატომ თვლით რომ „ინვესტების“ პერმანენტული დარიგება სასარგებლოა?

შესაძლოა, რომ მოქალაქეების ნაწილმა სათანადოდ არ
შეაფასოს „ინვესტების“ რეალური ღირებულება. კერ-
ძოდ, არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოქალაქემ მიღე-
ბული „ინვესტი“ ბაზარზე გაყიდოს ძალიან იაფად.
თუმცა თვის ბოლოს საზოგადოება უკვე იგებს აუქცი-
ონების შედეგებს და მის ეკონომიკურ ეფექტს, სადაც
„ინვესტის“ მესაკუთრე აუცილებლად დაინახავს და გა-
ანალიზებს დაშვებულ შეცდომას. ამ შეცდომის შემ-
დგომში აღმოსაფხვრელად მას კვლავაც არაერთი შე-
საძლებლობა მიეცემა „ინვესტების“ ყოველთვიური და-
რითებით.

მაგალითად, თუკი ადამიანმა მიიღო ინვესტი თვის
დასაწყისში და ის გაყიდა ძალიან იაფად, თვის ბოლოს
უკვე ცხადდება აუქციონების შედეგები და ეს მოქალა-

ქე იგებს თუ რა ქონება იყიდა მის მიერ იაფად გაყიდულმა „ინვესტმა“. მომდევნო თვეში ის ისევ იღებს „ინვესტებს“ და აქვს წინა თვის დასაწყისში დაშვებული შეცდომის გამოსწორების შანსი. როგორც აღვნიშნეთ, ინვესტების დარიგების პროცესი არის პერმანენტული, ხოლო ადამიანები სწავლობენ და ითვისებენ საჭირო უნარებს პროცესთან ერთად.

24. რა ელირება ინვესტი? დატანილი იქნება თუ არა „ინვესტზე“ ნომინალი (ღირებულება) და რა მნიშვნელობას ანიჭებს მას?

ინვესტის ღირებულება წინასწარ არ იქნება განსაზღვრული, რადგან ღირებულების დადგენა დამაზარალებელი შეცდომაა (სწორედ წინა კითხვაში ვაუჩერთან მიმართებაში მოყვანილი არგუმენტიდან გამომდინარე).

ინვესტის ფასი ბუნებრივად ჩამოყალიბდება ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მოქალაქე თავად გადაწყვეტს ვის და რა ფასად მიყიდოს მის საკუთრებაში არსებული ინვესტი.

ბაზარზე აუცილებლად გამოჩნდებიან სუბიექტები, რომლებიც მარტივად დათვლიან თვეში 4 მილიარდამდე ინვესტის დარიგებით (თითო მოქალაქეს 1000 ცალი), საბოლოო ჯამში, გარკვეულ დროში რამდენი ინვესტი დაემატება ბაზარს, ამავე დროში რა მიმდინარე და პოტენციური ღირებულების სახელმწი-

ფო საკუთრების აქტივებით დასაქონლდება პრივატიზაციის პროცესი (ინფორმაცია პერმანენტულად საჯაროდ განახლდება საპრივატიზაციო ობიექტების მომზადების შესაბამისად) და საბოლოო ჯამში, სხვა თანმდევი მონაცემების გააზრებით, საკმაოდ სანდოდ ჩამოყალიბდება ერთეული ინვესტის მიმდინარე თუ პერსპექტიული საბაზრო ფასი.

25. შესაძლებელი იქნება თუ არა „ინვესტის“ ყიდვა-გაყიდვა?

„ინვესტი“ ეს არის ღირებულების მქონე საპრივატიზაციო ნიშანი (როგორც ფასიანი ქაღალდი), რომელიც არის თავისუფალ ბრუნვაში და მისი განკარგვა შეუძლიათ მესაკუთრეებს საკუთარი შეხედულებისამებრ, მაშასადამე ის ხდება თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი.

26. რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოყვეს იმას, თუ მოქალაქეებს აკრძალვბათ „ინვესტების“ ყიდვა-გაყიდვა?

თავისუფალი ბაზრის ფორმირება შეუთავსებელია ხელოვნურ შეზღუდვებთან. „ინვესტების“ თავისუფალ მოძრაობას (გაცვლა-გაყიდვა-გაჩუქება) არ უნდა აბრკოლებდეს რაიმე ტიპის ბარიერები. აკრძალვის შემთხვევაში პრივატიზების პროცესი მიიღებს მახინჯ

ფორმას და მისით მისაღები სიკეთე ხელმისაწვდომი გახდება მხოლოდ სახელმწიფო ბი-უროკრატებისთვის.

ზოგადად, ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი, თუ მას რა-იმე შეზღუდვა აქვს ბრუნვაში, აუცილებლად უფასურდება იმავე შინაარსისა და ნომინალური ღირებულების ფასიან ქაღალდთან შედარებით. კერძოდ სახელობითი აქცია, რომელიც ფიქსირებულია აქციონერთა რეესტრში კონკრეტულ მესაკუთრეზე, ყოველთვის ნაკლებად ფასობს ბაზარზე, ვიდრე იგივე ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქცია წარმომდგენზე. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან “ინვესტის” ნაკლები ფასი ავტომატურად ნიშნავს გასანაწილებელი აქტივის ნაკლებ საბოლოო ფასს, გაანგარიშებულს ჩვეულებრივ ფულში, უმთავრესი მიზანი კი ქვეყნის ძირითადი აქტივის საბაზრო ფასის და ლიკვიდურობის მაქსიმალური ამაღლებათ.


ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვა წარმოქმნის შავ ბაზარს და ფიქტიურ გარიგებებს. მაგალითად, კონკრეტული სახელმწიფო აქტივის ყიდვის მსურველი წინასწარ გარიგებას დებს ინვესტის მესაკუთრესთან, ფიქტიურად ყიდულობს ინვესტს და შედის გარიგებაში მესაკუთრესთან, რათა მის სასარგებლოდ შეიძინოს სასურველი აქტივი, ან ინვესტის მესაკუთრეები ყიდულობენ ნებისმიერ აქტივს დასაკუთრებისთანავე იწყებენ ამ აქტივების მოშორებას (გაყიდვას) რაც ბაზარზე არასწორ საბაზრო ორიენტირებს შექმნის.

თუნდაც, ასარჩევად რომ გვქონდეს, ორი ტიპის ინვესტი, ერთი გაყიდვის უფლებით, ხოლო მეორე გაყიდვის უფლების გარეშე, რაციონალურად მოაზროვნე მოქა-

ლაქე ცხადია ყოველთვის პირველი ტიპის ინვესტს მიანიჭებს უპირატესობას.

27. ვინ გამოუშვებს „ინვესტს“ და ექნება თუ არა მას ელექტრონული ფორმა?

„ინვესტის“ გამოშვებაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს ეროვნული ბანკი. „ინვესტს“ ექნება ელექტრონული ფორმა.



28. თანაბრად მიიღებს თუ არა „ინვესტს“ საქართველოს ყველა მოქალაქე?

უფასო განკერძოების პროცესის განმავლობაში საქართველოს ყველა მოქალაქე მიიღებს თანაბარი რაოდენობის, 1000-1000 „ინვესტს“ ყოველთვიურად.

29. სად შეძლებენ მოქალაქეები „ინვესტების“ მიღებას და ტრანზაქციების შესრულებას?

„ინვესტების“ მიღება შესაძლებელი იქნება წინასწარ განსაზღვრულ სუბიექტების მეშვეობით (უფლებამოსილი ბანკები ან ბანკების ფილიალებში, პირად ან

მეურვის ანგარიშებზე მათი სისტემატური დარიცხვით).

30. მიიღებენ თუ არა „ინვესტებს“ 18 წლამდე არასრულწლოვნები და ვის მიერ მოხდება მათი განკარგვა?

ნებისმიერი მოქალაქე რომელსაც ენიჭება პირადი ნომერი მიიღებს „ინვესტებს“. არასრულწლოვანთა „ინვესტების“ განკარგვა დაეკისრებათ მშობლებს, ან მეურვედ უფლებამოსილ სხვა ნებისმიერ პირს.

თუ ანგარიშის მფლობელი არასრულწლოვანია ამ შემთხვევაში მშობელს აქვს უფლება შესაბამისი დოკუმენტების (არასრულწლოვანის დაბადების მოწმობა ქორწინების მოწმობა, საკუთარი პიროვნების მაიდენტიფიცირებადი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში განკარგოს არასრულწლოვანი პირის ანგარიშზე დარიცხული საპრივატიზაციო ფული ზემოთ აღწერილი სქემით.

31. როგორ მოხდება ინვესტების გაცემა სხვა სპეციალურ შემთხვევებში:

- არასრულწლოვანი უპატრონოს მეურვის შემთხვევაში პროცედურული მოთხოვნები იგივე იქნება, რაც წინა კითხვის პუნქტში არასრულწლოვნების მშობლების მიმართ, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში.

- არასრულწლოვანი უპატრონოს მეურვის არ არსებობის შემთხვევაში, მათ ანგარიშზე არსებული “ინვესტები” სრულწლოვანების მიღწევამდე გადაეცემა მსურველ საინვესტიციო ფონდებს სათანადო ვალდებულებითა და პასუხისმგებლობით
- ემიგრაციაში წასული პირები:
 - მათ შეუძლიათ მინდობილობის საფუძველზე საკუთარი სპეც. ანგარიშის მართვა დაავალონ მათთვის სასურველ ადამიანს.
 - თავად ჩამოვიდნენ საქართველოში და ისარგებლონ ჩვეულებრივი რეჟიმით.
 - გამოიყენონ კომერციული ბანკის მიერ სპეც. ანგარიშისათვის შექმნილი ონლაინ ბანკინგის ოფცია და სისტემაში შესვლა განახორციელონ ID ბარათის ავტორიზაციის გზით.
- უწარმეზღუდული პირები საკუთარი სპეც. ანგარიშის მართვას მოახდენენ მეურვის, მინდობილი პირის მეშვეობით.

32. მიიღებენ თუ არა „ინვესტებს“ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში არიან დაბადებულნი, მაგრამ ამჟამად ცხოვრობენ საზღვარგარეთ და ფლობენ მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეობას?

ამ კატეგორიის პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ორმაგი მოქალაქეობის წესით. რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ ასევე იმ პირებს, რომლებიც ბოლო ერთი

წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობენ საქართველოში და აკმაყოფილებენ მოთხოვნებს საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად. საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობა.

ინვესტებს მიიღებს აფხაზეთის და სამაჩაბლოს ყველა მაცხოვრებელი, რომელიც წარადგენს თანხმობას საყოველთაო პრივატიზაციაში მონაწილეობის მიღებაზე.

33. შესაძლებელია თუ არა მოქალაქემ დაკარგოს „ინვესტი“?

თითოეულ მოქალაქეს აქვს უნიკალური ანგარიშის კოდი, შესაბამისად ელექტრონული ფორმით არსებული ინვესტის დაკარგვის რისკი არ არსებობს. მესაკუთრემ შეიძლება დაკარგოს ბარათი, რომლის აღდგენაც შესაძლებელია, შესაბამისად მასზე აისახება დაკარგვამდე არსებული ინვესტები.

34. ქონების „ინვესტებით“ პრივატიზების პარალელურად იქნება თუ არა სწორი ქონების პრივატიზება ჩვეულებრივ ფულზე?

არა, ამ შემთხვევაში ვერ მიიღწევა მთავარი მიზანი - სწრაფი და სამართლიანი პრივატიზაცია. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია 90-იან წლებში დაშვებული შეცდომებისა და გადაცდომების განმეორება, როდესაც ვა-

უჩერთან ერთად საპრივატიზაციო საშუალებად გამო-
იყენებოდა ასევე ეროვნული ვალუტა.

/თემაზე დამატებით იხ. კითხვები №11;12/

**35. უფასო განკერძოების პროცესში რამდენად შეძლებს
აღლო აულოს და ისწავლოს ყველა მოქალაქემ? ხომ არ
დარჩებიან მოქალაქეები პროცესის მიღმა?**

უმაღლესი განათლებისთვის 4 წელია საჭირო,
სამეცნიერო-რო ხარისხის მისაღებად მინიმუმ 9 წელი.
ხატოვნად, რომ ვთქვათ - საკუთრების გარეშე ამ სახის
სწავლებები „პარკეტზე ცურვის“ სწავლას ხომ არ
ემსგავსება... ან მუხლამდე წყალში ცურვის სწავლას...

ჯერ წყალი უნდა იყოს შესაბამის დონემდე (ანუ კერძო
საკუთრება) და შემდეგ შეგიძლიათ გაუკეთოთ მაშვე-
ლი ჟილეტიც. ოღონდ ძალით არა, მხოლოდ მას ვისაც
ამის სურვილი ექნება. ის ვინც მაშველი ჟილეტით იქ-
ნება, ისეთი მოქნილი ვერ იქნება, როგორც სხვები. ასე-
ვე კერძო საკუთრების გარეშე შეუძლებელია ასწავლო
სამეურნეო პროცესი, მითუმეტეს მაშინ, როცა მასწავ-
ლებელზე უკეთ კერძო საკუთრების განკარგვა და სამე-
ურნეო პროცესში ჩართვა შესაძლოა მოსწავლეებმა იც-
ოდნენ და უკეთაც გამოსდიოდეთ.

ცხოვრებისეულ პრაქტიკაში უხვად არის მაგალითი
იმისა, თუ როგორ განკარგავენ საკუთარ ქონებას ის
ადამიანები, რომლებიც არ ფლობენ ეკონომიკურ მეც-
ნიერებას და არ გამოირჩევიან ბიზნესის წარმოების
უნარებით. მაგალითად, პროფესიონალი სპორტსმე-
ნები, რომელთაც საკუთარ ანგარიშზე მაღალი შემოსა-

ვალი უფიქსირდებათ. ისინი ქირაობენ ფინანსისტებს და ხელშეკრულების საფუძველზე ანდობენ მათ საკუთარ რესურსებს. მაღალი კონკურენციის პირობებში საუკეთესო მენეჯერები ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებენ, ისინიც განკარგავენ სპორტსმენების ფინანსებს, აბანდებენ თანხებს მომგებიან ბიზნესში და უზრუნველყოფენ დივიდენდებს.

პირველი ეტაპისთვის ეს საკვებით მისაღები გამოსავალია. დროთა განმავლობაში მესაკუთრე თავად ეუფლება საჭირო ცოდნას, უნარ ჩვევებს და სწავლობს საკუთარი აქტივების განკარგვას.

სასოფლო მიწების უფასო განკერძოება

- 36. რა არის სოფლის მეურნეობის მთავარი პრობლემა საქართველოში? რატომ არ ვითარდება საქართველოში სოფლის მეურნეობა?**

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის მრავალი პრობლემაა: მიწის დამუშავება, თესვა, თანამედროვე ტექნოლოგიები, სარწყავი სისტემა, აგრო დაზღვევა და ა.შ. მაგრამ მთავარი პრობლემა არის ფინანსები, რომელიც არის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და ჩამოუთვლელი პრობლემის გადაჭრის უნივერსალური საშუა-

ალეზა და საფუძველი. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანს რომ ჰქონდეს შესაბამისი ფინანსები, ის თავად შეიძენდა შესაბამის ტექნიკასა თუ მომსახურებას და გადაწყვეტდა მის წინაშე არსებულ პრობლემებს. თუ კონკრეტულ საკითხში კვალიფიკაცია დააკლდება, ფინანსების არსებობის პირობებში არც ეს იქნება პრობლემა, დაიქირავენ ამ კვალიფიკაციის მქონე ადამიანს და მიიღებს იმ მომსახურებას რაც მისი მეურნეობის განვითარებისათვის არის მნიშვნელოვანი.

მიწის ღირებულება პირდაპირ კავშირშია კერძო საკუთრებასთან. რაც უფრო მაღალია მიწის საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა, მით უფრო მეტი ფინანსების მოზიდვა შეუძლია მის მესაკუთრეს. საქართველოში მიწის დაბალ ღირებულებას კი განაპირობებს განკერძოების დაუსრულებელი პროცესი. შესაბამისად, დაბალი ფასის პირობებში მიწა (აქტივი) ვერ იზიდავს ფინანსებს, რომელიც საჭიროა კვლავწარმოების პროცესისათვის. დაბალი ღირებულების გამო, მიწა ვერ არის სესხის სათანადო გარანტი, რაც ხდება შესაბამისი საქმიანობის არასაკმარისი დაფინანსების მიზეზი.

კერძო საკუთრების რეალურად ფორმირებისათვის და მიწების (აქტივების) ფასის ზრდისათვის აუცილებელია ბაზარზე პრივატიზების პროცესის შედეგად სახელმწიფოს მიერ გაჩენილი ჭარბი მიწოდებისა და მიწოდების მოლოდინის გაქრობა, რის შემდეგაც მიწაზე მოთხოვნის ზრდა გაზრდის მათ ფასს. ალბათ ყველაზე არაგონივრული ნაბიჯი იქნებოდა პროცესის შეჩერება, ამიტომაც აუცილებელია პრივატიზების სწრაფად დასრულება.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სოფლის მეურნეობა არ ვითარდება სოფლის მიწების სიმცირე და ფრაგმენტაციაა. მაგალითად, ოჯახური მეურნეობის სარგებლობაში დღეს, დაახლოებით 1.14 ჰექტარი მიწაა, ანუ ხალხს ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად ძალიან მცირე მიწის ფართობი აქვს. იმის გამო, რომ სასოფლო მიწების დიდი წილი სახელმწიფოს ხელშია, ეს ხელს უშლის მოსავლიანობის ზრდას, უფრო კონკრეტულად, საქართველოში მარცვლოვანი კულტურის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე მხოლოდ 2.5 ტონაა, მაშინ როცა იგივე მოსავლიანობა ევროკავშირში 5.3 ტონაა, თურქეთში 3.2 ტონა, უკრაინაში კი 5 ტონამდე.

უბრალო დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ სოფლად მაცხოვრებელთა ეკონომიკური კეთილდღეობა მთავარი აქტივის მიწის სიმცირის გამო მაღალი ვერ იქნება და ამაში მნიშვნელოვანი როლი მიწაზე არასრულფასოვან კერძო საკუთრებას მიუძღვის. შესაბამისად საჭიროა უმოკლეს ვადაში სახელმწიფო მიწების პრივატიზაცია მიწის მოსახლეობაზე უფასოდ გადაცემის გზით

თუკი პრივატიზების პროცესი გაგრძელდება სახელმწიფო სასოფლო სავარგულების ფულზე გაყიდვის გზით, ეს მნიშვნელოვანად აზარალებს საოჯახო მეურნეობებს, უარყოფითად იმოქმედებს ბაზრის თავისუფლებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რადგან თანხა აგრარული სექტორიდან გადაინაცვლებს სხვა სფეროში, თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტში.

პრივატიზების დასრულების, ანუ სახელმწიფო მიწების (აქტივების) კერძო საკუთრებაში გადასვლის უსწრაფესი გზა არის სახელმწიფო მიწების უფასოდ გადა-

ცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის. რადგან მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარი დროში აჭიანურებს პროცესს. დღევანდელი ტემპით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლას რამოდენიმე ათეული წელი დასჭირდება. ამ დროის განმავლობაში მიწის ფასის ზრდა რეალურ საბაზრო ღირებულებამდე ვერ მოხდება და შესაბამისად ვერ განვითარდება სოფლის მეურნეობაც.

37. რატომ არ მუშავდება მიწები და რა უშლის ხელს კერძო მესაკუთრეებს კერძო მიწების დამუშავებაში?

დღესდღეობით 1 ჰა. მიწაზე ყველაზე იაფი და მასიური წარმოების კულტურა (მაგ; კარტოფილი) მინიმუმ 2500-5000 ლარის დანახარჯს ითხოვს, საუბარია წარმოების პროცესზე მარტივი, ტრადიციული მეთოდით, ყოველგვარი ნოვაციის გარეშე, მაგრამ თუკი წარმოების პროცესში ტექნოლოგიებს გამოვიყენებთ, დანახარჯი რამდენჯერმე გაიზრდება. როდესაც მინიმუმ 2500 ლარი მხოლოდ წარმოებისთვის იხარჯება, რომლის ხანგრძლივობაც 5 თვიდან 9 თვემდე გრძელდება, ამ თანხაში არ მოიაზრება არც ბუღალტრული და არც ეკონომიკური მოგების თანხა. თუკი სოფლად მოსახლეს 1(ერთი) ჰა. მიწა აქვს და მის უკან თავისი პირველადი მოთხოვნებით 3 სულიანი ოჯახი დგას, ბუნებრივია რომ გარკვეული მოცულობის თანხა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც უნდა დაიხარ-

ჯოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახის გასავალი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

პრაქტიკული კვლევების მიხედვით 1 კვ. მიწა საშუალოდ 10-15 თეთრი ღირს, ხოლო მასზე დაწყებული წარმოება ამავე ფართობზე მინიმუმ 40 თეთრი ჯდება (რიგ შემთხვევებში გაცილებით მეტია საჭირო). ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რამდენად ეფექტურია ამ ვითარებაში მიწაზე სამუშაოების დაფინანსება? 10 თეთრის ღირებულების მქონე მიწაზე დამფინანსებელმა შეიძლება გასცეს მაქსიმუმ 6 თეთრი, ესეც იმ მოლოდინით, რომ უკან 7 თეთრს მაინც დაიბრუნებს. ცხადია, რომ თუნდაც არასრული ხარჯების გათვალისწინებით წარმოებული სამუშაოებიდან მოგება კვადრატულ მიწაზე მიღებული დაფინანსების მომსახურებისათვის 2 თეთრზე მეტის მიღებაც საეჭვოა, რადგან შეუძლებელია და არ არსებობს ისეთი სამუშაო, სადაც 40 თეთრიანი საქმე 6 თეთრში შესრულდება.

- მოყვანილი მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სანამ სასოფლო მიწის ღირებულება დაბალია, კერძო მესაკუთრის მიერ მიწის დამუშავება შეუძლებელია ჯანსაღი საბაზრო სქემით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა და ფერმერები, რომლებიც დღემდე ახერხებენ სოფლის მეურნეობაში პროდუქტის წარმოებას, ამას ახერხებენ სხვა მხრიდან და სხვა გვარად მოზიდული სახსრებით (სხვა აქტივის უზრუნველყოფით, ან დამატებით სამეგობრო-სანაცნობოდან ნასესხები სახსრებით) და ოჯახის წევრების პიროვნული მარიფათის ხარჯზე.

შესაბამისად ვერ ასრულებს სრულყოფილად წარმოებას და დაბალია მათი შრომის მწარმოებლურობა, რის გამოც სოფლის მეურნეობის პროდუქტები, არათუ საერთაშორისო ბაზარზე, არამედ რიგ შემთხვევებში შიდა ბაზარზეც ვერ უწევენ კონკურენციას იმპორტირებულ სასოფლო პროდუქტებს.

38. რატომ უნდა გადაეცეს (დაუბრუნდეს) ხალხს სასოფლო სამეურნეო მიწები საკუთრებაში ?

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების რესურსი (საერთო ოდენობის დაახლოებით 60%) აბსოლუტურად გათიშულია საზოგადოებრივი კეთილდღეობიდან, შესაბამისად ის არარენტაბელურია და მისგან მიღებული სიკეთეც თითქმის ნულს უტოლდება. ვიდრე ის, რომ სახელმწიფოს ხელში უსარგებლოდაა და ვერ მონაწილეობს დოვლათის შექმნაში (აქ მოიაზრება ყველა ტიპის მიწა).

ამგვარად მეტი ეკონომიკური ეფექტიანობისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის, თავისუფალი ბაზრის ფორმირებისა და კონკურენტუნარიანი სასოფლო პროდუქტების წარმოებისთვის გარდაუვალი პირობაა სასოფლო მიწების კერძო საკუთრებად ქცევა.

თუ ეკონომიკის ფუნდამენტური კანონზომიერებებით ვიმსჯელებთ, სახელმწიფო მიწების მოქალაქეებისათვის უფასოდ აქტიურად დარიგების შემთხვევაში მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლა დამთავრდება დაახლოებით 6 თვეში. ეს პროცესი სახელმწიფოს ანუ „პი-

რველად ბაზარს” გამოთიშავს მიწის საერთო ბაზრიდან, გააქრობს ჭარბ მიწოდებას და სრულად აამუშავებს “მეორად ბაზარს” (კერძო სუბიექტების ბაზარი). მეორადი ბაზრის მონაწილეები, როგორც ვიცით, არიან სრულფასოვანი კერძო მესაკუთრეები. ამის შემდეგ ნებისმიერი მოთხოვნა - მიწოდება მიწაზე უკვე ხორციელდება საბაზრო მექანიზმებით, იზრდება მიწის ფასი რეალურ ნიშნულამდე და შესაბამისად საზოგადოებრივი კეთილდღეობაც იმატებს. შედეგად უმოკლეს პერიოდში 1 კვ.მ სასოფლო დანიშნულების მიწა თავისუფლად მოიზიდავს მინიმუმ 1 ლარს, ანუ სოფლის მეურნეობას აქვს პოტენციალი მოიზიდოს დაახლოებით 10 მილიარდი ლარის ინვესტიცია, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტითა თუ ნებისმიერი მოზიდული თანხებით ვერასდროს შეძლებს.

39. სახელმწიფოს მხრიდან მიწის გაყიდვა ფულზე უშლის თუ არა ხელს თავისუფალი ბაზრის განვითარებას ?

სანამ სახელმწიფო მიწებს ყიდის, მეორადი ბაზრის განვითარებაზე საუბარიც ზედმეტია და თუ რატომ, ეს წინა კითხვებში განვიხილეთ. სოფლის მეურნეობა განხვევრებული სიმძლავრით და თანაც პარალიზებულად იმუშავებს, ვერ მოხდება ბუნებრივი გამსხვილება, არ იქნება საკმარისი ინვესტიციები. არ იქნება რენტაბელობა და ის სათანადოდ ვერ იფუნქციონირებს კონკურენტუნარიანი, ჯანსაღი ბაზრის გარეშე. რადგან ნოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვა, განვითარე-


ბა დაფინანსებისა და ინვესტიციის გარეშე ვერ მოხერხდება.

- სანამ "პირველად ბაზარზე" (სახელმწიფო) მიწოდება (ან მიწოდების მოლოდინი) მაღალია, იქამდე კერძო "მეორადი ბაზარი" რეალურად არ არის თავისუფალი, ლოგიკურად, ვერც იფუნქციონირებს, რადგან ხელს შეუშლის სახელმწიფო "პირველადი ბაზრის" დიდი წილი, შესაბამისად კერძო "მეორადი ბაზარი" ვერ ასრულებს ბაზრის მთავარ მოთხოვნებს - გაცვლა იყოს ნებაყოფილობითი და თავისუფალი.

-ამ ფუნქციებს ის იმიტომ ვერ ასრულებს, რომ სახელმწიფო ქონება, რომელიც ჭარბად არის მიწოდებული "პირველად ბაზარზე", "ღუზის" მსგავსად ექაჩება რეალურ (თვითდაფინანსების და რეალიზების) პოტენციალს და ამუხრუჭებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებს.

„სახელმწიფო იმდენად დაბალ ფასად ყიდის თავის საკუთრებაში დარჩენილ საპრივატიზაციო ქონებას, რომ შექმნილი ფონი საფუძველს აცლის მეორად ბაზარზე, უკვე კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობასაც კი.“

შედარებით უფრო აქტიური პერიოდის კვლევის მონაცემებსაც რომ დავეყრდნოთ (2010-2012 წწ), სასოფლო მიწის პრივატიზების აუქციონებიდან მიღებულმა შემოსავალმა მხოლოდ 21,626 მლნ. ლარი შედგინა. (გამოდის, რომ სახელმწიფომ კერძო აგრარული სექტორიდან ამოიღო პოტენციური საინვესტიციო შესაძლებლობა.)




წმინდა პრაგმატული ფინანსური თვალსაზრისით სახელმწიფოს ეკონომიკური, დანაკარგი გარდა მწელად გაზომვადი კეთილდღეობისა, არის კონკრეტული ფინანსური სახსრები, კერძო საკუთრების და ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას თავი რომ დავანებოთ.

- სახელმწიფოს ხელში დაახლოებით 350 ათასი ჰექტარიდან (სახნავი, მრავლწლიანი ნარგავები): „ა“ კატეგორიის 84 ლარით დასაბეგრი მიწა, კერძო საკუთრებაში, რომ ყოფილიყო ჯამურად ($350 \times 84 \times 1000 = 29\,400\,000$) 29,4 მილიონი ლარის მოსაკრებელს ყოველწლიურად მიიღებდა ბიუჯეტი; 'ბ' კატეგორიის 19 ლარით დასაბეგრი 93 ათასი ჰექტარი ჯამურად 1.78 მილიონს ($94 \times 19 \times 1000 = 1\,786\,000$) და 'გ' კატეგორიის 12 ლარით დასაბეგრი დაახლოებით 1,5 მილიონი ჰექტრიდან (მთის შეღავათიანი თემების, სასაზღვრო ზოლების და ა.შ გამოთიშვით) ჯამში 18 მილიონ ლარს

($1500 \times 12 \times 1000 = 18\,000\,000$).

ამრიგად, მიწების საკუთრებაში სრულად გაცემის შედეგად სახელმწიფო ყოველწლიურად მიწის მოსაკრებლის სახით მიიღებს დაახლოებით 49 მლნ ლარს. ასევე, საშემოსავლო გადასახადის სახით "მეორად ბაზარზე" ყველა გარიგებიდან 20% და მიწის რენტით მიღებული შემოსავლების 20%. ეს საკმაოდ სოლიდური

სახსრებია, იმასთან შედარებით რასაც ფულზე პრივატიზებით ღებულობს, მით უმეტეს თუ სახელმწიფო ბაზარი გაეთიშება პროცესს და თავისუფალი კონკურენცია დამკვიდრდება, ეკონომიკური ეფექტი ერთიორად გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტს არათუ 1 წელიწადში, არამედ მიწის პრივატიზებიდან მიღებული თანხებით ბოლო 7 წლის მანძილზეც ჯამურად არ მიუღია.



40. რა უპირატესობა აქვს სასოფლო მიწის კერძო საკუთრებას? რატომ არ შეიძლება ის სახელმწიფო საკუთრებაში იყოს და გრძელვადიანი იჯარით გაიცეს?

მიწის ნაკვეთს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და იჯარითაა გაცემული, საერთოდ არ გააჩნია საბაზრო ფასი და არც ლიკვიდურობა, რადგან საბაზრო ფასი ყალიბდება ბაზარზე კერძო სუბიექტებს შორის დადებული თავისუფალი გარიგებების შედეგად. მხოლოდ, კერძო საკუთრებაში არსებული მიწა მონაწილეობს ეკონომიკურ ბრუნვაში და იზიდავს განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებს.

მას შემდეგ რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის რესურსი უფასოდ გადავა კერძო საკუთრებაში, მოხდება ამ აქტივების ბაზარზე გაცოცხლება, ეკონომი-

კურ საქმიანობაში ჩართვა, კერძო მესაკუთრეები მიწისგან მიიღებენ სარგებელსა და კეთილდღეობას. მაშინ როდესაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებიც პერიოდულად გამოდის სახელმწიფო აუქციონზე გასაყიდად, უარყოფით გავლენას ახდენს კერძო მიწების ფასზე და სახელმწიფო მიწების ხელოვნურად დადგენილი დაბალი ფასისკენ ექაჩება.

კერძო მესაკუთრე მოტივირებულია მოუაროს, უპატრონოს და მაქსიმალური ეფექტი მიიღოს საკუთარი ქონებისგან, რაც ზრდის წარმოებას, მეტ პროდუქტს აწვდის ბაზარს, წარმოების გაფართოებასთან ერთად ასაქმებს სხვა ადამიანებს, როგორც მომხმარებელი კი უფრო მეტად ხდება სხვა პროდუქტების მყიდველი და ასტიმულირებს სხვა დარგებს. საპირისპიროდ კი, როცა მიწა სახელმწიფო საკუთრებაშია, მთავრობა არც უვლის, არც მისგან იღებს ეკონომიკურ სარგებელს და არც სხვას აძლევს რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას. მარტივად, რომ გადავხედოთ, თუნდაც, რეგიონებში მიმავალ გზაზე ადვილად შევამჩნევთ მოვლილ ნაკვეთებს, რომლებიც კერძო საკუთრებაშია და სახელმწიფო ბალანსზე არსებულ გაუდაბნოებულ მიწის ნაკვეთებს. ერთადერთი რისთვისაც ხელისუფლებებმა შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები, არის პოლიტიკური მიზნები და მხარდამჭერებისათვის სიმბოლურ ფასად გადაცემა.

იჯარა რაც არ უნდა გრძელვადიანი იყოს, ის მაინც არ არის კერძო საკუთრება. კაპიტალის მთავარი ღირსებაა მისი ფასი, რაც უფრო მაღალია ღირებულება, მით მეტ ფინანსებს მოიზიდავს მისი მესაკუთრე, ხოლო იჯარის

პირობებში ეს ვერ მოხდება. არცერთი ინვესტორი არ დაინტერესებდა ინვესტიცია ჩადოს ისეთ არასტაბილურ აქტივში, როგორცაა იჯარით გაცემული ქონება, აბსოლუტურად გამორიცხილია საფინანსო ორგანიზაციამ უზრუნველყოფაში გაითვალისწინოს იჯარით გაცემული ქონება და გასცეს დაფინანსება. ან რომელი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი გადაწყვეტს, ფული ჩადოს ისეთ აქტივში, რომლის მომავალიც გაურკვეველია და დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე.

განვიხილოთ მაგალითი, როცა ადამიანს აქვს კერძო საკუთრებაში ბინა, ან იჯარით/ქირით აქვს აღებული იგივე სახის ბინა. რომელ ბინას მოაწყობს, კაპიტალურად გაარემონტებს, მოუვლის და ეფექტიანად გამოიყენებს, მის კერძო საკუთრებაში არსებულს თუ იჯარით/ქირით აღებულს?


41. უფასო განკერძოების შედეგად, ხდება თუ არა მოქალაქე მიღებული მიწის სრული მესაკუთრე?

უფასო განკერძოების შედეგად, მოქალაქე ხდება უფასოდ განკერძოებული მიწების სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მესაკუთრე. მას აქვს თავისუფალი არჩევანი: მოიყვანოს მოსავალი, ააშენოს ამ მიწაზე სახლი; გაყიდოს, გააქიროს, ათხოვოს უსასყიდლოდ ან თუნდაც გააჩუქოს. მოქალაქე უფასოდ მიღებული მიწის სრულფასოვანი მესაკუთრე ხდება, რომელიც იგივე და არანაკლები ლეგიტიმურობით სარგებლობს, რო-

გორც მემკვიდრეობით მიღებული და კერძო მესაკუთრისგან ნაყიდი ქონების საკუთრების შემთხვევაში.

42. როგორია სასოფლო მიწების ფასი საქართველოში განვითარებული ქვეყნების ანალოგიური მიწების ფასთან შედარებით?

საქართველოში კერძო მიწების ფასი საშუალოდ 1000 - 1500 აშშ დოლარია. ევროპის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კი მიწის ფასი მრავალჯერ აღემატება და რამდენიმე ათეულ ათას ევროს უტოლდება. მაგალითად, ევროსტატის 2019 წლის მონაცემებით: ნიდერლანდებში სასოფლო მიწის საშუალო ფასია 70 000 ევრო; ლუქსემბურგში - 37 000 ევრო; იტალიაში - 34 200 ევრო; ირლანდიაში - 28 000 ევრო; დანიაში - 18 ათასი ევრო, სლოვენიაში - 16 ათასი ევრო, ესპანეთში - 13 000 ევრო; საბერძნეთში - 12 600 ევრო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ქვეყნების მიწების ფასი არის გასაშუალოებული, შესაბამისად ამ ქვეყნების საინვესტიციოდ მიმზიდველ რეგიონებში ფასები მკვეთრად აღემატება საშუალო მაჩვენებელს.



43. უფასო განკერძოება ხომ არ დააზარალებს მიწების ამჟამინდელ მესაკუთრეებს?

არა, რადგან სასოფლო მიწების პრივატიზების დასრულება უცილებლად გამოიწვევს მიწის აქტივის ფასისა

და ლიკვიდურობის ზრდას. შესაბამისად ამჟამინდელი მესაკუთრეები არათუ დაზარალდებიან, არამედ მიიღებენ დამატებით სარგებელს. წარმოების ფაქტორთა საერთაშორისო გამოთანაბრების კანონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწების ფასი მიუახლოვდება განვითარებულ ქვეყნების ამავე სახის აქტივების ფასებს, რაც მიწის მესაკუთრეების ფინანსურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მათ შორის სწორედ ამჟამინდელი მესაკუთრეები მიიღებენ უფასო პრივატიზების შედეგად დამატებით მიწის რესურსს, რაც შესაბამისად არათუ დააზარალებს არამედ გაზრდის მათ კეთილდღეობას.

44. უფასო განკერძოების შემდეგ, როგორ შეიცვლება მიწის ფასი?

სასოფლო მიწების სრული პრივატიზების შემდეგ მიწების ფასი და ლიკვიდურობა რასაკვირველია გაიზრდება.

აღნიშნული დასკვნა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ “მოთხოვნა-მიწოდების” და ფასების “საერთაშორისო გამოთანაბრების” კანონებს.

მოთხოვნა-მიწოდების კანონის თანახმად თუ აქტივი განუწყვეტლივ მიეწოდება ბაზარს ნებისმიერი მოთხოვნის შემთხვევაში, შეუძლებელია მისი ფასის ზრდა.

თუ დავაკონკრეტებთ, ფასი არის გრძელვადიან პერიოდში უცვლელი, ანუ მიწოდების მრუდი და აქტივის ფასი ემთხვევა ერთმანეთს. დღევანდელი რეალობა არის შემდეგი: სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 60%-ს ფლობს სახელმწიფო და მუდმივად აწვდის მას ბაზარს, ანუ ამ აქტივის ძირითადი მიმწოდებელი არის სახელმწიფო. მოცემული გზით, ანუ ამ ქონების ფულზე გაყიდვით, მუდმივად ხდება ბაზრიდან ფულის ამოღება. სწორედ ეს მიზეზი და ასევე მუდმივი მოლოდინი, რომ სახელმწიფო მიწებს გამოიტანს გასაყიდად, შეუძლებელს ხდის ფასების ზრდას, რაც დასტურდება ემპირიულადაც.

საერთაშორისო გამოთანაბრების კანონის მიხედვით, წარმოების ყველა ფაქტორზე საერთაშორისო ფასები არის გამოთანაბრებადი, ანუ ქვეყნებს შორის თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის პირობებში, იგივე სასოფლო მიწის ფასი საქართველოში უნდა მიუახლოვდეს სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ფასებს. შესაბამისად საქართველოში პრივატიზაციის დასრულების შემდეგ აუცილებლად მოხდება ამ აქტივის ფასის ზრდა.

იმ მომენტიდანვე, როდესაც საპრივატიზაციო მიწის ფონდი ამოიწურება, მიწაზე მოთხოვნის გაზრდის გარეშე კი მისი ფასი დაიწყებს სწრაფად ზრდას. ჩვენ ვსაუბრობთ ამოწურვად და განსაკუთრებულ რესურსზე, რომლის ფასიც განუწყვეტლივ იზრდება. მიწის მესაკუთრე, რომელიც თვალნათლივ შეამჩნევს მასზე ფასის ზრდის ტენდენციას, ეცდება შეინარჩუნოს მიწა, ან დაელოდოს ისეთი ფასის ფორმირებას, რომელიც

სრულიად დააკმაყოფილებს მის ფინანსურ მოთხოვნებს. თავის მხრივ, ფასის ზრდის მოლოდინი წარმოშობს დროში მიწოდების შემცირებას, რაც ფასების ზრდის ტენდენციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

45. თუკი სახელმწიფო მიწებს უსასყიდლო და მასიურად გადასცემს კერძო საკუთრებაში ხალხს, ხომ არ არის საშიშროება რომ გაჩნდება სიჭარბე და დაეცეს მიწის ფასი?

კლასიკური ხედვით შესაძლოა პარადოქსად მოგეჩვენოთ მიწების გადაცემა ფასის ზრდასთან მიმართებაში, მაგრამ სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გაცემით ფასი იმაზე მაღალი იქნება ბაზარზე, ვიდრე თავად სახელმწიფო ჰყიდის დღეს და გაყიდის უახლოეს ათწლეულებში. მაღალი ფასი ჩამოყალიბდება მაშინვე, როდესაც სახელმწიფო საკუთრების ყიდვაზე მოლოდინი გაქრება, ანუ მისი დასრულებისთანავე.

რატომ? - თუ სახელმწიფო არ იქნებოდა ბაზარზე, მაშინ მიწის მიწოდების ზრდა უკვე გაწონასწორებულ ბაზარზე მიწის ფასს შეამცირებდა, ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება საზამთროს, ვაშლის და სხვა საქონლის ბაზრებზე. თუმცა ეს სწორია მხოლოდ საბაზრო წესრიგისთვის და საბაზრო პრინციპზე აგებული გაწონასწორებული ბაზრისთვის. საქმე იმაშია, რომ ჯერ ამ სახის მდგომარეობა არ გვაქვს და მეთოდოლოგიურ შეცდომაში ამას შევყავდით დღემდე.

დაბალანსებულ ბაზარზე თუ ჭარბი მიწოდებაა, ფასი ეცემა. მაგრამ დღემდე ჩვენ ეს ბაზარიც არ გვქონია, რაც იმას ნიშნავს რომ გვეშინია იმ ხიდან გადმოვარდნის, რომელზე ჯერ ასვლაც არ დაგვიწყია...

ეს არ არის სტანდარტული მოთხოვნა-მიწოდების შემთხვევა. ამ ვითარებში გვაქვს გაორებული მოთხოვნა და გაორებული მიწოდება. ანუ "პირველად ბაზარზე" აქტორია სახელმწიფო, ხოლო, მეორად ბაზარზე კერძო მესაკუთრეები. (არის მესამე ბაზარიც, იძულებითი ბაზარი, წართმეული თუ ჩამორთმეული ქონების აღმასრულებლის მიერ, რომელიც უმნიშვნელოა მსჯელობისთვის). მიწა ფიზიკურად "არაზრდადი რესურსია". იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოს აღარ გააჩნია ბაზარზე მისაწოდებელი მიწის ფართობები, ავტომატურად იწყება მიწაზე მოთხოვნის პერმანენტული ზრდა. საბოლოო ჯამში ბაზარზე ფორმირებული ფასი მრავალჯერ გადააჭარბებს მიწის საწყის ღირებულებას, რომელიც თავის დროზე სახელმწიფომ დააწესა.

ვიდრე სახელმწიფო ბაზარზე ოფიციალურად ერთი კვ. მიწის ფასი 10-15 თეთრია, იქამდე სუსტი და უფუნქციოა "მეორადი ბაზარი", რადგან კერძო მესაკუთრე მიწას 10-15 თეთრად მაშინაც კი არ ჰყიდის როცა თანხა ძალიან ესაჭიროება, სამკურნალოა და ჯანმრთელობის გაუარესებას ელოდება.

ამდენად, როგორც კი სახელმწიფო საკუთრება გარდაიქმნება კერძო საკუთრებად, აქტივის (მიწის) ღირებულება გააკეთებს ე.წ. "თავისუფალ ნახტომს", ანუ საბაზრო წონასწორული ფასი დაიწყება დაახლოებით 80 თეთრიდან და ბუნებრივად გააგრძელებს ზრდას.

ამასთან მეორადი იძულებითი ბაზრის მოცულობაც შემცირდება, ვინაიდან იძულებითი ბაზრის სიდიდეს განსაზღვრავს დაბალი ლიკვიდურობის (დაბალ ფასიან) და რისკიან აქტივებზე კაბალური სესხები (რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი), რასაც საბოლოოდ მივეყვართ აქტივის ჩამორთმევამდე და შემდგომში იძულების წესით საწყის ფასზე უფრო დაბალ ფასად გაყიდვამდე

საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების მაგალითით ამ შემთხვევაში სახელმწიფოს „საზამთროები“ (მიწა) კი არ შემოაქვს არამედ გაყიდვის დაწყების მომენტიდან (1990-იანი წლებიდან) მარტო სახელმწიფოს აქვს ერთი ძალიან დიდი „საზამთრო“ რომლის ნახევარიც გაასხვისა და ნახევარს ასხვისებს ძალიან დაბალ ფასად, ხოლო იმ ნაჭრებს რომლებიც გაასხვისა დაბალი ფასი აქვს იმიტომ, რომ სახელმწიფო, მზადაა მოიშოროს „ჩალის ფასად“, ხოლო კერძოს ამ ფასად გაყიდვას ურჩევნია თუნდაც უვადოდ შეინახოს, მას ეს უკვე უზის ფულადი დანახარჯი თუ არა მორალური დანახარჯი მაინც, ანუ მისი მინიმალური ზღვრული ფასი რომლის მიღმაც არ წავა არის 15თეთრზე ბევრად მეტი, ხოლო სახელმწიფო ყიდის 10-15 თეთრად.

სანამ სახელმწიფო „საზამთრო“ მიეწოდება ბაზარზე - საზამთროების წარმოების განვითარებას არანაირი შანსი არ აქვს, სანამ არ დასრულდება სახელმწიფოს საზამთროების რაოდენობა. ხოლო დასრულების შემდგომ ბაზარზე ფასი კი არ დაიწევს არამედ 15 თეთრიდან დაიწყებს მატებას...

- პარადოქსი ისიცაა, რომ თვითონ ვისაც პატარა მიწის ნაჭრები აქვთ იმათ კიდევ სჭირდებათ მინიმუმ ერთი ამდენი მიწის ნაკვეთი, მაგრამ ვერ ყიდულობენ მიუხედავად დაბალი ფასისა, რადგან ფული არ აქვთ, ხოლო ფული იმიტომ არ აქვთ, რომ ის რაც იყიდეს, ის მიწის ნაჭერი ბრუნვაში ვერ ჩართეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს ბევრი აქვს და თან საბაზრო ფასთან მიმართებაში იაფად.

შედეგად იკვრება ე.წ. ჰერმენევტიკული წრე და ეს წრე უნდა გავარღვიოთ და უნდა გავარღვიოთ იმ ადგილას სადაც ეს მაქსიმალურად სწორი, ანუ სამართლიანი და ეფექტიანი იქნება ყველა თვალსაზრისით.

ეს მაგალითი იდეალური არ არის, თუმცა რეალობას ასახავს.

46. როგორ მოვიზიდოთ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიები?

თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან გვაკლია ყველა დარგში და მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. სამწუხაროდ, მარტო ტექნოლოგიები კი არაა, ცოდნა, ნიადაგის მოწესრიგება შესაბამისი აგროკულტურისათვის, საუკეთესო თესლი ან ნერგი, საუკეთესო სასუქი, ელემენტარული მორწყვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და გარდა საუკეთესო ტექნოლოგიებისა და ტექნიკისა, კიდევ უამრავი რამ აკლია, ჩვენს სოფლის მეურნეობას.

იმავე კონკურენტულ კომპლექსურ ტექნოლოგიებში, რომლებიც უამრავ ფაქტორს და ცალკეულ, განსხვავებულ ქვე ტექნოლოგიებს მოიცავს, უკეთესის შერჩევა-საც ცალკე ცოდნა სჭირდება.

ამ ყველაფრის მომგვარებელი უნივერსალური "წამალია" სასურველი და საკმარისი ოდენობის, გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი იპოთეკური კრედიტის (ანუ სამყოფი დაფინანსების) მოზიდვა უშუალოდ მიწის მესაკუთრის მხრიდან, მისივე პასუხისმგებლობის ქვეშ, რაც შეუძლებელია საკმარისად ძვირი და საკმარისად მაღალლიკვიდური ანუ საკმარისი საინვესტიციო მიმზიდველობის და სტაბილურობის მქონე მიწის ბაზრის გარეშე.

ყველაფერი იმის მიღებას, რაც არ გაქვს, გადახდა სჭირდება.

თუ მოზიდული ფინანსები თუნდაც ერთი ნახსენებებისკ-ფაქტორის წინასწარ მოგვარების დასაფინანსებლად არ გყოფნის, ან იმისათვის რაც გამოვტოვეთ და არ ვახსენეთ, - მაგალითად თუ შედეგის დაცვის ან დაზღვევისათვის არ გრჩება სახსრები, - გამორიცხული არაა, ამან ბევრად მეტი ზიანიც კი მოიტანოს, ვიდრე სრულმა უმოქმედობამ.

მაღალი საბაზრო ფასი და მითუმეტეს მისი სტაბილურობა თავის მხრივ მიუღწეველია, თუ სახელმწიფოს თავის საკუთრებაში დატოვებული აქვს თითქმის ორჯერ მეტი მიწა, ვიდრე არსებობს მთლიანად ბაზარზე, კერძო საკუთრებაში და მას შეუძლია ჩვეულებრივ

ფულზე გასაყიდად გამოტანით, უცებ დააგდოს ბაზარზე ჩამოყალიბებული წონასწორული ფასი.

აგერ უკვე 30 წელია, რაც სამწუხაროდ ეს ანბანი და ორჯერ-ორი, ბევრ განათლებულ ადამიანსა და მეცნიერსაც არ ესმის სიღრმისეულად, არათუ ამ საკითხში გაუცნობიერებელ რიგით ადამიანს, მინისტრსა თუ პოლიტიკოსს.

47. როგორ გავლენას მოახდენს სასოფლო მიწების უფასო პრივატიზაცია სასოფლო პროდუქციის იმპორტ/ექსპორტზე?

სასოფლო მიწების პრივატიზაციის დასრულება ნიშნავს ამ მიწების ფასის უცილობელ ზრდას. ფასების ზრდა იქნება არამხოლოდ პერმანენტული, არამედ ასევე მყისიერი, როგორც ეს მოხდა ურბანული მიწების შემთხვევაში.

მიწების ფასის ზრდასთან ერთად მოხდება ამ მიწების ლიკვიდურობის ზრდა. ამგვარად, მიწის მესაკუთრეები უკვე ადვილად შეძლებენ დღეს საოცნებო იაფი და გრძელვადიანი დაფინანსების მიღებას.

საკმარისი ფინანსების უზრუნველყოფით შესაძლებელია კონკურენტუნარიანი და ხარისხიანი წარმოება, რაც რადიკალურად სასარგებლოდ შეცვლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსს.

48. ფიქრობთ თუ არა, რომ ურბანული მიწების ფასების სწრაფი ზრდა განაპირობა მათი პრივატიზების დასრულებამ? შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები?

ურბანული მიწების სრულად პრივატიზებამ სწრაფად გაზარდა მასზე ფასები ქ.თბილისის ცენტრალურ უბნებში. დაფიქსირდა ფასების 100-ჯერ და 1000-ზე მეტი ზრდაც. ფასების ამგვარი ცვლილება გამოიწვია საპრივატიზაციოდ მისაწოდებელი აქტივების ამოწურვამ.

მაგალითად; თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე 1 კვ.მ. მიწის საპრივატიზაციო “ღირებულება” შეადგენდა 37 თეთრს, ხოლო მასობრივად გასაყიდი ურბანული მიწების ამოწურვის შემდეგ ღირებულება სწრაფად გაიზარდა და დღეს შესაძლოა 1000 აშშ დოლარადაც კი ვერ იშოვნოთ 1. კვ.მ.

(საკითხზე დამატებით იხ. კითხვა №91)

49. შემოთავაზებული უფასო პრივატიზების მოდელი, ხელს ხომ არ შეუშლის სასოფლო-სამეურნეო მიწების გამსხვილებას?

- გამსხვილება ბუნებრივად ხდება სხვადასხვა ფაქტორებით, რის შედეგადაც როგორც წესი მსხვილი როგორც მეტად რენტაბელური ისრუტავს ნაკლებად რენტაბელურს (ნაკლებად შემოსავლიანს), შესაბამისად პროცესი ხელს უწყობს მიწების გამსხვილებას.
- მიწების ხელოვნური გამსხვილება მიუღებელი და დაუშვებელია!


მაგალითისთვის, თუ არსებობს 1 დიდი 100 ჰექტრიანი ნაკვეთი, რომლის 7 ჰა. უჭირავს ერთ მესაკუთრეს და 93 ჰა. მეორე მესაკუთრეს, ყველა სხვა თანაბარ პირობებში 93 ჰა. უფრო ნაკლებ ფასად შექმნის პროდუქტის ერთ ერთეულს, ვიდრე 7 ჰა. - შესაბამისად პირველი მეტ მოგებას ნახულობს მასშტაბის ეფექტიდან გამომდინარე და 93 ჰა-ს მეპატრონეს მიაჩნია, რომ 1 კვ.მ. მიწის ფასი გაფართოებისთვის 20 აშშ დოლარი უდირს, მეორე მცირე მესაკუთეს კი ვინაიდან მოგება ნაკლები აქვს 17 დოლაზე მეტ ნებისმიერ ფასად აწყობს მიწს გაყიდვა. ეს შუალედური სხვაობა 17 დან 20 აშშ დოლარამდე ყოველთვის მიიყვანს შეთანხმებულ ფასამდე ორივესთვის სასურველ 18-19 აშშ დოლარის ფარგლებში, შედეგად კიდევ უფრო მსხვილდება დიდი ნაკვეთი და იზრდება მიწის რენტაბელურობაც(შემოსავლიანობა). რის შედეგადაც, უკვე გამსხვილებული მიწის ღირებულება 20 აშშ დოლარზე მეტი ხდება.

ამრიგად, უფასო განკერძოება არათუ ხელს შეუშლის გამსხვილებას, არამედ ბუნებრივად გააჩენს გამსხვილებისა და გაძლიერების მოტივაციას. გააჩენს ცოდნის გაღრმავებისა და ახალი სტანდარტების დანერგვის საჭიროებას. ჩამოყალიბდება ძლიერი ფერმერული და ლოჯისტიკური ერთეულები, გაიზრდება თავისუფალი კონკურენცია. კონკურენტული გარემო შექმნის მიწის მენეჯმენტის გაუმჯობესების წინაპირობას, რაც თავის თავში მოიცავს ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის აუცილებლობას. ამგვარად მიწების გამსხვილება და ფერმერთა შორის თანამშრომლობის ახალი კულტურის დამკვიდრება გარდაუვალი და პოზიტიური პროცესი გახდება.

50. შემოთავაზებული უფასო პრივატიზების მოდელი ხომ არ შეუშლის ხელს მიწის/აქტივის ლიკვიდურობის ზრდას?

უფასო განკერძოების მოდელით მოხდება პირიქით - გაიზრდება მიწის ფასი და მასთან ერთად მისი ლიკვიდურობაც. დღეს დაბალი ლიკვიდურობის მიზეზი არის ამ აქტივის დაბალი ფასი, რისი მიზეზიც არის ის, რომ აქტივების ძირითადი და მუდმივი მიმწოდებელი არის სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ეს აქტივები ინვესტორისთვის დამფინანსებლისთვის არამიმზიდველია.

კერძო სუბიექტებს მათ საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვა თუ ფინანსების მოზიდვა სწორედ იმიტომ უჭირთ, რომ სახელმწიფო არის მათი მუდმივი კონკურენტი და ხელს უშლის მიწის/აქტივის ლიკვიდურობას.



51. ვის საკუთრებაში რჩება განკერძოების შედეგად მიღებული მიწის ქვეშ აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეული?

უფასო განკერძოების მოდელით მიწის ქვეშ აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულის მესაკუთრე უნდა გახ-

დეს ამავე მიწის მესაკუთრე. დღეს კანონმდებლობით, მიწის მესაკუთრეს მხოლოდ მიწის ზედა ფენა ეკუთვნის.

52. როგორ უნდა მოგვარდეს მიწების ფაქტობრივი (მაგრამ არარეგისტრირებული) მფლობელების პრობლემა?

არარეგისტრირებული მიწები ფაქტობრივ მფლობელებს უმოკლეს ვადებში და შეუფერხებლად უნდა დარეგისტრირდეთ საკუთრებაში. აუცილებელია რომ სასწრაფოდ მოიხსნას ბიუროკრატიული ბარიერები და მესაკუთრეებს მიეცეთ შესაძლებლობა შეუდგნენ მათი კუთვნილი მიწების სრულფასოვან გამოყენებას.

/დაბურულ აუქციონებზე დამატებით იხ. კითხვა №12/

53. რატომ არის მიწის ფასი დაბალი საქართველოში და რა მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო მიწების ფასს ?

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აქტივის საბაზრო ფასი განსაზღვრას მისი განვითარების შესაძლებლობას. რაც უფრო დაბალი ფასით და ლიკვიდურობით ხასიათდება აქტივი, მით ნაკლები ფინანსური რესურსის მოზიდვა შეუძლია მას და პირიქით - რაც უფრო მაღალი ფასი და ლიკვიდურობა გააჩნია აქტივს, მით მეტი

ფინანსური რესურსის მოზიდვა შეუძლია. საქართველოში მიწის დაბალ ფასს კი განაპირობებს, ის რომ სახელმწიფო არის სასოფლო მიწების უდიდესი წილის მფლობელი, შესაბამისად სახელმწიფოს მიერ ბაზარზე მიწების ჭარბი მიწოდება განაპირობებს მიწის დაბალ ფასს.

სოფლის მეურნეობა საქართველოში მნიშვნელოვანი დარგია, რადგან აქ დასაქმებული ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 660 ათას ადამიანს შეადგენს. 2013 წლიდან 2019 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარი დაიხარჯა. მიუხედავად დახარჯული უამრავი ფულისა, 2019 წელს საქართველოს მთლიან ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილმა მხოლოდ და მხოლოდ 7.4% შეადგინა.

იმ ფონზე როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი წილი სწორედ ამ დარგშია დასაქმებული, ხოლო განვითარების ტემპი საკმაოდ დაბალია, საჭიროა, მაქსიმალურად მეტი ინვესტიციის მოზიდვა, რომელსაც აქტივზე, ანუ მიწაზე მაღალი ფასი უზრუნველყოფს.

/დამატებით იხ. კითხვა 42;44;45/

54. დღემდე მიწებს სახელმწიფო ყიდის (აპრივატიზებს) ფულზე და რატომ არ უნდა გაყიდოს მომავალში?!

ა) სახელმწიფო მიწა იყიდება და იყიდება ის ძალიან დაბალ ფასად - საშუალოდ მისი ღირებულება შეად-

გენს 1 (ერთი) კვ.მ-ზე 10-15 თეთრს (რიგ შემთხვევებში 10 000 კვ.მ. 48 ლარად). მისი მიწოდება იმდენად დიდია, რომ ბაზარზე მიწოდებული (მისაწოდებელი) მთლიანი მიწის მოცულობის დიდ წილს შეადგენს. ეს ყოველივე იწვევს მიწის ფასის დაბალ დონეზე დაფიქსირებას, ხოლო თუ ბაზარზე ფასის ოდნავი ზრდის ტენდენცია გაჩნდება, ზიარი ჭურჭლის პრინციპით სახელმწიფოსგან გასაყიდი მიწა ბაზარს მიეწოდება პერმანენტულად, ამიტომ ფასი ვერ იზრდება, მათ შორის ვერც კერძო მესაკუთრეების მიწებზე.

ბ) სახელმწიფო ჰყიდის, მაგრამ საინტერესოა - ვისზე ყიდის? მოქალაქეებზე?.. რომელთა 19,5% იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა (2019 წლის საქსტატის მონაცემებით). 500 000-ზე მეტი ადამიანი იმყოფება სახელმწიფოს მიზერულ შემწეობაზე. არც დანარჩენი მოსახლეობა გამოირჩევა მაღალი მყიდველობითი უნარით. ცნობისთვის 5000 ლარზე მეტი ხელფასი დასაქმებულების 1%-ზე ნაკლებს აქვს.

ცხადია, მიწის ბაზრისთვის 1 კვ.მ.-ზე 10 თეთრი იაფია, თუმცა მოქალაქეთა უმრავლესობა ამ ფასადაც ვერ ყიდულობს, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ის ძირითადად მსხვილ ლოტებად იყიდება (ათეულობით, ასეულობით ჰექტარი ერთად), გამოდის რომ მოქალაქეს (ფერმერს) ხელზე უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10 000-100 000 ლარი!!! შევთანხმდეთ, რომ რიგით მოქალაქეს ამ ოდენობის ფული ხელზე არ აქვს. უნდა ისესხოს, მაგრამ როგორ? კრედიტს ვერ მიიღებს, რად-

გან 10 თეთრის ღირებულების მიწაზე 5 თეთრსაც არ მისცემენ.

თავის მხრივ მიწის მყიდველიც არ აიღებს, რადგან მხოლოდ ყიდვა ხომ არაა საქმე? მიწის დასამუშავებლად გარკვეული თანხის ინვესტირებაც სჭირდება. თუ ჩვეული ხერხით მეზობლებს და ნათესავებს ესეხება, ამ შემთხვევაში შესაძლოა იყიდოს, მაგრამ გლობალური ხედვით, როცა ყველამ უნდა იყიდოს - ნათესავმაც და მეზობელმაც, რა გამოდის? მაშინ ნათესავს და მეზობელს აღარ დარჩებათ შესაძლებლობა რომ იყიდონ მიწები, ან თუ მეზობელს ასესხებს, თავად რჩება მიწის გარეშე, ან რაღაც აუცილებლის, პირველადი საჭიროების გარეშე, რამეთუ დაბალი შემოსავლების პირობებში ეს დანაზოგისთვის გათვალისწინებული ფული კი არა, არამედ აუცილებელი მინიმუმის ფულია... ფული, რომელსაც სხვა დროს სოფლის მეურნეობაში უნდა ებრუნა სხვადასხვა გარიგებების სახით.

- თუმცა აქ მთავარი სხვა მომენტია. რომც შეძლოს და იყიდოს, ეს თანხა იხსნება მესაკუთრის (ფერმერის) ჯიბიდან, ანუ სოფლის მეურნეობიდან გადამინაცვლებს სახელმწიფო ხაზინაში, ხოლო რა დროში დაბრუნდება ფული ეკონომიკურ ბრუნვაში, ან სოფლის მეურნეობას დაუბრუნდება თუ არა, ესეც ხომ საკითხავია? არადა ეს ის თანხაა, რომელიც რეალურად სოფლის მეურნეობაში მოძრაობდა და ირიბად თუ პირდაპირ, დარგის ინვესტირება უნდა გაეწია (იყიდიდა პომიდორს, პომიდორის გამყიდველი ხორბალს, ხორბლის გამყიდველი

კომბაინის მფლობელს გადაუხდიდა, კომბაინის მფლობელი შვილის სწავლის გადასახადს და ა.შ. ამგვარად ხორციელდება ფულის წრებრუნვა).

- საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ვიდრე სახელმწიფო გაყიდვის პროცესს დაასრულებს, მან ამ გზით სოფლის მეურნეობიდან უნდა ამოიღოს დაახლოებით 500 მილიონი ლარი (თუ მიწაზე ფასი გაიზარდა, მაშინ უფრო მეტიც) და თუ ამ 500 მილიონი ლარის მულტიპლიკატორსაც (ბრუნვას) გავითვალისწინებთ, ეს სოფლის მეურნეობის დარგისთვის ხელოვნურად წართმეული ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საინვესტიციო თანხა გამოდის.



- ყველაზე გავრცელებული მითი: მოქალაქეები მიწების უმეტეს ნაწილს გაყიდიან უცხოელებზე და დავრჩებით მიწების გარეშე!
- სინამდვილეში, მიწების განკერძოება გამოიწვევს მიწების ფასის გარდაუვალ ზრდას, რადგან სახელმწიფო, როგორც მიწის ბაზარზე ამ აქტივის მთავარი მიმწოდებელი, გაქრება.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე (რატყაუნდა სახელმწიფოს ჩარევითვე გამოწვეული დაბალი ფასების გამო) მიწების უმთავრესი გამყიდველი მთელი 25 წლის გან-

მავლობაში იყო/არის სახელმწიფო და არა კერძო სექტორი.

- როგორც კი მიწები სრულად განკერძოვდება, მაშინვე დაიწყებს მოქმედებას ე.წ. „ძირითად აქტივებზე ფასების გამოთანაბრების კანონი“, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, საქართველოში არსებული მიწების ფასები უნდა დუახლოვდეს იგივე თურქეთში არსებულ ანალოგიურ მიწის ფასებს. შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო მიწების ფასების ზრდა გარდაუვალია (თუ დააკვირდებით, იგივე ურბანულ მიწებს, რომელიც უკვე პრაქტიკულად კერძოა, თითქმის იგივე ღირს, რაც თუნდაც ევროპულ ქვეყნებში). უკვე კაპიტალიზაცია აღდგენილ, გაძვირებულ მიწებს, ეყოლება ცივილური და ფინანსურად ძლიერი მყიდველი/ინვესტორი.

/დამატებით იხ. კითხვა №9 - ფულზე პრივატიზება/

როგორ გავხადოთ სასარგებლო წიაღისეული ადამიანებისთვის სასარგებლო

55. არის თუ არა სასარგებლო წიაღისეული კერძო საკუთრებაში საქართველოში?

არა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის მესაკუთრე სრული 100%-ით არის სახელმწიფო. დღესდღეობით წიაღისეულზე საქმიანობის წარმართვა შესაძლებელია მხოლოდ ლიცენზიის ალების საშუალებით, თუმცა საბოლოო მესაკუთრედ მაინც სახელმწიფო რჩება.

56. რას თვლით სასარგებლო წიაღისეულის ეფექტიანად მოპოვების მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად საქართველოში?

როგორც უკვე აღვნიშნეთ წიაღისეული 100 %-ით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, შესაბამისად სექტორიდან გათიშულია პირდაპირი კერძო რაციონალური ინტერესები. სწორედ სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიზაცია არის ერთადერთი ხელის შემშლელი მიზეზი წიაღისეულის ეფექტიანი და რაციონალური გამოყენებისა.

თუ დღეს რომელიმე საბადო მუშაობს, ეს არის ლიცენზიით გაცემული, ანუ საბადო არის დროებით მფლობელობაში, რა პირობებშიც მისი დროებითი მფლობელები არ არიან დაინტერესებულნი, რომ მოახდინონ დიდი მოცულობის ინვესტირება. ცხადია ათეულ მილიონიან ტექნოლოგიებს არავინ შეიტანს იმ აქტივში, რომელიც მის დროებით მფლობელობაშია და ამავე დროს არასტაბილური აქტივია, რადგან სახელმწიფოს მხრიდან როდის მოხდება ამ ლიცენზიის სხვადასხვა მიზეზით შეწყვეტა ამის გარანტიაც არ აქვს. ლიცენზიის პირობებში მფლობელს არ აქვს მოტივაცია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები შეიტანოს, შესაბამისად მუშაობს მოძველებული ტექნოლოგიებით, რადგან წიაღის რესურსს ლიცენზიის ვადაში ამოწურვა არ ემუქრება, მისი დროებითი ლიცენზიანტი არაეფექტიანად აწარმოებს, იქ სადაც შეეძლო პირობითად 10 კგ ნედლეული მიეღო, ძველი ტექნოლოგიებით საუკეთესო

შემთხვევაში 6 კგ-ს იღებს და დანარჩენ 4 კგ-ს “ქარს” ატანს, შესაბამისად ვიღებთ იმ ეკონომიკურ მდგომარეობას და დასაქმებულთა მძიმე პირობებს რაც სახეზეა. საბადოებში დასაქმებული ადამიანები მძიმე პირობებში და მიზერულ ხელფასებზე მუშაობენ.

რა მოხდება თუ ეს საბადო გახდება კერძო? სააქციო საზოგადოებად ქცეული საბადო რომელსაც ჰყავს მრავალი აქციონერი და შესაბამისი მართველობითი ორგანო დაინტერესებულია მაქსიმალური მოგების მიღებით. ხოლო როცა მის კერძო საკუთრებაში გადადის, მესაკუთრეები იწყებენ რაციონალურად გამოყენებას და 10კგ-დან 10კგ-ის მიღებას დანაკარგების გარეშე, ამას კი სჭირდება თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა, რეინვენტარიზაცია და ახალი ინვესტიციები, როცა ახალ ტექნოლოგიებს შემოიტანს შემდეგ ტექნოლოგიები აიძულებს დამსაქმებელს, რომ შესაბამისი ეკიპირება მისცეს იქ დასაქმებულებს (სხვანაირად ტექნიკა სრული კომბინაციის გარეშე ვერ იმუშავებს), გაიზრდება შრომითი უსაფრთხოება და საერთოდ სიცოცხლისთვის ყველაზე რისკიან სამუშაოზე ადამიანის ნაცვლად იმუშავებს რობო-კომპიუტერული ტექნიკა, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მოთხოვნა ჩნდება მაღალ კვალიფიკაციაზე, რაც შემდგომ აისახება მაღალ ანაზღაურებაში, ამავე დროს როცა განკერძოდება საბადოები და სხვა სახელმწიფო აქტივები, შრომის ბაზარზე დამსაქმებლებს შორის გაჩნდება კონკურენცია, რაც აიძულებს დამსაქმებლებს კიდევ უფრო უკეთესი პირობები შესთავაზოს დასაქმებულებს, მით

უმეტეს როცა გაზრდილი რენტაბელობა (შემოსავლები) ამაში ხელს შეუწყობს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე და მაღალ ტექნოლოგიების პირობებში წარმოება ხორციელდება ცივილიზებული მეთოდებით, რაც გარემოზე უარყოფით გავლენის მინიმალიზაციას იწვევს.

დღეს კი სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან ლიცენზიანტი, რომელმაც სხვადასხვა პირობებით სახელმწიფოსგან მიიღო ლიცენზია, აღიქმება, რომ არის კერძო საკუთრება, ხოლო არაეფექტიან წარმოებას, დაბალ შემოსავლებსა და მძიმე სამუშაო პირობებს დანაშაულად აბრალებს კერძო სექტორს.

ზოგადად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წიაღისეული მოკლებულია ფინანსურ უზრუნველყოფას. აქტივების ლიცენზიით გაცემის შემთხვევაში ლიცენზიანტი არ არის დაინტერესებული განახორციელოს გრძელვადიანი ინვესტიცია და განახლოს ტექნოლოგიები, ვინაიდან მისი საქმიანობა შეზღუდულია წინასწარ განსაზღვრული ვადით, ხოლო აღნიშნული ვადის გახანგრძლივება, ან ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების პირნათლად შესრულება დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მოხელეთა კეთილსინდისიერებაზე.

ამ შემთხვევაში რისკს ზრდის ის ფაქტორიც, რომ შესაძლოა სხვა სახელმწიფოს რეზიდენტებმა ლიცენზიით აიღონ წიაღისეული და პოლიტიკური შეხედულებისამებრ დააკონსერვონ. ეს ზრდის რისკს იმისა, რომ

სხვა, ფინანსურად ძლიერმა და არაკეთილმოსურნე სახელმწიფომ, საკუთარი პოლიტიკა გაატაროს და ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მხოლოდ კერძო საკუთრება ქმნის საინვესტიციო მიმზიდველობას და ხელმისაწვდომობას იაფ ფულზე, რაც უპირობოდ ზრდის წიაღისეულის მოპოვების და მართვის ეფექტურობას.

57. წიაღისეულის უფასო პრივატიზაციის დროს მოხდება თუ არა საბადოების წინასწარი შეფასება და ვის მიერ?

საბადოების მარაგების რაოდენობაზე არსებული ინფორმაციის შეფასება უნდა მოხდეს მსოფლიოს ტოპ შემფასებლების მიერ. მაგალითად ისეთი ტოპ აუდიტორული კომპანიები, როგორებიც არის: “Deloitte”; “Ernst & Young”; “BDO”; “Smith & Williamson” და სხვ. საბადოების აუდიტორული შეფასება უნდა მოხდეს უფასო განკერძოების დაწყებამდე.

შესაბამისად მესაკუთრეს ექნება საკმაოდ სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო საპრივატიზაციო ობიექტის მარაგების მოცულობის, კატეგორიების და მსოფლიოში ანალოგიური წიაღისეულის ბაზრის შესახებ.

ინვესტებზე გაყიდვით წინასაპრივატიზაციო აუდიტორული შეფასება და ინფორმაცია რომც იწვევდეს გარკვეულ ეჭვებს ან დავებს, გასაკვირი და არსებითად მნიშვნელოვანიც ამაში არაფერია. როგორც წესი, მსოფ-

ლიოს მაღალკომპეტენტური სხვადასხვა სკოლის მიმდევარი აუდიტორები, ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს დებენ ერთიადიმავე აქტივთან დაკავშირებით და შეფასების საკითხზე გადამეტებული დროის დაკარგვა მიზანშეწონილიც არაა.

უფრო მნიშვნელოვანი საბადოს აქციები სპეციალურ აუქციონებზე, ინვესტებზე გასაყიდად, გამოტანილი იქნეს 5-10, მაქსიმუმ, ერთჯერადად აქციათა 20%-ზე არაუმეტესი აქციათა რაოდენობით.

სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც აქციები გასაყიდად გამოაქვს, ყველა მყიდველისთვის ღია უნდა იყოს გასაყიდ საქონელზე ყველა ინფორმაცია, რაც სახელმწიფოსთვის ნებისმიერი წყაროთი ცნობილია და რამაც შეუძლია მყიდველი მცდარი გადაწყვეტილებისაგან დააზღვიოს.

დაუშვათ ეს წესი დაირღვა ან დაურღვევლადაც რომელიმე მყიდველს აღმოაჩნდა კონფიდენციალური პირადი ინფორმაცია, რომ საბადო რაღაც საიდუმლო მონაცემით ვთქვით 1000-ჯერ უფრო იმაზე ძვირფასია, ვიდრე ნაჩვენები ფასი. *რა მოხდება მსგავს შემთხვევაში?*

58. როგორ და რა მეთოდით უნდა მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის განკერძოება?

სახელმწიფო, საერთაშორისო აღიარებული აუდიტორული კომპანიების მეშვეობით ახდენს საბადოების შეფასებას, რომლის საფუძველზეც თითოეული საბადოს

სახელზე ქმნის სააქციო საზოგადოებებს (სს). პირობითად განვიხილოთ საბადო „X“-ის მაგალითი.

1. საერთაშორისო აღიარებული აუდიტორული კომპანია აფასებს საბადოს მარაგებს (მაგალითად დელოიტის დათვლით, ნამდვილად სახეზეა ათეულობით მილიონი კუბური მეტრი მარმარილო);
2. სახელმწიფო ქმნის სააქციო საზოგადოებას - სს „X“;
3. მოცემული მარაგები გადააქვს სააქციო საზოგადოების ბალანსზე;
4. უშვებს სს „X“-ის აქციებს (100 000 000 ერთეული აქცია);
5. საჯარო ელექტრონულ აუქციონებზე ხორციელდება აქციების განკერძოება.

აუქციონზე ყოველთვე თითო ჯერზე გამოდის სს X-ის 10%-იანი აქციათა პაკეტი 10 თვის განმავლობაში, მანამ სანამ საბადო არ განკერძოვდება 100%-ით.

მოქალაქეები თვის განმავლობაში (10%-იანი აქციათა პაკეტი ერთი თვის განმავლობაში იქნება აუქციონზე) ელექტრონულად რიცხავენ კუთვნილ “ინვესტებს”, თვის ბოლოს ანგარიშები იხურება, შედეგები განთავსდება სპეციალურ საჯარო პორტალზე, სადაც ყველა მყიდველი იპოვნის თავს. ხდება შეჯამება რეფორმის ჯგუფის მიერ. მესაკუთრეების სია (ვინ რამდენი აქცია მიიღო) საჯაროდ ქვეყნდება არაუგვიანეს 3 დღისა..

თუ თქვენ შეიტანეთ 1000 ინვესტი და ჯამში შეტანილი ინვესტიების რაოდენობა აღმოჩნდა 100 000, მაშინ თქვენ მიიღებთ სააქციო საზოგადოების აქციების 1%-ს.

სს-ის აქციონერები ირჩევენ მენეჯმენტს. საუკეთესოდ ამ საკითხს ალბათ წყვეტს ამერიკული მოდელი! ამის შემდეგ სააქციო საზოგადოების აქციონერები იწყებენ ამ აქციებით ვაჭრობას და ისტორიაში პირველად, წიაღისეულის ფასი ჩნდება ბაზარზე. შემდეგ ეტაპზე ხდება ამ აქციების ინტეგრირება საერთაშორისო ბაზარზე და შესაბამისად კაპიტალის მოზიდვა. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია პირდაპირ გადარიცხოს თავის ანგარიშზე ჩარიცხული საპრივატიზაციო ნიშანი „ინვესტი“ მისთვის სასურველ სს-ში, მისთვის სასურველი კომბინაციით, ან მიყიდოს, მას ვისაც აქვს სურვილი.

59. ხომ არ მოხდება ერთი კონკრეტული სუბიექტის მიერ წიაღისეულის ხელში ჩაგდება?

ამ აქციათა პირველ აუქციონზე გამოტანილი აქციების შესასყიდად ცხადია ინფორმირებული მყიდველი შეიტანს შედარებით ბევრი რაოდენობის ინვესტს, რათა გამოტანილი აქციებიდან მაქსიმალური რაოდენობა შეიძინოს, თუნდაც შემთხვევით სხვა მყიდველებმაც შეიტანონ ამავე აქციების შესაძენად ჯამში მნიშვნელოვა-

ნი, რამდენიმე ათასი ინვესტი, ყოველთვე დარიგებული რამდენიმე მილიარდიდან.

თუ პირობითად ინფორმირებულმა მყიდველმა გამოტანილი 10% ანუ ვთქვათ კაპიტალში არსებული მილიონიდან იმჯერად გასაყიდი 100 000 აქციის შესაძენად გადაიხადა 990 000 ინვესტი და ყველა სხვა მოქალაქემ, საერთო ჯამში მხოლოდ 10 000 ინვესტი, აღმოჩნდება რომ ერთი აქცისათვის გადახდილი გამოვა 10 ინვესტი. ამ ლოტიდან ის შეიძენს აქციების 99%-ს 99000 აქციას, ყველა დანარჩენი კი დაინაწილებს 1%-ს ანუ მხოლოდ 1 000 ცალ აქციას. პირველი აუქციონის შედეგით, ინფორმირებულ მყიდველს გამოუვა შესყიდული მთელი საბადოს აქციების გაყიდული 10%-დან 9,9% და სხვებს მხოლოდ 0,1%.

როგორც კი ამ პირველი აუქციონის დასრულებისთანავე ეს შედეგი დაფიქსირდება, უკვე მეორე და მითუმეტეს შემდგომ აუქციონებზე გულგრილად ნაკლები ვინმე აუვლის გვერდს ამ მინიმუმ “საინტერესო” აქციებს და ინფორმირებულ მყიდველს მილიარდობით ნაღდი ფული არ ეყოფა, სხვებისგან იმდენი ინვესტის გამოსასყიდად, რომ თავისთვის სამიზნო საკონტროლო პაკეტი მაინც ააგროვოს. ყველა შემთხვევაში, თუ იხარბებს სხვას ნაკლებად გაუზიაროს “მონაპოვარი”, მინიმუმ, იძულებული გახდება მეორად ბაზარზე, შედარებით სამართლიან ფასად გამოისყიდოს საბადოს მეტი წილი და თავისი საიდუმლოება სხვა აქციონერებსაც და ზოგადად ბაზარს გაანდოს, რაც უკვე მის ინტერეს-

შიც იქნება, რომ მისი ქონების დიდი ფასი ბაზარმაც უკვე საბაზრო სანდოობით დაუდასტუროს და აქციებს ლიკვიდურობა გაუზარდოს!

აქედან გამომდინარე, რიგითი, საქმის კურსში საერთოდ არ მყოფი მოქალაქეც კი, არ დარჩება მოტყუებული!

60. რამდენად რისკის შემცველია წიაღისეულის აქციების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის შესაძლებლობა?

ეს არანაირ რისკს არ წარმოადგენს, რადგან სასარგებლო წიაღისეულის აქციების განკერძოება ხდება ეტაობრივად, სხვა აქტივების განკერძოებასთან ერთად. რამეთუ განსაკერძოებელი ქონების ღირებულება აღემატება რამოდენიმე ასეულ მილიარდ ამერიკულ დოლარს, შესაძლებლად მიგვაჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში უმნიშვნელო წილის (დაახლოებით 1-2%) გადასვლა. ამასთან, მესაკუთრის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს იმ აქტივების აქციების იაფად გაყიდვა, საიდანაც ის სტაბილურ შემოსავალს იღებს. ასეთი გარემოება აქციების ფასს სწრაფად გაზრდის და თუკი მესაკუთრე მაინც გადაწყვეტს აქციების საკუთარი წილის გაყიდვას, მყიდველს საწყისზე ბევრად უფრო მაღალი ფასის გადახდა მოუწევს, მაღალი ფასი ნიშნავს, რომ მ.შ. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ნაკლებს იყიდვიან, შესაბამისად რისკის შიშები განეიტრალებულია.

61. შესაძლებელი იქნება თუ არა, რომ ახლადგანკერძოებული საბადოს აქციები გაიყიდოს უცხოურ ბირჟებზე და რამდენად დაინტერესდებიან ასეთი აქციების შეძენით მსოფლიოს წამყვანი ბიზნესმენები?

მაგალითად არსებობს ე.წ. “ტორონტოს ბირჟა”, სადაც შესაძლებელია ისეთი კომპანიის აქციების განთავსება, რომლებიც ფლობენ წიაღისეულის მარაგებს კერძო საკუთრებაში და ჯერ არ დაუწყიათ წარმოება. აუცილებელ პირობად ითვლება, რომ კომპანიას ჰყავდეს მინიმუმ 300 მესაკუთრე და მინიმუმ 4 000 000 აშშ დოლარის ღირებულების მარაგი.

ინვესტორის ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენს ინვესტიციის განხორციელება კომერციულად მიმზიდველ აქტივებში. თავის მხრივ აქტივების მიმზიდველობას ერთი ორად ზრდის მსხვილი ბიზნესის დაინტერესება და შემოსვლა კონკრეტულ საქმიანობაში. საბადოს არგუმენტირებული მოცულობა, ფასი და ლიკვიდურობა აუცილებლად გააჩენს პროპორციულ მიმზიდველობას მსოფლიოს წამყვან ბიზნესმენტა შორის.

ლონდონის საფონდო ბირჟა მოითხოვს ლისტინგის გავლას, რაც არც ისე იოლია. თუმცა, რადგან მოცემული სააქციო საზოგადოება პრაქტიკულად თავისუფალია რისკებისგან, წარმოდგენილია როგორც შიშველი ბუნებრივი აქტივი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის შეძლებს ტორონტოს და სხვა საერთაშორისო ბირჟებზე აქ-

ციების გატანას, სადაც იმ კომპანიებს გააქვთ აქციები, რომელთაც წარმოება ჯერ არ დაუწყიათ.

62. საბადოების აქციების განკერძოების შემდეგ, შეძლებენ თუ არა მოქალაქეები ამ აქციებით ვაჭრობას და შესაძლებელი იქნება თუ არა საბადოების აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟის გარეშე?

აქციებით ვაჭრობაზე არანაირი შეზღუდვა არ იარსებებს. მესაკუთრე მოქალაქეებს სურვილის შესაბამისად თავისუფლად შეეძლებათ საკუთარი აქციების განკარგვა (ყიდვა-გაყიდვა).

ფასიანი ქაღალდების (აქციების) ბირჟაზე გაყიდვა სავალდებულო არ იქნება. ვაჭრობის ადგილს და პირობებს აქციების მესაკუთრე განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ.

63. შესაძლებელი იქნება თუ არა განკერძოებული საბადოების აქციების გამოყენება დაფინანსების მოზიდვის უზრუნველსაყოფად?

ფასიანი ქაღალდების (აქციების) მესაკუთრეებს თავისუფლად შეეძლებათ საკუთარი ფასიანი ქაღალდები გამოიყენონ დაფინანსების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი საქმიანობისთვის, მათი პიროვნული მარიფა-

თის, სურვილებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ისევე, როგორც სხვა ფასიანი აქტივების შემთხვევაში.

64. წიაღისეულის უფასო განკერძოების შემდეგ ხომ არ მოხდება ამ რესურსის უყაირათოდ გამოყენება?

სასაგებლო წიაღისეულის კერძო საკუთრებად ფორმირების მიზანს წარმოადგენს სწორედაც რომ მათი ყაირათიანი გამოყენება. სამწუხაროდ დღევანდელ რეალობაში წიაღისეულის არაეფექტიანი მართვა ხდება.

ლიცენზიის მესაკუთრე ვერ ახდენს კაპიტალის მოზიდვას, რადგან მოზიდული სახსრების უზრუნველყოფად მას არანაირი საკუთარი ქონება არ გააჩნია. მოცემული სიტუაცია კი ლიცენზიის მესაკუთრეს უზიგებს მაქსიმალური სარგებლის მიღების მცდელობისაკენ მინიმალური დანახარჯით, ამასთან ერთად არ მოერიდოს სასარგებლო წიაღისეულის დიდი ნაწილის განადგურებას.

უფასო განკერძოების შემდეგად, წიაღისეულის აქციების დიდი ნაწილი თავისუფლად აღმოჩნდება საერთაშორისო ბირჟებზე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკაში გაცოცხლებული აქტივების საერთაშორისო ფასისა და ლიკვიდურობის გაჩენას.

წარმოქმნილი ფასების და ლიკვიდურობის უზრუნველყოფით წიაღისეულის მესაკუთრეები შეძლებენ

იაფი და გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვას, რაც მისცემს მათ საშუალებას მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი რესურსი.

65. შესაძლებელი არის თუ არა წყლის საბადოების უფასო განკერძოება?

შესაძლებელია წყლის საბადოების უფასო განკერძოება იგივე სახით, როგორც სხვა აქტივების შემთხვევაში. წყალი მუდმივ და განსაკუთრებულ რესურსს წარმოადგენს, რომლის ეკონომიკური პოტენციალი მხოლოდ მცირედით არის რეალიზებული.

განსხვავებით სხვა წიაღისეულისაგან, მისი გამოყენება ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად დამაზიანებელია გარემოსთვის, ამასთანავე ყაირათიანი გამოყენების პირობებში, თვალსაწიერ მომავალში ის არის არაამოწურვადი, მუდმივი და სტაბილური რესურსი.

წყლის საბადოების პრივატიზაცია უპირობოდ წარმოქმნის დოვლათის და კეთილდღეობის უზარმაზარ წყაროს.

66. როგორც ცნობილია ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ავსტრია და ა.შ. სასარგებლო წიაღისეულის დიდი ნაწილი არის კერძო საკუთრებაში. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროკავშირის წევრ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში?

ევროკავშირის წევრ ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეული რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. ჯერჯერობით იქ ვერ მოხერხდა კომუნისტური მემკვიდრეობის და საკუთრებისადმი ფოზიური დამოკიდებულების სრულად დაძლევა.

ტყის ფონდი - ვის შვილებს „ვუნახავთ“ ტყეს?

67. შეიძლება თუ არა ტყე იყოს კერძო საკუთრებაში?

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სიკეთის მომტანი აქტივი, ტყეც უნდა იყოს კერძო საკუთრებაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით ეფექტური მართვა.

საქართველოს არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკვე დაშვებულია ტყეზე საკუთრების უფლება. პრივა-

ტიზაციის შედეგად ტყეზე საკუთრების უფლების გავრცელების შემთხვევაში დაცული იქნება საქართველოს ტყის კოდექსის პრეამბულაში, კონკრეტულად 1-ელ, მე-4 და მე-5 მუხლებში მოცემული პირობები, რაც გულისხმობს: „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, ასევე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნებას და გაუმჯობესებას“.

ტყე ოდითგანვე წარმოადგენდა მოსახლეობის კერძო საკუთრებას, კომუნისტური წეს-წყობილების დამყარების შემდეგ ის, როგორც იქამდე არსებული ყველა ფორმის კერძო საკუთრება, ჩამოერთვა ჩვენს მოქალაქეებს და მიტაცებულ იქნა კომუნისტური რეჟიმის მიერ.

68. საქართველოში არის თუ არა, ტყე კერძო საკუთრებაში?

ტყის საკუთრების პრაქტიკას საქართველოს კანონმდებლობა უკვე იცნობს. ამ ეტაპზე ცნობილი ფაქტი ამ კონტექსტში არის ეკლესია-მონასტრებისათვის მიმდებარე ტყის მასივის 20 ჰა ფართობის საკუთრებაში გადაცემა. ეს ტყის საერთო მოცულობის სულ რაღაც 0,03% შეადგენს და პრეცედენტის თვალსაზრისით მას აქვს დადებითი ეფექტი.

69. არის თუ არა ტყის მასივები კერძო საკუთრებაში განვითარებულ ქვეყნებში? თუ შეგიძლიათ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითი?

განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში, ტყის მასივების უმეტესი წილი არის კერძო საკუთრებაში. მაგალითად, საფრანგეთში მთელი ტყის მასივის 80% არის კერძო საკუთრებაში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო არ არის ტყის ფართობის 100%-იანი წილის მესაკუთრე.

70. თუკი ტყე გახდება კერძო, არსებობს თუ არა რისკი იმისა, რომ მისი მესაკუთრე ტყეს სრულად გაჩეხავს და გაანადგურებს ეკოსისტემას?

მესაკუთრეს მხრიდან საკუთრებაში არსებული ტყის განადგურების საშიშროება არ არსებობს რამდენიმე მიზეზით:

ა) ეს იქნება საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, რაც გამოიწვევს საჯარიმო სანქციას და ტყეზე უფლების ჩამორთმევას;

ბ) მესაკუთრეს ეკონომიკურ ინტერესებში არ შეიძლება შედიოდეს საკუთარი მუდმივი შემოსავლის წყაროს განადგურება.

ამასთან ერთად ტყის კერძო საკუთრების შემთხვევაში საერთაშორისო რეკომენდაციები და რეგულაციები, რომლებიც ხე-ტყეს და ეკოსისტემას იცავს განადგურებისაგან ჩვეულებრივად იქნება შენარჩუნებული. თუ ტყის ხელყოფა მოხდა მესაკუთრისგან დამოუკიდებლად, ამ შემთხვევაში კანონდარღვევა (მისი ჩამდენი) უფრო ეფექტიანად და სწრაფად გამოვლიდება, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრების შემთხვევაში. ვინაიდან მესაკუთრე თავად იქნება დაინტერესებული კანონდარღვევის გამოვლენაში, ის თავად შეატყობინებს შესაბამის ორგანოებს მომხდარი უკანონობის ფაქტის შესახებ. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრის და სახელმწიფოს ინტერესები სრულ თანხვედრაშია. ამგვარად საკუთრების შემთხვევაში ტყე ორმხრივად არის დაცული.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-კულტურული ურთიერთობების თავისებურებიდან გამომდინარე, ტყის მესაკუთრეები ყოველთვის ეცდებიან არ ჩააყენონ ერთმანეთი უხერხულ მდგომარეობაში, არ ხელყონ ერთმანეთის საკუთრება. სახელმწიფო ტყეებთან მიმართებაში ანალოგიური მორალური პასუხისმგებლობა ტყის მჩუხავებს არ გააჩნიათ.

ტყის სახელმწიფო “დამცველები”
თუ მძარცველები!

71. როგორც ვიცით, დღეს ტყის უკანონო მოჭრა საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. რაში ხედავთ გამოსავალს ?

დღეს ყველა ტყის ტერიტორიაზე (ბორჯომი, ადიგენი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი ა.შ) სადაც მიმდინარეობს ხე-ტყის მერქნის მოპოვება, პრობლემატურია ხე-ტყის უკანონო ჭრა და დამუშავება. ტყის რესურსი ჩანაგდება, იზრდება ჩრდილოვანი საწარმოო ბრუნვა.

ფაქტია, რომ თითოეულ რეგიონში/მუნიციპალიტეტში მუშაობს ასობით (ზუსტი სტატისტიკა არაღებულურობის გამო არ გვაქვს) მცირე და საშუალო ე.წ. ხე-ტყის გადამამუშავებელი სახერხი.

ჩრდილოვნად წარმოებული ნახევრადფაბრიკატი მერქანი (ფიცარი, განძელი, შპალი და ა.შ) არის შედარებით დაბალი საბაზრო ღირებულების, რადგან ლეგალურად მწარმოებლები იხდიან უამრავი ტიპის გადასახადს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეგალური და მეტწილად მსხვილ სახერხებსაც უჩნდებათ სტიმული დაიწყონ გადასახადების დამალვა და გადავიდნენ ნაწილობრივ ჩრდილოვან სექტორში, რათა დააბალან-

სონ საწარმოო დანახარჯები და შემორჩნენ საბაზრო კონკურენციას.

ასევე, ეკონომიკურად გასაგები მიზეზების გამო ჩრდილოვანად ნაწარმოები ხე-ტყის მასალა იყიდება იაფად, შესაბამისად მასზე მოთხოვნა გაცილებით მეტია. შედეგად იჩეხება უფრო მეტი ტყის ფართობი. მარტივი ეკონომიკური მიზეზის გამო - რაც უფრო დაბალია ფასი, მით მეტია მოთხოვნა.

ანუ პრობლემა დღეს ისედაც არის და მასზე თვალის დახუჭვა იწვევს ტყეების განადგურებას.

როცა ტყე გახდება კერძო საკუთრება (ისევე როგორც ეს არის მაგალითად საფრანგეთში), ამ შემთხვევაში არალეგალურად ხე-ტყის მჩეხავები ვერ შეძლებენ კერძო მიწის ნაკვეთებზე უკანონოდ ჩეხვის გაგრძელებას, მეტიც, უმეტესი მათგანი თავად გახდება მესაკუთრე და თავად მოუწევს არსებული წესების დაცვით ტყის გამოყენება.

გარდა ამისა, თუ ტყის გამოყენების ადგილობრივი და საერთაშორისოდ დადგენილი ნორმები დაირღვევა, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უადვილდება კონტროლი, რადგან ტყის კონკრეტულ ნაკვეთს კონკრეტული მესაკუთრე (დამცველი) პირი ჰყავს. ხოლო პირიქითაა როდესაც არცერთ ნაკვეთს არ ჰყავს მესაკუთრე.

ტყის უკანონო ჭრა არის ტყის კოდექსის 1-ელ მუხლში „კოდექსის მოქმედების სფერო და მიზნები“ გათვალისწინებული პირობების უხეში დარღვევა. ამგვარი

ფაქტების გამოძვევე მიზეზი არის ცდუნება, სუბიექტმა სახელმწიფოს ქონების მიტაცების გზით მიიღოს უკანონო და აღურიცხავი შემოსავალი. ამის პრევენციას სწორედ კერძო საკუთრება, რადგან მესაკუთრე ადვილად განახორციელებს საკუთრებაში არსებული ტყის კონტროლს სახელმწიფოსთან ერთად, ხოლო ცალკე სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, რათა სრულიად უზრუნველყოს ტყის დაცულობა - შედეგად, ხშირად სახელმწიფოს *“ტყის დამცველები” გვევლინებიან “ტყის მძარცველებად”*.

დღევანდელი რეგულაციების მიუხედავად ხე-ტყე მაინც იჩეხება და ვინ არის მის დაცვაზე პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა მხოლოდ სახელმწიფო. როცა ტყე გახდება კერძო, ვინ იქნება მის დაცვაზე და რაციონალურ გამოყენებაზე პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა მესაკუთრე, რომლის კონტროლიც სახელმწიფოსთვის იქნება მარტივი, რამეთუ გადაცდომის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი იქნება კონკრეტული მესაკუთრე.

72. შეიძლება თუ არა, რომ ტყე განვიხილოთ როგორც ბიზნესი?

მესაკუთრეს აქვს სრული უფლება ტყე გამოიყენოს ბიზნესის წარმოების საშუალებად, ამასთან ის ვალდებულია ხელშეუხებლად დაიცვას საქართველოს კანონ-

მდებლობით გთვალისწინებული ტყის მდგრადი მართვის პრინციპები.

მესაკუთრეს გარდა ხე-ტყის მოპოვებისა, დამატებით ეძლევა შესაძლებლობა ტყე თავისუფლად გამოიყენოს სხვა უამრავი ბიონეს აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის ტურიზმის განვითარების მიმართულებით (მაგალითად შექმნას დასასვენებელი სივრცე, კემპი, ბანაკი), მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, ხოლო, მეორეს მხრივ ტყესაც მოუაროს.

საკუთრების შედეგად გაჩენილი დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობებით ტყის უდიერად გამოყენების სურვილი მინიმუმამდე მცირდება.

73. როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყის განკერძოება?

ტყის განკერძოება განხორციელდება უფასო განკერძოების იმავე მოდელით, როგორც სასოფლო მიწების და სხვა აქტივების შემთხვევაში. ანუ ღია აუციონებზე ტყის მასივები გადავა კერძო საკუთრებაში „ინვესტიზის“ გამოყენებით.

მოგეხსენებათ ჩვენ უნიკალური შემთხვევის წინაშე ვართ - საქმე გვაქვს პოსტკომუნისტურ მემკვიდრეობასთან. ანუ ტყის მასივის უდიდესი ნაწილი, რომელიც დღეს სახელმწიფო საკუთრებაშია, ერთ დროს იყო

ჩვენი წინაპრების კერძო საკუთრებაში. განსაკუთრებით მთის რეგიონებში მოსახლეობას დღემდე აქვს საგვარეულო ტყეების საკუთრების მყარი აღქმა. ამგვარი ტყის მასივები, სადაც ადგილობრივი ადათ-წესებით იდენტიფიცირებულია და კერძო საკუთრებადაა აღიარებული (დამტკიცებული), განკერძოვდება დახურული აუქციონების გზით.


სახელმწიფო კომპანიები

74. როგორ შეაფასებთ სახელმწიფო კომპანიების ეფექტიანობას? უნდა განკერძოვდეს თუ არა სახელმწიფო კომპანიები სრულად ან ნაწილობრივ?

სახელმწიფო კომპანიები უნდა განკერძოვდეს სრულად, საჯარო ელექტრონულ აუქციონებზე „ინვესტიების“ გამოყენებით. დღესდღეობით საქართველოში 200-ზე მეტი სახელმწიფო კომპანიაა, რომელთა დიდი ნაწილი ყოველწლიურად გადის ზარალზე, მაგალითად საქართველოს რკინიგზა.

სახელმწიფო კომპანიების ზარალი ფინანსდება ბიუჯეტიდან. შესაბამისად, მენეჯმენტს არ აქვს მოტივაცია იმისა, რომ საწარმოო მოგებაზე იმუშავოს, რადგან ზა-

რალის პირობებშიც კი ბიუჯეტი დონორის როლში გვევლინება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო კომპანიები გადავიდეს კერძო საკუთრებაში, რათა მენეჯმენტს ჰქონდეს სტიმული განვითარებისა და მოგების მაქსიმალიზაციისათვის.



წარსულის ტვირთი და
მომავლის
კეთილდღეობა?!

75. რატომ არ განაკერძოვა სახელმწიფომ წლების განმავლობაში ჩამგებიანი საწარმოები? რა არის მისი ინტერესი?

საქართველოში რამოდენიმე ასეული სახელმწიფო საწარმოა, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა წლიდან წლამდე ზარალზეა. წლების მანძილზე ჩამგებიანი საწარმოების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობა ეკონომიკურად არაეფექტიანი და არამართებულია. აქედან გამომდინარე ჩნდება ლეგიტიმური ვარაუდი, რომ სამწუხაროდ ადგილი აქვს სახელმწიფო საწარმოებში პოლიტიკური დივიდენდების დაკარგვის შიშით გაუმართლებელ დანახაჯებს და არაკეთილსინდისიერ ზრახვებს სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სახელმწიფო საწარმოების განკერძოება, მხოლოდ ამ გზით მესაკუთრეებს მიეცემა შესაძლებლობა ასეთი ტიპის საწარმოები გახადონ ეკონომიკურად ეფექტიანი და გაიყვანონ მოგებაზე.

76. როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო კომპანიების განკერძოება?

სახელმწიფო კომპანიების განკერძოება უნდა მოხდეს იმავე მეთოდით, როგორც ეს ხდება წიაღისეულის განკერძოებისას.

1. სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ კომპანიას გარდაქმნის სააქციო საზოგადოებად - სს „Z”
2. უშვებს სს „Z”-ის აქციებს (100 000 000 ერთეული აქცია)
3. საჯარო ელექტრონულ აუქციონებზე ხორციელდება აქციების განკერძოება
4. აუქციონზე ყოველ თვე გამოდის სააქციო საზოგადოების 10%-იანი აქციათა პაკეტი.
5. მოქალაქეები თვის განმავლობაში (10%-იანი აქციათა პაკეტი ერთი თვის განმავლობაში იქნება აუქციონზე) სს Z-ის წინასწარ ცნობილ ანგარიშზე ელექტრონულად რიცხავენ კუთვნილ “ინვესტებს”, თვის ბოლოს ანგარიშები იხურება, შედეგები განთავსდება სპეციალურ საჯარო პორტალზე, ხდება შეჯამება რეფორმის ჯგუ-

ფის მიერ. მესაკუთრეების სია საჯაროდ ქვეყნდება არა-უგვიანეს 3 დღისა.

მაგალითად, თუ მოქალაქემ კონკრეტული სააქციო საზოგადოების ანგარიშზე თვის განმავლობაში შეიტანა 1000 ინვესტი და ჯამში შეტანილი ინვესტიების რაოდენობა აღმოჩნდა 10 000, მაშინ ის საკუთრებაში მიიღებს მთელი აქციების 10%-ს.

მოცემული სააქციო საზოგადოების მართვა განხორციელდება იმავე პრინციპით, როგორც ხორციელდება ნებისმიერი თანამედროვე კორპორაციების მართვა. სს საზოგადოება „Z“ განკერძოებულია, ყავს მრავალი აქციონერი, ხოლო სააქციო საზოგადოებას მართავს აქციონერების მიერ არჩეული დირექტორთა საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მენეჯმენტი ვერ იმუშავებს ეფექტიანად და კომპანიას წაგებაზე წაიყვანს, უკმაყოფილო აქციონერები აქციონერთა კრებაზე გადააყენებენ დირექტორს და ახალ ხელმძღვანელობას დანიშნავს.

დამატებით:

აქვე კიდევ ერთხელ შეიძლება წარმოიშვას ის შიში, რომ უფასო განკერძოების პროცესში ან პროცესის დასრულების შემდეგ ერთმა კონკრეტულმა სუბიექტმა სრულად ხელში ჩაიგდოს ყველა სააქციო საზოგადოება. რის საფრთხესაც აბათილებს და რისკი 0-მდე დაყავს აქტივების ფასსა და აქტივების დივერსიფიცირებას. განკერძოების პერიოდში, 10-10 პროცენტად გამოდის აქტივების აქციები, თუნდაც ერთმა ადამიანმა მოინდომოს, შეიძინოს დამატებითი ინვესტიები და

აქციების უდიდესი წილის მესაკუთრე გახდეს თუნდაც 90%-ის. ეს ნიშნავს რომ კონკრეტული პირი სს-ის გამოტანილი 1/10 წილის 90%-ის მფლობელი ხდება, რასაც პირველ დახურულ აუქციონის შედეგების შემდეგ სხვა აქციონერები და მსურველებიც შეიტყობენ. აი, მომდევნო 1/10 წილის გამოტანის შემდეგ კი იზდება მოთხოვნა ამ აქტივზე, რადგან ბაზარზე გაჩნდა მოლოდინი, რომ თუნდა ვიღაც მილიონერი ცდილობს ამ აქტივის დასაკუთრებას. გაზრდილი მოთხოვნა და ინტერესი კი ზრდის მსურველების რაოდენობას, ხოლო ინვესტების ფასი იზრდება.

დასრულების შემდეგ კი როცა აქციები დივერსიფიცირებულია, რამდენად შესაძლებელია რომ ერთმა ადამიანმა იყიდოს ყველა აქცია? მყიდველი მიდის ერთ აქციონერთან და ყიდულობს მისგან აქციას, მეორე გამყიდველი ფასს ზრდის და მყიდველს მეორე ნაბიჯზე გაუძვირდა აქციის ფასი, რაც უფრო მეტ ეტაპს გაივლის მყიდველი, ყოველი მომდევნო გამყიდველი გაზრდილი ინტერესის გამო კიდევ და კიდევ უფრო აუწევს აქციას ფასს, შესაბამისად იმდენად ძვირდება აქტივის ფასი, რომ მყიდველი ერთის მხრივ სტიმულს კარგავს შეიძინოს სრულად და მეორეს მხრივ არც ფინანსური რესურსი ჰყოფნის რომ მთლიანად შეისყიდოს. ამასთან, ის დაშვებაც არ უნდა უგულებელვყოთ, რომ მრავლად იქნებიან აქციონერები რომლებიც საერთოდ არ მოინდომებენ საკუთარი აქციების გაყიდვას.

77. არის თუ არა დარჩენილი სახელმწიფო საკუთრებაში შენობა ნაგებობები?

დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილია ათასობით შენობა-ნაგებობა. სამწუხაროდ, ამ აქტივების უმეტესობა სახელმწიფოს მხრიდან არის მიტოვებული და დღითიდღე ინგრევა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული ათასობით შენობა-ნაგებობა გამოთიშულია ეკონომიკური პროცესებიდან, მისგან ვერც სახელმწიფო იღებს სარგებელს და ვერც ხალხი. ეს პროცესი თუ ასე გაგრძელდა, ბოლოს იმ კონდინციაშიდევ მივა, რომ ის საშენ მასალადაც აღარ ივარგებს.





78. რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს იმ შენობა-ნაგებობის საკუთრებაში დატოვებით, რომელსაც წლებია ვერ იყენებს?

სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი შენობა-ნაგებობების ეკონომიკური „სარგებლიანობა“ განისაზღვრება მხოლოდ ზარალის მაჩვენებლებით. ამასთან, დიდია იმის ალბათობა, რომ ამგვარი აქტივები შეიძლება გახდეს ცდუნებისა და კორუფციული გარიგებების წყარო. საბოლოო ჯამში ასეთი ტიპის ობიექტები, როგორც წესი, გაიცემა სიმბოლურ ფასად. ეს კი სრულიად ლეგიტიმურად აჩენს ეჭვის საფუძველს - „ხომ არ ჰქონდა ადგილი არაკეთილსინდისიერ ქმედებას?“.

79. რა იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების განკერძოებიდან მიღებული სარგებელი?

მსგავსი აქტივები უნდა განკერძოვდეს სხვა მრავალ აქტივთან ერთად. როდესაც ქვეყანაში ამ აქტივების გაცოცხლებით მოზიდული ჯამური კაპიტალი იქნება ძალიან დიდი, ამ შემთხვევაში აქტივების ფასი გაიზრდება და დაუახლოვდება საბაზრო ფასს. ამის შემდეგ, ეს აქტივები გახდებიან ძალიან მიმზიდველნი კერძო სუბიექტებისა და ინვესტორებისთვის.

დღეს მათგან სარგებელი არა თუ დადებითი, პირიქით უარყოფითია. სახელმწიფო შენობა-ნაგებობები განიცდიან ფიზიკურ ამორტიზაციას, დანგრეულია ან დანგრევის პირას არის მიყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შენობა-ნაგებობები ძირითადად დასახლებული პუნქტების ცენტრალურ ადგილებშია განლაგებული (ყოფილი ფოსტის შენობები, საბჭოს შენობა, ბაგა-ბაღები, ფაბრიკა-ქარხნების შენობები, სასტუმროები, უნივერსიტეტები და ა.შ.). რასაკვირველია, იმ ტერიტორიასთან ერთად რომელზეც დგას ეს შენობა ნაგებობები, ეკონომიკურად მიმზიდველი და სასარგებლო იქნება კერძო სექტორისთვის სხვადასხვა ბიზნეს ინიციატივის განსავითარებლად.

იქ სადაც შესაძლებელია აღდგეს შენობები, ხოლო იქ სადაც დანგრეულია, კერძო მესაკუთრეები ააშენებენ ახალ ობიექტებს.

80. როგორ და რა მეთოდით განკერძოვდება სახელმწიფო შენობა-ნაგებობები?

- შენობა-ნაგებობების განკერძოება შეიძლება მოხდეს ჩვეულებრივ ელექტრონულ აუქციონებზე ლოტებად, სადაც უფრო მეტი „ინვესტის“ გადამხდელი ხდება მისი მეპატრონე. თუმცა დიდ შენობებთან მიმართებაში შესაძლებელია სხვა მეთოდის გამოყენებაც *(აქციების სახით განკერძოება)*.

მაგალითად: დღევანდელი მდგომარეობით გასაყიდად გამოტანილი შენობის გასაყიდი ფასი (სახელმწიფოს მიერ ფასის დადგენა არა მართებულია, მას უნდა ადგენდეს ბაზარი) არის 3 მილიონი ლარი 4 მილიონი ლარის დამატებითი ვალდებულებით (საინვესტიციო, საკრედიტო ვალი და სხვ.). მისი განკერძოება შესაძლებელი არის შემდეგნაირად:

0. უნდა მოხდეს ვალდებულების ამინისტიკა, განუღდეს განკერძოების შემთხვევაში(0). (როცა საპრივატიზაციოდ გამოტანილ ობიექტს სახელმწიფო აყოლებს ფინანსურ ვალდებულებებს, ეს ამცირებს მის საინვესტიციო მიმზიდველობას, მესაკუთრე ნაკლებად ინტერესდება ისეთი ობიექტის აღებით, რომელსაც ფინანსური ან სხვა ტიპის ვალდებულებები მიეყვება. ამავ დროს ვალდებულებები ამცირებს ობიექტის ღირებულებას, ვალდებულების ქვეშ მყოფ ობიექტს ფინანსური ორგანიზაციაც არ გამოუყიდვს სესხს, რაც მთლიანობაში განკერძოების ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა);
1. სახელმწიფო ქმნის სააქციო საზოგადოებას;
2. გამოაქვს გასაყიდად მისი აქციები (ვთქვათ, 1 მილიონი ცალი);
3. მოქალაქეები ყიდულობენ ამ აქციებს ინვესტებით;
4. სააქციო საზოგადოება ხდება კერძო.

ვთქვათ, ხუთმა მოქალაქემ გადაწყვიტა თავისი ინვესტების ნაწილით ამ აქციების შეძენა. ამისთვის ისინი ონლაინ მიმართავენ სპეც. დაწესებულებებს (ბანკები), სადაც უთითებენ მოცემული აუქციონის ნომერს და შეაქვთ (რიცხვენ) ინვესტები. ვთქვათ პირველმა მოქალაქემ შეიტანა 1000 ინვესტი, მეორემ - 3000, ხოლო და-

ნარჩენმა სამმა მოქალაქემ 2000-2000 ინვესტი. მოცემული პროცესი მიდინარეობს ერთი თვის განმავლობაში. თვის ბოლოს დაიხურა აუქციონი და გამოცხადდა შედეგები. ჯამში შეტანილი ინვესტების რაოდენობამ შეადგინა 10 000 ცალი. შესაბამისად პირველმა მოქალაქემ მიიღო აქციების 10%, ანუ 100 000 აქცია, მეორემ 30%, ანუ 300 000 აქცია, დანარჩენმა სამმა - 20-20 %, ორას-ორასი ათასი აქცია. ამის შემდეგ მოქალაქეები ერთმანეთში იწყებენ თავიანთი წილებით ვაჭრობას და პირველად უჩნდება რეალური საბაზრო ფასი ამ შენობა-ნაგებობას, ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი თავდაპირველი გასაყიდი ფასი არის რეალობას აცდენილი და არასაბაზრო.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არავითარი პირობის დადება აქ საჭირო არ არის! მოცემული ქონება მოიზიდავს ინვესტიციას, მისი საბაზრო ფასის შესაბამისად. რაც უფრო ძვირი ეღირება მით მეტის მოზიდვას შეძლებს და პირიქით - რაც იაფი, მით ნაკლებს.

სააქციო საზოგადოებამ ფულის მოსაზიდად შესაძლოა დამატებით გამოუშვას აქციები და გაყიდოს, ასევე შესაძლებელია მოიზიდოს სესხი აქციების ნაწილის თავდებით. დამატებით, სრულებით შესაძლებელია, აქციების ნაწილის სანაცვლოდ მოიწვიოს გარე პირი, რომელიც ვთქვათ შენობის პირველ სართულს გაარემონტებს, რის შემდეგაც მოსალოდნელია ამ სააქციო საზოგადოებების აქციების ფასების ზრდა და ა.შ.



მითი თუ რეალობა

81. უნდა მოხდეს თუ არა სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება? მაგალითად, შეიძლება თუ არა განკერძოვდეს საქართველოს რკინიგზა?

„სტრატეგიული“ შეიძლება ეწოდოს ისეთ ობიექტს, რომელმაც საომარი მოქმედებების შემთხვევაში შეუფერხებლად უნდა მოამარაგოს ქვეყნის შეიარაღებული ძალები საჭირო პროდუქციით და მომსახურებით. ამისათვის აუცილებელია მოცემული ობიექტი ფუნქციონირებდეს გამართულად. მათ შორის რკინიგზა. ამდენად მისი განკერძოება ხელს შეუწყობს ე.წ. „სტრატეგიული ობიექტების“ მიმართ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მოთხოვნილი ძირითადი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების დაუბრკოლებლად შესრულებას.

კონკრეტულად ვერავინ ახსნის რა არის ეკონომიკურად სტრატეგიული ობიექტი, რადგან აქტივისთვის ეკონომიკურად სტრატეგიული ობიექტის დეფინიცია არ არსებობს. ნებისმიერი ეკონომიკური აქტივი მაშინ არის დაცული, თუ მას ჰყავს კერძო მესაკუთრეები,

რომლებიც ყველაზე ეფექტიანად განკარგავენ და უვლიან თავიანთ კერძო საკუთრებას.

რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც წლიდან წლამდე ზარალზე გადის, ასე მაგალითად 2020 წლის 9 თვეში რკინიგზამ 117,7 მილიონი ლარით იზარალა. რადგან რკინიგზა სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას მმართველებს არ აქვთ მოტივაცია, რომ კომპანიამ ეფექტიანად იმუშაოს, ხშირად ხდება ისეთი ფაქტები, რომ გადამზიდავი კომპანიები როცა მიდიან რკინიგზის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დასადებად, რკინიგზის მესვეურები ამისამართებენ სხვა შუამავალ კომპანიებთან, სადაც პირადი ინტერესებით მოქმედებენ და ეს შემოსავლები აკლდება რკინიგზას. ამასთან იზრდება გადამზიდავი კომპანიების დანახარჯები და ზოგ შემთხვევაში უარს ამბობენ რკინიგზით სარგებლობაზე.

რა მოხდება თუ რკინიგზა იქნება კერძო საკუთრებაში? პირველ რიგში მისი უფასო განკერძოება ხდება იმავე მეთოდით როგორც სხვა დანარჩენი სახელმწიფო კომპანიების განკერძოება. იქმნება სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“, რომელსაც ეყოლება მრავალი მეწილე (მესაკუთრე). თითოეული მათგანი დაინტერესებულია რკინიგზამ იმუშაოს მოგებაზე, შესაბამისად აქციონერთა მიერ არჩეული მმართველები უზრუნველყოფენ რკინიგზის ეფექტიან მართვას.

82. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, ე.წ. ნაციონალური პარკების უფასოდ განკერძოება?

ნაციონალური პარკების უფასო განკერძოება შესაძლებელია იმავე მეთოდით, როგორც ხდება წიაღისა და სახელმწიფო კომპანიების განკერძოება.

მაგალითად, ავიღოთ კოლხეთის ეროვნული პარკი. კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობია 44308,5 ჰექტარი, მათ შორის, ხმელეთის – 29032,5 ჰექტარი, ხოლო ზღვის აკვატორიის – 15276 ჰექტარი. უფასო განკერძოებისას, კოლხეთის ნაციონალური პარკი თავისი აქტივებით გადავა სააქციო საზოგადოების ბალანსზე.

მას შემდეგ, რაც მოხდება აქციების პრივატიზება, სააქციო საზოგადოება აგრძელებს საქმიანობას ისევე, როგორც მუშაობენ საერთაშორისო კორპორაციები. აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიის დაცვისადმი მიზანმიმართული ყველა რეგულაცია, რომელიც გარემოს და კონკრეტულად ამ პარკის, დაცვას უკავშირდება, რჩება უცვლელი. იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოსთან ერთად პარკზე ამ ქონების ათასობით მესაკუთრე იზრუნებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მესაკუთრეები კიდევ უფრო მეტად იზრუნებენ გარემოს დაცვაზე, რადგან გარემოსადმი მიყენებული ყოველი ზიანი აუფასურებს და არამიმზიდველს ხდის მათ საკუთრებას.

უფასო განკერძოების შემდეგ კოლხეთის პარკი მიმზიდველი გახდება ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანიზაციებისთვის, როგორიც არის მაგალითად „National Geographic“. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა კი კიდევ უფრო გაზრდის დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობას და გაზრდის პარკის საერთაშორისო ავტორიტეტს.

83. შესაძლებელია თუ არა ტბების უფასო განკერძოება და რა ფორმით?

ტბების უფასო განკერძოება იმავე მეთოდით მოხდება როგორც წიაღისა და სახელმწიფო კომპანიების შემთხვევაში.

საზოგადოების მხრიდან ხშირად არის შიში რომ თუ ტბა კერძო საკუთრებაში იქნება მას მესაკუთრე არასათანადოდ მოუვლის და გარემოს ზიანს მიაყენებს, არადა პირიქით, როცა სახელმწიფო საკუთრებაშია, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხდება ამ რესურსების გამოყენება, ხშირ შემთხვევაში მიტოვებულია და ბინძურდება.

კერძო მესაკუთრის ხელში კი ტბის რესურსი გახდება მომგებიანი, მოაწყობს ტურისტულ ზონას, რისთვისაც გააშენებს რეკრეაციულ ზონას, იზრუნებს რომ ტბა იყოს ეკოლოგიურად მოვლილი და იყოს დამსვენებლებისთვის სასიამოვნო. დამსვენებლები რომ ადვი-

ლად და კომფორტულად მივიდნენ დანიშნულების ადგილას, მესაკუთრე იზრუნებს კონკრეტულ ტბასთან მისაყვანი გზის მოწყობაზეც, რაც ინფრასტრუქტურულ განვითარებასაც ნიშნავს. მესაკუთრე მაქსიმალურად იზრუნებს ტბის შენახვაზე, ამასთან მისი ბიზნეს საქმიანობა დაასაქმებს ადამიანებს და გაზრდის ეკონომიკურ დოვლათს.

მაგალითად „ბატეთის ტბა“ რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია არის დაბინძურებული. გარდა ამისა, უშუალოდ ტბასთან მიმავალი გზა ფაქტობრივად არ არსებობს, რაც პოტენციური ტურისტისთვის დისკომფორტის შემქმნელია. ის აზრი რომ კერძო მესაკუთრე მის საკუთრებას მაღალ ფასს დაადებს და იქ ვერავინ შევა არის მცდარი მიდგომა. პირველ რიგში უფასო განკერძოების შემდეგ ქვეყანაში ჩნდებიან კერძო მესაკუთრეები, ვითარდება ბიზნესი, იზრდება მოსახლეობის შემოსავლების დონე, რაც შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს დასვენებისთვის გაწიონ მაღალი ხარჯი, ამავე დროს კერძო მესაკუთრის ინტერესებში შეიძლება არც შედიოდეს ტბაზე შესვლის გადასახადის დაწესება, რადგან თავად ტბასთან ინფრასტრუქტურისა და კომერციული ფართების განთავსებით უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს.

84. რას ფიქრობთ ზღვის სანაპირო ზოლის უფასოდ განკერძოებაზე?

ზღვის სანაპირო ზოლის უფასო განკერძოებაც ისეთივე ფორმით უნდა მოხდეს, როგორც სასოფლო მიწების პრივატიზაცია. უფასო განკერძოების პროცესში გამოვა არა ერთი მთლიანი სანაპირო, არამედ ის დაყოფილი იქნება სანაპირო ზოლებად (ლოტებად).

/მიწების განკერძოებაზე იხ. კითხვები: № 36-54/

სანაპირო ზოლი მთლიანად არ იქნება ერთი მესაკუთრის ხელში. სანაპირო ზოლი, მონაკვეთებად იქნება დაყოფილი და ეყოლება მრავალი მესაკუთრე, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციაში შევლენ და დამსვენებლებს მოზიდვის მიზნით მაქსიმალურად მისაღებ პირობებს შესთავაზებენ.

ვის ეკუთვნის საზღვრისპირა ტერიტორიები

85. საქართველოს რეალობაში, ვინ არის ქვეყნის სასაზღვრო ზონაში მიწების და სხვა აქტივების ძირითადი მესაკუთრე?

დღეს სასაზღვრო ზონებში იშვიათია კერძო საკუთრება, აქტივების ძირითადი წილი არის სახელმწიფოს სა-

კუთრებაში. მოცემული თანაფარდობები ოდნავ იცვლება რაიონების მიხედვით.



86. უნდა იყოს თუ არა, ქვეყნის სასაზღვრო ზონაში მიწის ნაკვეთები და სხვა აქტივები კერძო საკუთრებაში?

დიახ, უნდა იყოს, ვინაიდან საკუთრების უფლების დაცვა უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიერ. საკუთრების უფლების ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მიხედვით „1.ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება“. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

თუ სასაზღვრო ზოლი იქნება კერძო საკუთრებაში, ის უფრო მეტად დაცული იქნება არაკეთილმოსურნე მეზობლისგან, ვიდრე მაშინ, როდესაც ის სახელმწიფოს საკუთრებაშია.

87. ხომ არ ეცდება არაკეთილმოსურნედ განწყობილი მეზობელი სახელმწიფო სასაზღვრო ზონაში კერძო საკუთრებაში არსებული მიწების სრულად გამოსყიდვას და ხომ არ დააზიანებს ეს ქვეყნის ინტერესებს?

საქართველოს კანონმდებლობა სრულიად გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფოს საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით“. აქედან გამომდინარე შიში იმისა, რომ საქართველოში არსებული აქტივების დიდი ნაწილის მესაკუთრე შეიძლება გახდეს არაკეთილმოსურნე მეზობელი შეუძლებელია.

კერძო საკუთრების პირობებში სასაზღვრო ზოლის დამცველად სახელმწიფოსთან ერთად გვევლინება კერძო მესაკუთრეები. რომელთაც იურიდიულად ექნებათ გაფორმებული ეს ტერიტორიები საკუთრებაში.

კერძო მესაკუთრეებს მიწების საკუთრება იურიდიულად ექნებათ დამოწმებული, ეს იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა დრო გავიდეს, მიწის მესაკუთრეს და მის შთამომავლობას მიწის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი ექნება მუდამ.

ის რომ სხვა სახელმწიფომ გადმოწიოს საზღვრები, გადმოვიდეს კერძო მესაკუთრის მიწაზე, იქნება საერთაშორისო დონეზე კერძო საკუთრების ხელყოფა, იმ

დროს როცა სახელმწიფო საკუთარი საზღვრების დაცვას ვერ ახერხებს, კერძო მესაკუთრეებს შეუძლიათ ევროპულ სასამართლოში სარჩელი შეიტანონ და მოითხოვონ მათი კერძო საკუთრება. სახელმწიფოს კი შეუძლია დახმარება გაუწიოს მესაკუთრეებს სარჩელის მომზადებასა და ლობირებაში, ერთობლივი ძალებით შესაძლებელია, რომ სხვა ქვეყნის მიერ მიტაცებული სახელმწიფო საზღვრები იურიდიულად ცნონ არასამართლიან, ძალადობრივ ქმედებად და მოითხოვონ სამართლებრივ ნორმებში და დაიბრუნონ მათი კერძო საკუთრება.

88. ხომ არ შეუქმნის საფრთხეს, სასაზღვრო ზონაში კერძო მიწების და სხვა აქტივების კერძო საკუთრებაში არსებობა ქვეყნის თავდაცვის ძალებს?

თუკი თავდაცვის ძალებს გარკვეული ამოცანის შესასრულებლად კონკრეტული მიწის ნაკვეთი დასჭირდებათ, მათ მარტივად შეუძლიათ იქირაონ ის კერძო მესაკუთრისგან, ან სრულიად უსასყიდლოდ მიიღონ დროებითი ფლობის უფლება მისგან. კერძო საკუთრება მნიშვნელოვნად უფრო დაცულს და საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად ეფექტურს ხდის სასაზღვრო ტერიტორიას.

თუ კერძო საკუთრება ხელშემშლელია სასაზღვრო ზოლში თავდაცვისთვის, მაგ ლოგიკით შესაძლებელია კერძო საკუთრება ხელშემშლელი იყოს სულაც ნების-

მიერი მუნციპალიტეტის ცენტრში. მაგ.თუ აუცილებლობა დადგა თავდაცვის ძლების მოქმედება შუაგულ ქვეყანაში სადაც კერძო საკუთრებაა, რა ვერ იმოქმედებს? ამიტომაც კერძო საკუთრება არათუ ხელისშემშლელი, პირიქით მეტი თავდაცვისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანია.

ზოგადად კი კერძო საკუთრება კიდევ უფრო გულმოდგინედ უნდა დაიცვას სახელმწიფომ თავის მესაკუთრეებთან ერთად ვიდრე ცალკე მესაკუთრის გარეშე დარჩენილი მიწა.

89. როგორ და რა მეთოდით უნდა მოხდეს სასაზღვრო ზონაში არსებული მიწების განკერძოება?

სასაზღვრო ზონაში მიწების განკერძოება უნდა განხორციელდეს იმავე მეთოდით, როგორც სხვა სახელმწიფო მიწების განკერძოების შემთხვევაში.

/მიწების განკერძოებაზე იხ კითხვები: № 36-54/

90. როგორ შეამსუბუქებს უფასო განკერძოება საგადასახადო ტვირთს და რა ფისკალური ეფექტი იქნება მას?

ეკონომიკური აქტორების (ბიზნესი/მოქალაქეები) ტვირთი (ხარჯი) ძირითადად 2 მაჩვენებლისგან შედგება - გადასახადები და რამდენად “იაფია ფული” (კრედიტზე %).

- როგორ შევამსუბუქოთ ეს ტვირთი ? - ანუ გავზარდოთ ეკონომიკური თავისუფლება.

- ამ ამოცანას ყველაზე კარგად პასუხობს მასიური უფასო განკერძოება #*გახდომესაკუთრე*

ფისკალური ეფექტი

ა. გადასახადების შემცირება შეიძლება ისე რომ სახაზინო შემოსავლები არათუ შემცირდეს არამედ გაიზარდოს - დასაბეგრი მასა. მასიურად კერძო საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადასვლით ამის შესაძლებლობას იძლევა. უფრო მეტიც, უფასო პრივატიზაციის შედეგად შესაძლებელი იქნება გადასახადების შემცირება, თან პარალელურად გვექონდეს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში სახაზინო შემოსავლების ზრდა + ორ ნიშნა ეკონომიკური ზრდა.


საკრედიტო ეფექტი

ბ. კერძო საკუთრების ფორმირება აღვიძებს და ქმნის საფონდო ბაზარს, შესაბამისად საფონდო ბაზარსა და

საბანკო სექტორის შორის კონკურენცია ფულს აიფებს (კრედიტებზე ე.წ. % დაბლა იწევს).

ეკონომიკური თავისუფების ხარისხი იმ ქვეყანასა და რეგიონებშია მეტი სადაც ეს ორივე ტვირთი უფრო მსუბუქია (ჯამურად ნაკლებია), რადგან ეს ქმნის მეტ რაციონალურ და მომგებიანი ალტერნატივების შესაძლებლობას.

თუ ეკონომიკური თავისუფლება არ გაქვს ვერავითარი შეზღუდვები ვერ გააჩერებს ფულად და ადამიანისეულ კაპიტალს, ის გაედინება ქვეყნიდან-ქვეყანაში და რეგიონიდან-რეგიონში. გავა ისე როგორც წყალი გადის საცერში. მაღალი ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ხდება ფულადი შემოდინებებისა და ადამიანური კაპიტალის ზრდა (პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეები დაბრუნდებიან, როგორც კი უკეთეს ალტერნატივას შევუქმნით).



უფასო განკერძოების ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, შესაძლებელია “ეკონომიკური ღვეზელის გაზრდა”- ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გარადაუვალი. გაზრდილი “ეკონომიკური ღვეზელის” იგივე % ნაჭერი

რამოდენიმეჯერ უფრო დიდი იქნება ვიდრე დღეს არის, მათ შორის საბიუჯეტო ღვეზელიც ერთი ორად გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკმარისი დაფინანსებას მიმართავს აუცილებელი საჭიროებებისკენ (ჯანდაცვა, სოციალური სფერო, თავდაცვა და ა.შ).

91. ძირითადად რით იყო გამოწვეული საქართველოს მაღალი ეკონომიკური ზრდა 2004-2007 წლების პერიოდში?

საქართველომ ეკონომიკური მაჩვენებლების განსაკუთრებით მაღალ ზრდას სწორედ იმის ხარჯზე მიაღწია, რომ იმ პერიოდისთვის პრაქტიკულად დასრულდა ურბანული აქტივების განკერძოება, რის შედეგადაც ურბანული მიწების და ნაგებობების საბაზრო ფასები ავტომატურად, მინიმუმ 100-ჯერ და ხშირად 1000-ჯერ მეტადაც კი გაიზარდა.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი:

- ვიდრე თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზეც კი კვ.მ. მიწის ოფიციალური ფასი 37 თეთრზე, ხოლო საოფისე ფართები 40 აშშ დოლარზე მეტი არ ღირდა, მყიდველი კი მაინც არ ჩანდა, ეკონომიკური პროცესები დამუხრუჭებული იყო და სამშენებლო სექტორიც არ აქტიურობდა.

როგორც კი დასრულდა სახელმწიფოს მხრიდან მიწების გაყიდვა და აღარაფერი დარჩა სახელმწიფოს ხელში (ანუ მოიხსნა სახელმწიფოს მიერ ჭარბი მიწოდება და მიწოდების მოლოდინი), ურბანული მიწების კერძო საბაზრო ფასმა მასობრივად თითქმის ყველგან 1 000-ჯერ მოიმატა. საკუთარ მიწას იმავე ჭავჭავაძეზე 500-ზე, კომერციულ ფასს კი რამდენიმე ათას აშშ დოლარზე იაფად უკვე აღარავინ ყიდდა. მომატებული კაპიტალის ღირებულების გამო საფინანსო ორგანიზაციებმა მესაკუთრეებს საუკეთესო სასესხო პირობები შესთავაზეს.

ძვირი მიწების გარანტის ქვეშ ნასესხები ფულით იჭრებოდა ფუნდამენტები, ამოდიოდა პირველი სართულები და მერე, შემდეგი სართულების ადგილზე მყოფი „ჰაერის“ (ანუ მომავალი ბინებისა და ოფისების) წინასწარი გაყიდვით, გარედან ფაქტობრივად არცერთი თეთრის ჩადებისა და შეწევნის გარეშე გაჩნდა უამრავი ცათამბჯენი.

ქალაქში, სადაც იმპორტირებული პროდუქტის ვაჭრობისა და თანამდებობრივი მაქინაციების გარდა, მანამდე თითქმის არაფერი კეთდებოდა, უცებ დიდი ფული დატრიალდა.

მოცემულ პერიოდში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა ეკონომიკის მართვაში, განსაკუთრებით ადმინისტრირების გაუმჯობესების მხრივ, მაგრამ მთავრობის ეკონომიკური გუნდის აქტივობა დიდი-დიდი 15%-20%-იან ზრდას თუ მოიტანდა, რომ ზემოთხსენებული მთა-

ვარი ფაქტორი არ დახმარებოდა, რაც ალბათ დღემდე საკმარისად არც არის გააზრებული თუნდაც იმ დროინდელი ეკონომიკური გუნდის, მომხრეებისა და სხვების მიერაც, გარდა მცირერიცხოვანი გამონაკლისებისა.

იმ დროინდელ სამთავრობო გუნდს ნამდვილი რეფორმა მართლაც რომ განეხორციელებინა, არ გამოჰქონდა თუნდაც წინამორბედებზე უფრო მონდომებით და უკეთესად, ყველაფრის ისევ სახელმწიფოს ხელით კეთებას, სიმდიდრე (*ანუ ძალა*) ხალხისთვის თანაბრად გადაეცა და ამით მენტალურად დაემთავრებინა საბჭოთა კავშირი, დღეს ჩვენ სულ სხვა, საბაზრო ეკონომიკის მქონე, მდიდარ და წარმატებულ ქვეყანაში ვიცხოვრებდით.

ცნობისთვის, დარჩენილი უზარმაზარი ღირებულების აქტივები დღემდე „გათიშულია“ (*ღირებულებაა განუღებელი*) ზუსტად ისე, როგორც ურბანული აქტივები იყო 2005 წლამდე, გაუფასურებული და უმოქმედო სახელმწიფოს საკუთრებაში.

92. ფიქრობთ თუ არა უფასო პრივატიზაციის გამოყენებას მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას? /თუნდაც დღეს მეტად აქტუალური ანაკლიის პორტის საკითხი/

სწორედ უფასო პრივატიზაციის შედეგად არის შესაძლებელი დიდი და მნიშვნელოვანი სასტარტო ინვესტიციების მოზიდვა. ნეიტრალდება პოლიტიკური რის-

კები, რადგან აქტივი ხდება უშუალოდ ხალხის - როგორც ძალაუფლების ძირითადი წყაროს თანასაკუთრება - დივერსიფიცირებულია და 100 ათასობით კერძო მესაკუთრე ხდება პირადად მოტივირებული გარანტი, რომ პროექტი დაცული იყოს პოლიტიკური რყევებისგან.

ანაკლიის პორტთან მიმართებაში, სწორედ უფასო პრივატიზაციის სტრატეგიით არის შესაძლებელი ამ მეგა პროექტის მეტი წარმატებით განხორციელება.

ანაკლიის პორტის განვითარების აქამდე არსებული მიდგომა იყო მცდარი. სახელმწიფო ცდილობდა ეს პროექტი განხორციელებინა ანაკლიის განვითარების კონსორციუმის საშუალებით ისე, რომ პორტის ძირითადი აქტივების მესაკუთრედ ისევ თვითონ დარჩენილიყო. 50 წლიანი ვადის შემდეგ კი პორტი მთლიანად სახელმწიფოს უბრუნდებოდა. არსებულმა მოცემულობამ კი თავიდან, ძირშივე ჩაკლა გრძელვადიანი წარმატებული განვითარების შესაძლებლობა.

დღეს ოპტიმალური მიდგომა არსებულ პროექტთან მიმართებაში იქნებოდა შემდეგნაირი:

- სახელმწიფო ქმნის სააქციო საზოგადოებას, რომლის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი არის 2,5 მილიარდი აშშ დოლარი;
- 1000 ჰა ზღვისპირა მიწა (რომელიც აქამდე არსებული მიდგომით გადაეცემოდა კონცერნს 50 წლიანი სარგებლობის უფლებით) შეტანილ იქნას სააქციო საზოგადო-

ების საწესდებო კაპიტალში. მოცემული მიწები უკვე საკმაოდ ძვირი ღირს მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე და ჯამური ღირებულება შეადგენს დაახლოებით 500 მილიონ აშშ დოლარს. არსებული ქონების შეფასება ხდება ბევრად უფრო იაფად (რათა მომდევნო ინვესტიციები უფრო მიმზიდველი იყოს), კერძოდ 200 მილიონ აშშ დოლარად და შეტანილი ქონების სანაცვლოდ სახელმწიფო იღებს 200 მილიონ აქციას. ამ მოქმედებით სახელმწიფო ხდება გამოცხადებული საწესდებო კაპიტალის, 2,5 მილიარდი აშშ დოლარის პირველი 8%-ის შემვსები და კონცერნის 200 მილიონი აქციის მესაკუთრე. ამის შემდეგ სახელმწიფო უფასოდ, საჩუქრად გადაუფორმებს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, როგორც ამ ტერიტორიის უპირველეს ნამდვილ პატრონს, 50-50 ცალ აქციას თითოეულს პირად საკუთრებაში. გაუნაწილებლად დარჩენილი აქციები, ასევე პერმანენტულად გადაეცემა მოქალაქეებს მატების შესაბამისად.

რა უპირატესობა იქმნება განვითარებისათვის ასეთ ვითარებაში?

პირველი დიდი უპირატესობა არის ის, რომ პორტის მესაკუთრეები ხდებიან ასი ათასობით ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებული არიან მისი წარმატებით. მეორე დიდი უპირატესობა არის ის, რომ პროექტის ჩავარდნის შეთხვევაშიც კი, დამატებით ფულის ჩამდები ინვესტორები სასტარტო კაპიტალის დაბალი შეფასების გამო, რაც ზევით ავლწერეთ, არიან და-

ცულები ფულის დაკარგვისგან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემული სააქციო საზოგადოება ლიკვიდაციას გამოაცხადებს, არცერთი აქციონერი არ აღმოჩნდება წაგებაში. მოცემული მოტივაცია კი უთუოდ ქმნის ინვესტიციების მოზიდვის დიდ სტიმულებს შესაბამისად აზღვევს ჩავარდნის ალბათობასაც.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებული მიდგომით დამატებითი კაპიტალის მოზიდვა მარტივდება მისი მოქნილობის გამო. ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, შესაძლოა ინვესტორს ფულის ჩადება სულ არ მოუწიოს და გარკვეული მატერიალური აქტივის ნაცვლად (მაგ; ინფრასტრუქტურის ინსტალაცია) მიიღოს შესაბამისი რაოდენობის აქციები.

ასეთი მიდგომა არის როგორც უფრო სამართლიანი, ასევე ეფექტიანი. აქტივში დივერსიფიცირება უზრუნველყოფს მის დაცულობას ხელყოფისაგან და პოლიტიკური ზეგავლენებისაგან როგორც შიდა ასე გარე მხრიდან და თან მარტივად და გარანტირებულად ხდება (ინვესტიციის) მოზიდვა.

ასევე ცალსახად, უფასო პრივატიზაცია გამოყენებულ უნდა იქნეს ნებისმიერი ტიპის ქონების შემთხვევაში. მსხვილი აქტივების განკერძოება და შემდგომ მისი სწორი მენეჯმენტი გაზრდის ქვეყნის გეოეკონომიკური უსაფრთხოების და ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხს, ასევე უაღრესად პოზიტიურად იმოქმედებს საქართველოს გეოპოლიტიკური და სატრანზიტო როლის ზრდაზე.

93. როგორ უნდა მოხდეს განკერძოებული საბადოების, სახელმწიფო კომპანიებისა და სხვა აქტივების აქციების მართვა ?

როგორ იქნებიან აქციონერები ჩართულნი კომპანიის მართვაში? შესაძლებელია რომ კომპანიას მრავალი ადამიანი მართავდეს?

მოცემულ საკითხში ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭიროებას არ წარმოადგენს. კომპანიების მართვის პრეცედენტად სრულიად საკმარისი იქნება გამოვიყენოთ თუნდაც ამერიკული პრაქტიკა, რომელიც წლების განმავლობაში გამოცდილია და წარმატებული. მსგავსი კომპანიების მართვა უნდა მოხდეს ისე, როგორც იმართება მაგალითად: „ამაზონი“, „ალფაბეტი“, „ტესლა“ და ა.შ.

/მიწების განკერძოებაზე, იხ კითხვები: №56;58;61/

94. უნდა აეკრძალოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს განკერძოებული აქტივების ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა?

საკუთრების განსაკუთრებული ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ მესაკუთრეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მისით, მიიღოს დივიდენდები და გააჩნდეს აქტივების საკუთარი სურვილისამებრ თავისუფალი განკარგვის უფლება. ამ უფლების შეზღუდვა აზარალებს მესაკუთრეს და ეკონომიკას, რადგან აქტივებს დაუკარ-

გავს რეალურ კომერციულ ღირებულებას და საინვესტიციო მიმზიდველობას.



95. უფასო განკერძოების შემდეგ, რა ფუნქცია ეკისრება სახელმწიფოს ?

სახელმწიფოს ეკისრება ის ფუნქციები რაც ეკისრებოდა განკერძოებამდე. ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს კერძო საკუთრების დაცულობა, ადამიანებს შორის დადებული ხელშეკრულებების და მხარეთა უფლებების დაცვა. შეასრულოს განკერძოების შემდეგ უმთავრესი მოთხოვნა - კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და აცალოს ხალხს !

96. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები ან პირები უჭერენ მხარს ქონების უფასო პრივატიზაციას? ან ხომ არ არსებობს რაიმე საერთაშორისო შეზღუდვა თქვენს მიერ შემოთავაზებული უფასო პრივატიზაციის მოდელის განხორციელებისთვის ?

- მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს!
1990 წელს, ვაშინგტონში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც ცნობილია "ვაშინგტონის კონსენსუსის" სახელწოდებით. ეს ეკონომიკური დოკუმენტი ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისგან მოითხოვდა უმთავრესს ვაჭრობის ლიბერალიზაციას, დერეგულაციას და პრივატიზაციას.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს აქტიურად იყენებდნენ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. დოკუმენტში პირდაპირ იყო მხარდაჭერილი უფასო პრივატიზაცია. სახელმწიფო ქონების უფასო პრივატიზების მხარდამჭერი ასევე იყო ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლა და მისი წარმომადგენლები, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში და „მონეტარული თეორიის“ ავტორი მილტონ ფრიდმანი.

97. მიგიმართავთ თუ არა მოცემული იდეით საქართველოს მთავრობისთვის და რა პასუხი მიგიღიათ ?

2018 წლის 30 ივლისს, საინიციატივო ჯგუფმა „გახდი მესაკუთრე“ საერთაშორისო კულტურულ ცენტრ „მუზაში“ გამართა პეტიციის პრეზენტაცია, რომელსაც ხელი მოაწერა 1000 მდე ადამიანმა. მოცემული ინიციატივა განსახილველად ოფიციალურად წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

პარლამენტმა კომპეტენციის არქონის გამო, მოცემული ინიციატივის განხილვა დაავალა ეკონომიკის სამინისტროს, რომელთგან პასუხი იყო ლაკონური: „პროექტის განხორციელება არაეფექტიანი იქნება ჯანსაღი ინვესტიციის მოზიდვისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.“ წერილობით პასუხზე მითითებულია 41 გვერდიანი დანართი. სამწუხაროდ 41 გვერდიანი დანართი მიუხედავად მრავალჯერადი მოთხოვნისა ვერ და არ მოგვეწოდა.

მითი: უფასო განკერძოება ხელს შეუშლის „ჯანსაღი ინვესტიციის მოზიდვას“...

როგორც ხედავთ პირიქითაა: სახელმწიფოს მიერ ქონების წინასწარ შეფასება, მაშინ როცა ამ ქონების ფასი უცნობია, არის არაჯანსაღი ინვესტიციების, კერძოდ ამ შემთხვევაში სავალდებულო რამდენიმე მილიონი ლარის მოზიდვის მცდელობა. ასევე ფულზე პრივატიზებისას - მყიდველის მიერ გადახდილი თანხა აუცილებლად აკლდება ბაზარს და მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში. მართალია ის ეკონომიკაში ბრუნდება, მაგრამ არა ბაზრის განაწილებით, არამედ კონკრეტუ-

ლი ჩინონოვნიკების. შესაბამისად, სანამ საპრივატიზაციო ფული დაგვიანებულად ბაზარზე ისევ დაბრუნდება, აკლდება იმ მომხმარებელს/მწარმოებელს, რომელსაც ის ბაზრის მიერ განაწილების შემთხვევაში უნდა მიეღო შესაბამისად აქვეითებს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

98. მიგიმართავთ თუ არა მოცემული იდეით სამეცნიერო წრეებისთვის და რა შეფასება მიგიღიათ მათგან?

დიახ, ჩვენ სისტემატურად ვახოციელებთ მოცემული იდეის გაცნობას სამეცნიერო წრეებისთვის. უმეტეს შემთხვევაში მეცნიერთა ჯგუფები მხარს უჭერენ სახელმწიფო ქონების უფასო პრივატიზაციას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერები უფროსი თაობის მეცნიერებთან შედარებით უფრო დიდ ენთუზიაზმს იჩენენ იდეის მხარდაჭერაში.

99. მიგიმართავთ თუ არა მოცემული იდეით საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და რა უკუკავშირი მიგიღიათ მათგან?

დიახ, ჩვენ წლების განმავლობაში ვთანამშრომლობთ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორიცაა „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის“. მოცემული ფონდის მხარდაჭერით განვახორციელეთ არაერთი პროექტი თავისუფლების და ეკონომიკური თავისუფლების გააზრებისა და გავრცელების მიმართულებით.

100. ხორციელდება თუ არა საგანმანათლებლო სამუშაოები წარმოდგენილი იდეის გააზრებისა და გავრცელების კუთხით ?

აღნიშნულ თემაზე რეგულარულად ვმართავთ ლექციებსა და „ვორქშოფებს“ სამეცნიერო წრეებთან; ახალგაზრდულ ჯგუფებთან; პოლიტიკურ პარტიებთან და ამ თემებით დაინტერესებულ ადამიანებთან.

პროექტი უკვე სარგებლობს ცნობადობით და მხარდაჭერით, თუმცა მისი განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურ ნებაზე, ვინაიდან ის გულისხმობს მასშტაბური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პოლიტიკის გატარებასა და ეკონომიკის სწრაფად გადაყვანას პოსტსაბჭოთა ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე.

რა არის შენი 101-ე კითხვა ?

მოგვწერეთ :

E-mail: gakhdimesakutre2018@gmail.com

E-mail: foundation.etc@gmail.com

<https://www.facebook.com/gakhdimesakutre>